

აღესანები
ახალნები


დვადცამი

(ლოგიური ისტორიას სკოტები)

თბილისი
2017

ხელაქონი:

კობა ბერძოლე



ნიგნი აენყო ღა ღაკაბაღონღა

<http://bedoidze.site.ge>

©ალექსანდრე ახატნელი, ობილისი, 2018 წ.

რედაქტორისგან

დვალების ეთნიკური რაობისა და წარმომავლობის საკითხს ბევრი ავტორი შეხებია, საკითხი კი დღემდე გაურკვეველია.



განსაკუთრებულ ინტერესს ისი და ქართველი მკვლევარები იჩენენ. მათი აქტიურობა გასაგებია. უნდათ, მაგრამ ერთი-მეორეს ვერ აჯერებენ დვალების ოსურ თუ ქართულ ეთნიკურ წარმომავლობაში.

ავტორის მცდელობა, მიუკერძოებლად განიხილოს საკითხი, მკითხველთა ობიექტურ შეფასებას იმსახურებს.

კობა ბედოიძე




დგალეთი, ზოგის ხოზიტა მად-მარამის ეკლესია.



„ძილეს-ძუარის“ წარწერები

სარჩევი

რედაქტორისგან	3
დვალი – ცალკე ეთნოსი თუ განაყრი?	7
ოსური თვალსაზრისი და რეალობა	9
ქართველი მეცნიერების პოზიცია	12
პირველწოდება	14
დაწუნებული მროველი	21
დვალეთის გეოგრაფიული არეალი წყაროების მიხედვით	36
ალექსანდრეობა	41
ოსი ალანია?	47
დვალები	52
დვალეთი	59
დვალები დვალეთში	99



განუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი
ქართლის სამეფოს რუკა



დვალი — ცალკე მთხოვი თუ განაყარი?

ცივილიზაციათა გრძელმა ისტორიაში ბევრი ეთნოსის არსებობა მიიღინყა. ერთეულებია, რომელთა სახელებიც შემორჩენილია — თითებზე ჩამოითვლება მათ შორის გამორჩეულები: შუმერებმა, ეგვიპტელებმა პირამიდები შეუქმნეს კაცობრიობას, ფინიკიელებმა ასოთი დამწერლობა, პელაზგებმა და ეტრუსკებმა კულტურა, რომელზეც აღმოცენდა დღევანდელობის ძველბერძნული და რომაული საფუძველი. ისინი მახსოვრობის უკვდავებას ეზიარნენ.

დვალები?

ბედისწერაში დვალებს მძიმე განსაცდელი და მცირე სიხარული არგუნა.

რთული და მტკიცნეულია მსჯელობა მომაკვდავ ეთნოსზე, ისეთზე, რომლის გეოგრაფიული არე აგრესორის კუთვნილებაა, რომლის ყლორტები უსისტემოდაა მიმოფანტული.

სამწუხაროა, რომ უკვე თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში გაქრა მრავალჭირნახული ეთნოსი. იმანუელ კანტის მიერ გაცხადებულმა მსოფლიო ზავის თვალსაზრისმა ვერ უშველა მას. ვერც კარლ მარქსის მტკიცებამ, ყოველი ადამიანის მსოფლიო პიროვნებად გადაქცევის შესახებ. გლობალიზაციის პროცესებმა ეთნოსი ვერ დაიფარეს. გადარჩენილი დვალები ყველაზე ცხადად გრძნობენ მის შედეგებს.

დვალური ეთნიკური ერთეული აღარ არსებობს. არის მათი ყოფილი გეოგრაფიული სამშობლო და არიან ადამიანები, რომელთაც სტკივათ წარსული.

შეძლებენ თუ არა დათითოკაცებული დვალები გაერთიანე-



ბას და ისტორიული სამშობლოს აღორძინებას, თუნდაც მცირე არეალში, მათვის პრობლემათა პრობლემაა.

დღეს საძიებელი და საბრძოლველია სიმართლე – ისტორიული სიმართლე დვალების შესახებ.

დვალები არა ყოფილან ბედის რჩეულები. მათი ნამდვილი ისტორიაც კი არაა გამოკვლეული. შორეულ წარსულს რომ თავი დავანებოთ, ისიც კი საკამათოა, იყვნენთუ არა ისინი ოსური, ქართული, ვაინახური თუ სხვა წარმომავლობის.

ეთნოსის შესახებ ისტორიული ცნობები ქართველობაში შემოინახა. სხვებს არა ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა, საკუთარი ეთნიკური მეობის ერთიანი გაგება, წარსულის ერთნაირი მახსოვრობა. სარგებლობდნენ ქართულის მიღწევებით, და ბუნებრივია, თუ საკუთარი წარსული არ იციან, სხვისა მით უფრო, არ ეცოდინებათ.

ყველაფერი არსებული ცვალებადობის კანონზომიერებას ემორჩილება, მათ შორის, სიმართლის გაგებაც. ის, რაც ისტორიულად დადგენილი და შეფასებული იყო, ახლა სხვანაირად აღიქმება, მზისქვეშეთში მომგებიანი ნიშის დაკავების იარაღი ხდება.

ისტორიის ახლებური, მისაღები ფორმით, გადმოცემა ბევრ ეთნოსს აცდუნებს. ისიც ბუნებრივია, რომ საკუთარის განდიდება სხვათა დაკანინებას გულისხმობს, მაგრამ თუ სხვა გზა ზოგიერთს ვერ დაუძებნია?

დვალები, როგორც ტომი, შეიძლება ცალკე ეთნოსი, აღარ არსებობს. ეს მის ყოფილ მეზობლებს საშუალებას აძლევს მიითვისონ საცხოვრებელი არეალიც, მიღწევებიც, სახელიც.

დღეს გაძნელებულია დვალების შესაბამისი მახასიათებლების ზუსტი დადგენა. წაშლილია ობიექტური რეალობა და საკამათო გამხდარა მათი გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული საზღვრები. ობიექტური წარსულისა და ეთნოკური რაობის საკითხი სადავო ოსებს გაუხდიათ, შესაბამისად, პირველ რიგში, მათი თვალსაზრისია გასახსენებელი.




ოს ური თვალსაზრისი და რეალობა

წინასწარ უნდა ითქვას, რომ დვალების პრობლემებით ოს-ების მცირე ნაწილია დაინტერესებული. უფრო ნაკლებს აქვს ჩამოყალიბებული აზრი და პოზიცია, ამასთან ერთად, აზრიც და პოზიციაც – არაერთგვაროვანი. ადგილი აქვს სხვაობას.

გამოჩენილი ოსი მეცნიერი ვასო (ვასილ) აბაევი დვალებს სხვა ეთნოსად მიიჩნევდა და ოსებს სხვად. ცხადია, მას ჰყავდა თანამოაზრენიც და მოპირისპირენიც. ბატონი ვასო (როგორც მოფერებით მიმართავდნენ, მათ შორის ავტორი) მიიჩნევდა, რომ ოსი ეთნოსი დვალებს გვიან გაეცნო, შეერია და გააოსა. ის, არა მხოლოდ დვალებს, საერთოდ კავკასიონის არეალში გვიან გამოჩენდა.

საპირისპირო თვალსაზრისის მიმდევრების ჩამოთვლაც კი ძნელია. ისინი, საერთოდ, უარყოფენ კავკასიანთა რამე მონაწილეობას ოსური ენის და ეთნოსის ფორმირებაში. ზ. ნ. ვანეევის, ი. ს. გაგლოვევის (მოგვიანებით გაგლოითის), ა. კალოევის და სხვათა ნააზრევი იქამდე მივიდა, რომ ბოლოს, კავკასიის არეალში კოლხ-იბერების არსებობაც კი უარყვეს. სხვაგვარად როგორ აიხსნება, იმის მტკიცება, რომ ძვ. ნ. აღ. IV ს. ისტორიული პიროვნება, ეგრისელთა მთავარი, ქუჯი სარმატადაა წარმოდგენილი და ეგრისელებიც – სარმატებად. მტკიცებულება?.. მეტი მტკიცებულება რა შეიძლება იყოს: ი. გაგლოითს ასე სწამს. ოსების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის კი მისი აზრი ყველა ისტორიულ დოკუმენტზე მეტად დასაჯერებელია.





ს. გაგლოითისათვის ეგრისელები (მომავალი კოლხები, აფხაზ-მეგრელები, ლაზები) სარმატებია. სარმატული წარმომავლობისა არიან ოსებიც. აქედან დასკვნა იოლად გამომდინარეობს. რაც შეეხებათ დვალებს, ზ. ვანეევი არაერთგზის „ამტკიცებს“, რომ დვალები – ოსებია. მხოლოდ ერთი მოკლე ციტატა: «С давних времён держался взгляд, не подвергавшийся сомнению, что двалы – осетины»¹.

ოსებისთვის, სამწუხაროდ, „მეცნიერული აღმოჩენებით“ ალან ჩოჩიევს ვერავინ გაუტოლდება. რა ქართველები, რის დვალები, ვინ კავკასიონელი ეთნოსები? – უბირველესი და უსახელოვანესი ოსებია. დიახ, მისი „დასაბუთებული მტკიცებით“ ოსებს შეუქმნიათ ადამიანთა შორის პირველი ცივილიზაცია. ცხინვალში აღზრდილა ქრისტე, იქ შეუთვისებია სიბრძნე, იქიდან გავრცელებულა ცივილიზაცია მსოფლიოში. შესაბამისად, თანამედროვე ევროპა „ვალდებულია“, დაიცვას ოსი ჰუმანოიდებიკანიბალი ქართველებისგან.

ასეთთა „ოსური სიბრძნის“ ვრცელ განხილვას აზრი არა აქვს. მართალია, სულმნათ კოსტა ხეთაგუროვამდე ოსებს დამწერლობაზე არ უფიქრიათ, მაგრამ არც საჭიროებას გრძნობდნენ. ქართული დამწერლობით სარგებლობა შეეძლოთ. რაც შეეხებათ თანამედროვე ოს „მეკალმე-პატრიოტებს“, უფრო ვნებენ ეთნოსს, როცა გროტესკულ ფორმებში წარმოადგენენ წარსულს. ან რა უნდა ითქვას მეკალმეებზე, რომელთათვისაც სხვათა მონაყოლი ან საკუთარი მონაფიქრი მეცნიერული მტკიცებულებაა, ხოლო ისტორიული დოკუმენტები – მეორეხარისხოვანი ინფორმაცია?

მოკლედ: ოსი მკვლევარებისათვის დვალები – ოსებია და არასოდეს არ ყოფილან არაოსები.

1. 3. Н. Ванеев. «Избранные работы по истории осетинского народа». т.1. Цхинвала, 1989, стр. 276



ქართველი მეცნიერების პოზიცია

თუ ოსი მკვლევარებისთვის დვალი ძირძველი ოსია, ბევრად სხვანაირად ესმით პრობლემა ქართველებს. ამასთან, არიან დვალების ვაინახობის, ქართველობის, ოსობის თვალსაზრისის მომხრენი.

არსებითად, ქართველ მკვლევართა თვალსაზრისის შესახებ:

ცნობილი მეცნიერები გ. ახვლედიანი და კ. კეკელიძე, როცა დვალების ვინაობის საკითხს ეხებოდნენ, აღნიშნავდნენ, რომ მათი მეტყველება ოსურია.

ამ ფაქტს არც სხვა მკვლევარები უარყოფდნენ. დვალები ოსურად მეტყველებდნენ. ეს ნიშნავს თუ არა, რომ დვალები ოსები არიან? ოსი მკვლევარებისათვის კი – სწორედ ამ ფაქტზე მიუთითებდნენ ისინი, მაგრამ რომელი საუკუნიდან?

სხვა ქართველ მკვლევარებს განსხვავებული აზრი აქვთ. დვალები კი მეტყველებენ ოსურად, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ ოსურ ეთნიკურ კუთვნილებას. დვალი სხვაა, ოსი – სხვაა.

ქართველ მკვლევართა დიდი უმრავლესობა დვალებს ქართველებად თუ არა, მონათესავედ მაინც მიიჩნევს. ყოველ შემთხვევაში, დვალების მიკუთვნება იბერიულ-კავკასიური ერთობისთვის ეჭვს არ იწვევს. არიან დვალები ქართველური წარმოშობის თუ არა, ეს ჯერ კიდევ დასაბუთებას საჭიროებს, მაგრამ მათი მიკუთვნება ქართული სამყაროსადმი უდავო ფაქტად მიიჩნევა.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით მრავლადაა ქართველ ისტორიკოსთა და ეთნოგრაფთა ნაშრომები. მათი ძირითადი აზრი



დვალების ქართულ კუთვნილებას ასაბუთებს (არ განიხილება შესაბამის ნაშრომთა ავ-კარგიანობა, ეს მიზანს სცილდება).

ქართველ მკვლევართა მცირე ნაწილი დვალების ვაინახურ (ჩეჩენ-ინგუშურ) წარმომავლობას ემხრობა. მათი თვალსაზრისის თანახმად, დვალები ეთნიკური წარმომობით არც ქათველებია და არც ოსები. დვალები, თანამედროვე ჩეჩენ-ინგუშების ჯიშის ტომია. ამ თვალსაზრისს ფართო განხილვა მიუძღვნა ვ. გამრეკელმა.

რა იქნება მომავალში?

აღარ არსებობს ცალკე დვალეთი. აღარ არსებობენ ცალკე ტომის თუ ტომთა გაერთიანების, ცალკე ეთნოსის სახით დვალები. უცნობია დვალური ენა, ისტორიული გეოგრაფია, ისტორია. თანამედროვეობა სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს დანახულ-განხილული.

ამასთან, ყოველი პროცესი უკავშირდებოდა და დაუკავშირდება ანტიკური პერიოდის მოაზროვნეთა რამდენიმე გამონათქვამს და ქართულ ისტორიულ ცნობებს. სხვა წყარო პრობლემის შესწავლისა არ არსებობს. მთავარია, ვის როგორ ესმის ან სურს გაიგოს შემონახული ცნობები.



პირველწოდება

მკვლევართა შეუთანხმებლობა დვალების რაობასთან დაკავშირებით, საჭიროს ხდის მათი (ეთნოსის, ტომის) მოხსენიების ან მათზე მითითებების მოკლე ანალიზს. თანამედროვენი ამ პრობლემებსაც თავისებურად ხსნიან და არსებულ წინააღმდეგობებს საფუძველს „უძებნიან“.

ითქვა, რომ ოსი მკვლევარები დვალებს ძირძველ ოსებად მიიჩნევენ და დარწმუნებულნი არიან, რომ ეს „ოსური ტომი“ უძველესი დროიდან კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე სახლობდა. რამდენიც არ უნდა იღვაწონ ა. კალოევმა, ი. გაგლოითმა, ა. ჩოჩიევმა და მათმა მხარდამჭერმა რუსმა მკვლევარებმა, ზერელე ნათქვამს ახალს ვერაფერს შემატებენ.

მართალია, ანტიკური წყაროები ბევრს ვერაფერს გვაუწყებენ დვალეთის შესახებ, მაგრამ არსებული ინფორმაცია მათ მაინც მოიხსენიებს.

გეოგრაფიის მამამთავრად აღიარებული სტრაბონი¹ ამბობდა: კავკასიონი „საზღვრავს სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სარმატთა დაბლობებს²“.

სტრაბონის ნათქვამი მთელი კავკასიონის ჩრდილოეთს

1. დაიბადა ძვ. წ. აღ. 63 წ. მცირე აზიის ქალაქ ამასიაში, ცნობილი მითრიდატე პონტოელის სამეფო ოჯახის ახლობელ წრეში, შეიძლება ეთნიკურადაც ადგილობრივი ლაზი-ხალიბი-ჰალიძონი იყო და შედარებით ახლოს იცნობდა კავკასიონის არეალის ტომებს.

2. თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ. 1957. გვ. 121



ეხება. „სარმატთა დაბლობებში“ იგი აერთიანებდა დიდ ტერიტორიას, საზღვრავდა მის ჩრდილოეთ სივრცეს, მაგრამ ამავე დროს გამორიცხავდა მის შემადგენლობაში კავკასიონის ჩრდილო ფერდობების მოაზრებას.

კავკასიონის მთიან მხარეს სტრაპონი სხვა ადგილას ახასიათებს და ამბობს: იბერიის დიდ ნაწილს „რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზედ, რომელთა მეზობლებიც და ნათესავებიც არიან“ (გვ. 128).

დასამახსოვრებელია:


1. სტრაპონი ჩრდილოეთ კავკასიის ვაკე სივრცეს „სარმატთა დაბლობებს“ უწოდებს, რატომ? დაბლობებში იმ დროს სარმატები და შეიძლება სხვა (ირანულენოვანი ტომები) მოსახლეობდნენ. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა როდიდან და როგორ მოხვდნენ ისინი ამ არეალში. მთავარია, რომ მათ მხოლოდ დაბლობები ეკავათ და მთიან მხარეს მოწყვეტილები იყვნენ. უკვდავი სტრაპონი აღესრულა ჩვენი წელთაღრიცხვის 24 წელს. ე. ი. ამ დროისათვის ეს ტომები მხოლოდ „სარმატთა დაბლობებზე“ მომთაბარეობდნენ;

2. სტრაპონის პერიოდისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარეობდნენ სარმატები და, რაც მთავარია, სკვითებიც. ეს დასამახსოვრებელია ორი ვითარების გამო: ა) სკვითები იმ დროს ახლო ურთიერთობაში იყვნენ მითრიდატე პონტოელთან (ძვ. წ. აღ. 128-63) და სახლობდნენ ყირიმის ჩრდილოეთ სტეპებში; ბ) სკვითები, რომლებიც ლაშქრობდნენ სამხრეთ კავკასიაში, ირანულენოვანი მიდიელების მიერ განიდევნენ, უკან, ჩრდილოეთში (ამ ორი მომენტის დამახსოვრება მიაახლოებს დავასთან: სკვითები ოსების წინაპრებია თუ რუსების?);

3. სტრაპონი გამორიცხავს კავკასიონის მთიან მხარეში სარმატებისა და სკვითების მოსახლეობას, მაგრამ აღნიშნავს, რომ იქ „მებრძოლი ბუნების“ ტომები სახლობენ. რომელი არ აკონკრეტებს, მათ ყველას იბერიული წარმოშობისად მიიჩნევს. ამ ფაქტმა შეცდომა არ უნდა გამოიწვიოს. არ უნდა



Յորմանութ, բոլ յև յարտզելլորո ტոմեծուա. Ցեղազելլոծուան ար ցամոցը բիշէ, բոլ օմ ձերուութու լուսալու ցարմանունու բոմայլու ուժուուշունու ուսցեց զլազուշունու



Сарматский всадник.
Реконструкция М. Горелика

მოწმობით, იბერებს ეძახდნენ თუბალურ ტომებს. თუბალები-ფაბალები-იბერები. უფრო ადრე ისტორიის მამად წოდებული პერიოდოტე თუბალებს სასპერებსაც უწოდებდა. ამდენად



დასამახსოვრებელია, რომ იბერიის სამეფოს იბერებსა და სკვით-სარმატებს შორის მრავალი იბერიული (თუბალური) მებრძოლი ტოში სახლობდა;

4. ორი ათასი წლის წინათ, არ იცნობდნენ რა კარგად ამ მთიელ ტოშებს, არ იცოდნენ მათი ავ-კარგი და საორიენტაციოდ სკვით-სარმატთა მეზობლებს მათ „ყაიდაზე“ მცხოვრებლებს და ნათესავებსაც უწოდებდნენ;

5. მართალია, სტრაბონი მთიელ ტოშებს არ ასახელებს, მაგრამ უეჭველად იგულისხმებიან ტოშები, რომლებიც ისტორიული აუცილებლობით გახდებიან ცნობილნი მომავალში და მათ შორის დვალები;

6. სტრაბონი, რაც მთავარია, ამ შემთხვევისათვის, მთის ამ ტოშებს აცალკევებს სკვით-სარმატებისგან.

კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრები ტოშების ვინაობა ანტიკური პერიოდის მწერლებს, ასე თუ ისე, გამჟღავნებული ჰქონდათ. მათი ცნობების მიხედვით, ჩრდილო-დასავლეთით სახლობედნენ: მეოტები, სინდები, თორეტები, კერკეტები, ფატეები და, შესაძლოა, სხვა ტოშებიც. ცენტრალურ ნაწილში ფიქსირდებოდნენ: ფტიროფაგები, ლარღარები, ისადეკები (სოდები), ჰამიკეთები და, რაც მთავარია, – ტალები. ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე ცნობილია ბინადარი ლეგების, გელების, კასპიების, დიდურების, ანდავების და სხვათა სახელებით.

გამოდის, რომ იმ დროს ალბანელებს, იბერებსა და ეგრისელებს ერთი მხრივ და სკვით-სარმატებს შორის მეორეს მხრივ, მრავალ მებრძოლი ბუნების მქონე მთიელ ტოშს უცხოვრია.

ჩვენთვის საინტერესო დვალების შესახებ ცნობა შემოინახეს ცნობილმა პლინიუსმა და პტოლემეიოსმა. მხოლოდ ეგაა, დვალებს ძველი ავტორები უწოდებენ უალებს, ტალებს. არც ერთ მკვლევარს სადაოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ ამ სახელებით ყოველთვის იგულისხმებიან დვალები.

დვალები არიან კავკასიონის მთიანი ჩრდილოეთი მხარის მცხოვრებლები და ეთნიკური წარმომავლობის მხრივ, არავითარი საერთო სკვით-სარმატებთან არა აქვთ.



პლინიუსი საინტერესო ცნობას იძლევა კავკასიონელ მთიელთა ჩრდილოეთის ბარის მეზობელ, მომთაბარე სარმატებზე. მისი თქმით: გადმოცემის თანახმად, სარმატები მიდიელების ჩამომავლები არიან («Сарматы по преданию потомки Мидиян»). ცნობა პრინციპულ მნიშვნელობას იძენს სარმატთა ტომების კავკასიონის ჩრდილოეთში (სტეპებში) გამოჩენის პერიოდის დადგენის თვალსაზრისით.

თუ გავიზიარებთ სარმატების მიდიური წარმომავლობის თვალსაზრისს, მაშინ იგი უნდა დაუკავშირდეს სპარსეთის სამეფოს შემქმნელი კიროსის სახელს. ძვ. წ. აღ. VI საუკუნეში კიროსმა დაამარცხა მიდიელები, ნაწილი განიდევნა, ნაწილი კი სპარსეთის შემადგენლობაში მოექცა. განდევნილი მიდიელები სარმატთა სახელით ითვისებენ კავკასიონის ჩრდილოეთს. ეს ცნობა არ ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ სარმატები კავკასიონის ჩრდილოეთში გამოჩნდნენ სკვითების შემდეგ. დასაზუსტებელი რჩება მეორე: ცნობილი სარმატული ტომები – აორსები და სირაკები. რამდენად შეიძლება მიჩნეულ იქნენ სპარსეთს გარიდებული მიდიელების ჩამომავლებად.

ასეთი ვერსიის დადასტურებას (აღიარებას) უშუალო კავშირი ოსების წარმომავლობასთან აქვს და არა დვალებთან. დვალებისათვის ამ ცნობას მნიშვნელობა ბევრად გვიან (ორი ათასი წლის შემდეგ) მიეცემა. ამიტომ, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ცნობის დამახსოვრებაა არსებითი.

სარმატების (ან მათი ნაწილის) მიდიური წარმომავლობა კიდევ ერთ პრობლემას უკავშირდება. რამდენად შეიძლება სარმატები (უნინდელი მიდიელები) სკვითების მონათესავედ იქნენ მიჩნეული. სკვითები, რომლებიც ბრძოლებით შეიჭრნენ კავკასიონის სამხრეთში და ურარტუს სამეფოს დაემუქრნენ, სწორედ მიდიელებთან დამარცხდნენ და განიდევნენ ჩრდილოეთში. ეს სარმატებისა და სკვითების მტრობას (და არა ნათესაობას) ნიშნავს და, თუ ეს ასეა, მაშინ კიდევ ერთი პრობლემა ჩნდება: ისტორიული წყაროები სკვითებს მოიაზ-



რეპენ სარმატების ჩრდილოეთით მდ. დონის მიდამოებში არსებულ მომთაბარე ტომებად. ამავე დროს, სკვითებს შორის ასახელებენ ალანებს. ალანები სკვითებია და, ამავდროულად, სარმატების მტრები.

ამ, თითქმის უმნიშვნელო ცნობებს დიდი მნიშვნელობა მიენიჭებათ ოსების წარმოშობისა და ძველი ისტორიის მართებული გაგების საკითხში.

ისტორიული წყაროების მიერ შემორჩენილი ცნობები ლოგიკურად ლაგდება და გასაგები ხდება მხოლოდ ლეონტი მროველის თვალსაზრისის გაცნობის გზით. ფაქტია, რომ კავკასიონელთა და მათ შორის დვალების უძველესი ისტორია ვერ შეისწავლება მისი მემკვიდრეობის შესწავლის გარეშე.



დაწუნებული პროცესი

მროველის ირგვლივ თვალსაზრისთა სიმრავლეა, ზოგჯერ – ურთიერთსაპირისპირი. არაერთხელ გაულერდა აზრი მისი შემოქმედების ზღაპრულობის, ტენდენციურობის შესახებ. დაკვირვებული მკითხველი გაკვირდება, როცა გაიგებს, რომ მას პროსომხობა, აფხაზთა უგულვებელყოფა, ქართველთა დამცრობა-დამდაბლება ბრალდება. აღმოჩენასავით გაისმა, როცა მას „დურძუკოფილობაც“ მიეწერა. მროველის მიერ დამკვიდრებული ტერმინი „კავკასიი“, „კავკასიანი“ ყოფილა „საეჭვო შემეცნებითი ღირებულების მქონე ფაქტი“. „მეტისმეტად სიმპატიური“ ყოფილა მისი „დურძუკოფილური“ პასაჟები, კერძოდ, „კავკასიის ნათესავთა“ შორის მათი პირველობის ფაქტის საგანგებო ხაზგასმა.

ლეონტი მროველს არც დაცვა და არც გამართლება არ სჭირდება. ის აღწერს ბიბლიური წარმომავლობის რანგში აყვანილი უძველესი (წარღვნამდე არსებული და წარღვნას გადარჩენილი) ტომის (შემდეგ ტომთა გაერთიანების) თუბალების ისტორიას, ლოგიკურად ალაგებს ძვ. წ. აღ. III ათასწლეულიდან მოყოლებული ფაქტების შემორჩენილ ინფორმაციას.

სხვაგან ითქვა და გამეორდება ცნობილი მკვლევარის ვ. ნ. კოვალევსკაიას შეფასება იმის შესახებ, რომ მხოლოდ მროველის მეშვეობით შეიძლება ლოგიკურად დალაგდეს და სარწმუნო ისტორიული სახე შეიძინოს იმ მოვლენებმა, რასაც ადგილი ჰქონდა



კავკასიონის ჩრდილოეთში ძვ. წ. არ. II-I ათასწლეულებში¹.

ბრძენი წინაპრების ნაზრევი, ეპოქისა და მოვლენების შესწავლით გაიგება და არა განწყობით.

იყო მსჯელობა დვალების პირველწოდებასთან დაკავშირებით. მათი ეთნიკური რაობა, განფენის თავდაპირველი გეოგრაფია, ურთიერთობანი მტერ-მეზობლებთან ლოგიკურად დალაგებულ სახეს მხოლოდ მროველის მეშვეობით ღებულობს. ამიტომ, ვისაც მართლა სურს დვალების ისტორიის გაგება, გვერდი არ უნდა აუაროს ან გააყალბოს წინაპრის იდეური ნაანდერძევი.

როგორც გაფრთხილება, უნდა ითქვას: ლეონტი მროველი თავისი ეპოქის შვილია, სარგებლობს არსებული ტერმინოლოგით, აღნერს მანმადე 4 ათასი წლის წინანდელ ამბებს და თუ ყოველივეს დღევანდელი თვალთახედვით განვიხილავთ, ბუნებრივია, ბევრი რამ გაუგებარი და ზღაპრული გახდება.

ასეთი გაფრთხილების გაუთვალისწინებლად თვით სულმანათ ივანე ჯავახიშვილის ნათქვამიც კი კარგავს სიზუსტეს. ნაშრომში იგი წერს: „დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იქნეს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორივე მთავარსა და პირიქითს ქედებს შუა არის მოქცეული. ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო.

ძველთაგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა...²“

დიდი ივანეს ეს განმსაზღვრელი დებულება ჭეშმარიტებას ეფუძნება, მაგრამ როდიდან? როგორ უნდა იქნეს გაგებული „ძველთაგანვე“, თუ არ იქნა დადგენილი – როდიდან, დებულება ბუნდოვანი და მიუღებელია.

დასკვნა ბოლომდე ნათელი და მისაღები მხოლოდ ლეონტი მროველის მართებული გაგების გზით შეიძლება გახდეს.

პრაქტიკული ხასიათის შეგონებაა: გამეორება ცოდნის

1. В. Н. Ковалевская, Кавказ и Аланы, М, 1984г с. 71

2. о. ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, თბ., 1919, გვ.6-9



დედაა. მროველის მონათხრობის მისამართით უნდა განმეორდეს: იგი ასახვს ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის მოვლენებს და ამის გათვალისწინების გარეშე წარსულის რეალური წარმოდგენა შეუძლებელია.

სამწუხაროდ, არავის უცდია, დაედგინა, რა ხანგრძლივობის პერიოდს მიმოიხილავს მროველი. თუ ისტორიულ ცნობებს ამის გარეშე განვიხილავთ, მონათხრობი ზღაპრულობის იერს ტოვებს.

პრობლემას შეიძლება მივუდგეთ ასე: „ბიბლიაში“ არის პატარა ისტორიული ნაწილი, რომელიც იძლევა ინფორმაციას უძველესი ტომების შესახებ: 1) ეს ინფორმაცია ერთად ასახელებს იაფეტური წარმომავლობის თუბალებსა და მეშეხებს. ეს მომავალი თუბალი, ტაბალი, სასპერი, იბერია და მომავალი მეშეხი მუსკ-მუშქ-მესხი. ამის ახსნას ცნობილი ძველი ებრაელი ისტორიკისი იოსებ ფლავიუსი (ფლავიოსი) იძლევა. იგივე „ბიბლია“ გადმოსცემს ინფორმაციას ადამიანთა მოდგმის სამ – იაფეტურ, ქამიტურ და სემიტურ ნაწილებად გაყოფის შესახებ. ამას მოსდევს დახასიათება და თაობათა არსებობის სია. „ბიბლია“ ამას წარმოადგენს, როგორც სამი ვაჟის სემის, ქამის და იაფეტის მიერ გარემომცველი არეალის (სამყაროს) გაყოფას და შემდეგ ცალკ-ცალკე ცხოვრებას. სემის შთამომავლობის სია სრულად არის მოცემული (თანაც მათი ასაკის ასახვით, ის მოიცავს ებრაელთა მამამთავარ აბრაამის დაბადებასაც), დანარჩენი ორის ძმის შთამომავლები კი – არასრულად. მართალია, ჩვენთვის საინტერესო იაფეტის მემკვიდრეთა სია არასრულია, მაგრამ ჩამონათვალი მოდის თუბალთა ლეგენდარულ მამამთავარ თარგამოსამდე.

ისტორიულად დასაბუთებულად მიიჩნევა, რომ ებრაელთა მამამთავარი დაიბადა ძვ. წ. აღ. 1813 წ. თუ არითმეტიკულად გამოითვლება, აბრაამიდან სემამდე რამდენ თაობას უცხოვრია და რომელს რომელ ასაკში შესძენია მემკვიდრე, ძალზე მარტივად მივალთ ძვ. წ. აღ. III ათასწლეულამდე და შეიძლება, უფრო იქითაც. გამოთვლა მიახლოებითია. მიახლოებითია თარგამოსის



ეპოქაში მაცხოვრებელი სემის შთამომავლის ზეობაც, მაგრამ ძვ. წ. აღ. III ათასწლეული დანამდვილებით დგინდება. შესაბამისად, როდესაც მროველი აღნერს თარგამოსიანელ თუბალთა ერთობის დაშლას და მიგრაციულ პროცესებს, მხედველობაში ძვ. წ. აღ. III ათასწლეული აქვს. მისი მონათხრობის თანახმად, თუბალ ტომთა რვა გაერთიანების ერთობის რღვევა, მათ მიერ რვა დამოუკიდებელი სამეფოს დაარსება ძვ. წ. აღ. III ათასწლეულს მიეკუთვნება.

ის ფაქტი, რომ მროველი ამ პროცესებს გადმოცემს თარგამოსის რვა ძის მიერ საკუთარი ტერიტორიების განსაზღვრისა და სამეფოების შექმნის ფორმით, არ არის ისტორიული პროცესის უგულვებელყოფის, ზღაპრად წარმოდგენის საფუძველი.

დვალების გეოგრაფიული განვითარებისა და ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრის საქმეში მროველის მიერ დანატოვარი ინფორმაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მროველის მიხედვით: 1. ვრცელი ტერიტორია კასპიის ზღვიდან და ვანიურმიის ტბების რაიონიდან ხმელთაშუა და შავ ზღვებამდე, მდინარეების ტიგროსისა (იდიგნა) და ევფრატის (ფურათუ) ზემო (მთიანი) წელიდან კავკასიონის ჩათვლით, ეკავა თუბალური წარმომავლობის ტომების რვა გაერთიანებას. მათ დასავლეთით სახლობდნენ მოძმე იაფეტური წარმომავლობის მეშებთა ტომები. აქვე უნდა ითქვას, რომ მათ ეკავათ ტერიტორიები ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩათვლით.

რაც მთავარია, კავკასიონის ჩრდილოეთი მხარე მდ. ვოლგამდე (ზღვა-მდინარემდე) უკაცრიელი იყო. ეს ნიშნავს, რომ იმ ვრცელ მხარეში ძვ. წ. აღ. III ათასწლეულისთვის მუდმივი მოსახლე არავინ ფიქსირდებოდა.

კავკასიონის სამხრეთი მთაგრეხილის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილები ეკავათ თუბალ-ეგროსელებს და თუბალქართებს (რამდენადაც თუბალებს იბერიელებსაც უნიდებდნენ, შეიძლებოდა თქმა იბერ-ეგრისელები და იბერ-ქართები, რადგან ქართთა ტერიტორიაზე ძვ. წ. აღ. IV ს. აღმოცენებულ სამეფოს იბერია ეწოდებოდა. აზრის გაგების სიცხადისათვის, უმჯობესია ითქვას თუბალ-ქართები).



ტომთა ამ ორ გაერთიანების გეოგრაფიულ საზღვრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დვალების სასიცოცხლო არეალის დაგენერის საქმეში.

კავკასიონის დასავლეთი ნაწილი ეგროსულ ტომთა მიერ იქნა ათვისებული. მროველი გვამცნობს: „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა ან ჰქვიან ლიხი; დასავლით ზღუა, ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წვერი კავკასიისა“¹.

გამოდის, რომ ეგროსულ ტომებს ძალზე ვრცელი ტერიტორია დაუკავებიათ მდინარე ყუბანამდე (მდინარე მცირისა ხაზარეთისა. დიდი ხაზარეთის მდინარე, მროველის მიხედვით, ვოლგა).

ამ ცნობას უნდა დაემატოს მეორე, რომლის თანახმად მდინარე ყუბანის სათავეები სვანებს ეკუთვნოდათ. იქმნება ვითარება, რომლის თანახმად მდინარე ყუბანის მარცხენა მხარე ეგროსელების სამკვიდროა. ეს არ ნიშნავს მდინარის საზღვრად დაწესებას. არის შემორჩენილი ინფორმაცია, რომ მდინარის მარჯვენა მხარეს ეწოდებოდა სვანთა ველი. შეიძლება ზოგ ადგილას მდინარის მარცხენა მხარეს არაეგროსული მოსახლეობაც იყო. მთავარია, რომ ეგროსელები განფენილნი იყვნენ მდინარემდე მცირე ხაზარეთისა (ყუბანი).

ეგროსელების აღმოსავლეთით ქართები სახლობდნენ. ლიხის მთა იყო მათი გამყოფი.

თავად ქართთა ტომები, ეტყობა, მოსახლეობამრავალი იყო და დიდი სივრცეც დაუკავებიათ. ამ შემთხვევაში საინტერესოა ქართთა ჩრდილოეთი საზღვარი. მროველის თანახმად „ჩრდილოთ საზღვარი“ იყო „ლადო“, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასიისგან და მიჰკიდავს წუერსა დასასრულსა ლადოსა, რომელსა ან ჰქვიან ლიხი“².

1. ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, ტ.1, გვ.5.

2. იქვე, გვ.4.



ამრიგად დგინდება, რომ ეგროსელებს დაუკავებიათ კავკასიონის დასავლეთი ნაწილი მდ. ყუბანამდე ველებით, ხოლო ქართებს ლიხის მთის აღმოსავლეთით ლადოს მთამდე. ქართებს კავკასიონის ქედი, მისი ჩრდილოეთი მხარე არ თუ ვერ აუთვისებიათ. გასახსენებელია სტრაბონის ცნობა, რომ ქართებს (ბარის იბერებს) აქ მთის იბერები დახვედრიან.

ვინ იყვნენ მთის იბერები, რომელი ტომები, დაუდგენელია. მროველი მათ კავკასიანების სახელით გვაცნობს. ამავე დროს აღნიშნავს, რომ თუბალ-იბერ ტომთა ორი გაერთიანება – ლეკოსები და კავკასიანები, იმ დიდი მიგრაციული პროცესების დროს, იძულებულნი იყვნენ გადასულიყვნენ მთაგრეხილს და ჩრდილოეთის დაბლობი ველების ათვისება დაეწყოთ.

მროველი ამ ვითარებას ასე გადმოგვცემს: „ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსისი, არამედ არცა იყო კაცი კავკასისა ჩრდილოთ; და უმკვიდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიოთგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთვის გამოიყვანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი, ლეკან და კავკასი და მისცა ლეკანს ზღვითგან დარუბანდისათ ვიდრე მდინარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად და მისცა კავკასის ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულამდე კავკასისა, დასავლით“¹.

დგინდება, რომ დვალების (ტალების) ტომი შედიოდა კავკასის ტომთა გაერთიანებაში. ამ გაერთიანებას ეკავა ან უნდა დაეკავებინა კავკასიონის ჩრდილოეთით უკაცრიელი მხარე ეგროსის მამულების მომიჯნავედ ანუ მდ. ყუბანის მარჯვენა მხარის მიწები ზღვამდე. კავკასიანთა საზღვარი სამხრეთით ემიჯნებოდა ქართთა და ეგრისელთა სამოსახლოს, აღმოსავლეთით მდ. თერგს².

ვინ იყვნენ კავკასიანები? შედიოდნენ თუ არა მათ შემადგენლობაში ანტიკური ავტორებისათვის ცნობილი ტომები, რომ-

1. ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, ტ.1, გვ.5-6.

2. თერგს ასევე უწოდებდნენ დერგს, ლომეკს, ჩრდილოეთის არაგვს.



ლებიც კავკასიონის ჩრდილოეთით ცენტრალურ და დასავლეთ მხარეებს იკავებდნენ? ამ საკითხის გარკვევას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. საკმარისია, მიეთითოს, რომ ისინი დიდი ხნის განმავლობაში მიჩნეული იყვნენ იმ ადგილებში დღეს მოსახლე ეთნოსების უშუალო წინაპრებად.

მაგალითისათვის ითქმება, რომ დღეს, კავკასიონის ჩრდილოეთის მაცხოვრებელი ადილები უძველესი ტომების – მეოტების, სინდების, კერკეტების ჩამომავლებად ითვლებოდნენ. დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ ეს ტომები ადილთა წინაპრებად. სინამდვილე კი სულ სხვა ვითარებას შეიცავდა. მაგრამ ვინ უყურებდა სინამდვილეს? ასე სჭირდებოდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკას. არადა, განსასჯელია, როგორ შეიძლებოდა თათარ-მონღოლთა ნაწილის (ადილეველებისა, რომლებიც XIII ს. გამოჩნდნენ ევროპაში) და კავშირება ორი ათასი წლით ადრე არსებულ ტომებთან. უფრო მეტი, დღემდე მტკიცედ მიაჩნიათ, რომ ადილელები, უძველესი დროიდან მოყოლებული, აფხაზებთან ერთ ეთნოსს შეადგენდნენ და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთს ფლობდნენ. ამ ნიადაგზე კი ჭეშმარიტი აფხაზები მეგრელებად არიან გამოცხადებული, ხოლო ადილები აფხაზებად. ამავე დროს წაშლილია ზღვარი მეგრელებს (ეგრისელებს, კოლხებს) და ქართებს შორის. და თუ დღევანდელი გაგებით, მეგრელები ქართებია, მაშინ ადილ-აფხაზებს არ შეიძლება რამ საერთო ჰქონდეთ აფხაზ-ქართებთან.

დვალების მიმართ კი ისმის კითხვა: ისტორიისათვის ცნობილი ტომები რა კავშირში შეიძლება ყოფილიყვნენ კავკასიანებთან და მათ შორის დვალებთან? კავკასიონის ჩრდილოდასავლეთში დაფიქსირებული მეოტები, სინდები, თორეტები, კერკეტები, ფატეები, დოსხები, ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირებული ფტიროფაგები, ღარღარები, ისადეკები, ჰამიკეოები და სხვანი, დვალებთან (ტალებთან) ერთად შეადგენდნენ კავკასიან ტომთა გაერთიანებას თუ არა.

საკითხი უბრალო ინტერესის საგანი როდია. ამის მიხედვით დადგინდება დვალთა ეთნიკური წარმომავლობა. არადა, გაურკვევლობა ბადებს ვერსიათა სიმრავლეს.



რა ვიცით კავკასიანების შესახებ?

პრობლემის გაგებაში შეიძლება გარკვეული სიცხადე შეიტანოს ძველ პელაზგურ-ბერძნულ მითოლოგიაში გაუღერებულმა ე. წ. კავკონების საკითხმა. ამიტომ მცირე ინფორმაცია: საყოველთაოდაა ცნობილი გადმოცემები პრომეთეს კავკასიის მთებში კლდეზე მიჯაჭვის, არგონავტთა კოლხეთში მოგზაურობის შესახებ და ა. შ. ბალკანეთის ნახევარკუნძულის უძველესი მცხოვრებლები (პელაზგები და შემდეგ ბერძნები) დიდ ინტერესს იჩინდნენ და ბევრი რამ იცოდნენ კავკასიის შესახებ. თუ ჰომეროსის „ილიადას“ მიხედვით ვიმსჯელებთ, მათ ტროას (ანუ მცირე აზიის) გზა არ იცოდნენ. მაში, საიდან უნდა სცოდნოდათ შორეული კავკასიონის შესახებ? კავკონებისგან ხომ არა? ცნობილია, რომ ულუმბოს (ოლიმპოს) მთის კალთებზე კავკონთა ტომი მოსახლეობდა. კავკონთა ტომი (თუ ტომის ნაწილი) ასევე მოსახლეობდა პაფლაგონიაში – მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე. კავკონებს უწოდებდნენ კავკასიანებსაც. ძველი ბალკანელები იტყოდნენ კავკონებს, მროველი მათ კავკასიანებად მოიხსენიებს. კავკასიანების და კავკასიელების შესახებ ცოდნა კავკონებისგან იქნებოდა წაღებული დასავლეთში.

რომ შეჯამდეს, გამოვა: კავკასიანების ნაწილს უცხოვრია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ნაწილს – მცირე აზიაში, ნაწილს – კავკასიის ჩრდილოეთში. ეს, თავისთავად მათ სიმრავლეზე, მრავალტომეულობასა და სიძლიერეზე მიუთითებს. არავინ იცის, რამდენი ტომისგან შედგებოდნენ კავკასიანები. არც ის იციან, ევ. წ. აღ. III ათასწლეულიდან მოყოლებული, რა ოდენობის ტერიტორიები დაიკავეს მათ ჩრდილოეთში. რამდენადაც სხვა ისტორიული წყარო არ არსებობს, საჭიროა, დასახმარებლად კვლავ მროველის მოხმობა. იგი, თუბალების თავგადასავლის თხრობისას, ორ მნიშვნელოვან ფაქტს მიუთითებს:

1) მტკვარ-არაქსის ცივილიზაციის დაშლამ (თუბალური ტომების ერთიანობის რღვევამ და ნამსხვრევებისგან სხვა სამეფოს დაარსებამ) დაასრულა მათი ძლიერება. ამით, პირველ რიგში, ასურეთის იმპერიამ ისარგებლა. თუბალებმა მოახერხეს



გაერთიანება, დასავლეთიდან მონათესავე მეშეხური ტომები დაიხმარეს და საფრთხე აირიდეს (განადგურებას გადარჩნენ). ამ ბრძოლაში მონაწილეობა ყველა თუბალურმა გაერთიანებამ მიიღო, მათ შორის კავკასიანებმა;

2) დაახლოებით ძვ. წ. აღ. XIII ს. კავკასიანებს დაემუქრათ განადგურების საფრთხე. ჩრდილოეთიდან შემოსეულ მტერს თუბალები კვლავ გაერთიანებული ძალით დაუპირისპირდნენ. მროველის თხრობის მიხედვით, ორივე საფრთხე თუბალებმა გაერთიანების გზით გაანეიტრალის.

რატომ ითქვა ყოველივე?

ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში კავკასიანები იკავებენ კავკასიონის ჩრდილოეთით ცენტრალურ და დასავლეთ მხარეებს. იქ მათ მუდმივად მაცხოვრებელი არავინ ხვდება. პირველი დიდი ხიფათი მათ დაემუქრათ ძვ. წ. აღ. XIII საუკუნეში. საფრთხე მოიგერიეს. ცხოვრება გაგრძელდა.

ისტორიული ცნობების თანახმად, ამის შემდეგ, კავკასიანებს ძვ. წ. აღ. VIII ს. კიმერიელები ესხმიან თავს. სხვა უცხო ძალა ამ დრომდე არ გამოჩენილა. კიმირიელები შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთი მხარეებიდან სკვითებმა გამოდევნეს.

ამ შემთხვევაში საანტერესოა, რომ კიმერიელებმა მდ. დონი გადალახეს, აზოვის ზღვის აღმოსავლეთი მხარე იავარყვეს, ბრძოლებით კავკასიონს უწიეს და სამხრეთში შეიჭრნენ. მათ სკვითები მიჰყენენ. სკვითებმა გაქცეული კიმერიელების დევნა კავკასიონთან შეწყვიტეს, აღმოსავლეთით წავიდნენ მთავარი ქედის პარალელურად, დარუბანდის კარი გაარღვიეს და სამხრეთში ურარტუს დაემუქრნენ.

ისტორიულად დადგენილია, რომ პირველი ცნობილი დამპყრობებები იყვნენ კიმერიელები და შემდეგ სკვითები. ამ ლაშქრობებთან დაკავშირებით ჩნდება დადასტურებული ცნობა, რომ მებრძოლმა კიმერიელებმა ადგლობრივი ტომები მეოტებისა და სინდებისა ნაწილობრივ გაანადგურეს. გადარჩენილები აზოვის ზღვის ჭაობიან სანაპიროებთან და ქერჩის (ტამანის) ნახევარკუნძულზე შერევეს.



უფრო სამხრეთით, ეგრისელთა სივრცეში ჩნდება ახეელთა და კერკეტების სახელები. ახეელები (აქაველები) ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან გადმოსახლებულად მიიჩნევიან ცნობილი ტროას ომისა და იმ სივრცეში დორიელების (თანამედროვე ბერძნების წინაპრების) შერევის შემდეგ. რაც შეეხება კერკეტებს, დღემდე საკამათოა, არიან ისინი ადგილობრივი ეგრისული თუ კავკასიანური ტომებიდან.

პრინციპული მნიშვნელობა შეიძინა მეოტებისა და სინდების ეთნიკურ-ტომობრივი კუთვნილების საკითხმა. კიმერიელებს ისინი არ შემოჰყოლიან მხარეში, სადაც კავკასიანების გარდა სხვა არავინ სახლობდა. როგორ და საიდან უნდა მოსულიყვნენ სინდები და მეოტები?

უკვე ითქვა, რომ ისინი ადიღების (ყაბარდოელ-ჩერქეზების) შორეულ წინაპრებად მიიჩნეოდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ადგილებში ახლა ისინი სახლობენ. ძიებამ ცხადყო, რომ ადიღები მხოლოდ XIII საუკუნიდან ხდებიან ცნობილნი. შეიძლებოდა მათი დაკავშირება? საბჭოთა „მეცნიერებამ“ შეძლო, მაგრამ ახლა ეს კონცეფცია უარყოფილია. ადიღებს არ შეიძლება, რამე შეხება პქონოდათ კავკასიონის ჩრდილოეთით ორი ათასი წლის წინათ მაცხოვრებელ და შემდეგ ისტორიის ასპარეზიდან გამქრალ სინდებთან და მეოტებთან.

ლოგიკა კარნახობს ამ ტომების კავკასიანურ წარმომავლობის გარიანტს. მხოლოდ ფრთხილი მოსაზრება გამოითქმება მეოტებისა და სინდების, აგრეთვე კერკეტების კავკასიანური თუ თუბალური წარმომავლობის სასარგებლოდ. თუ კავკასიანები (კავკანები) იმდენად ძლიერი ტომობრივი გაერთიანება იყო, რომ მათი ნაწილი ბალკანეთში სახლობდა, ნაწილი მცირე აზიაში, დასაშვებია, რომ კავკასიონის ჩრდილოეთში, სადაც მუდმივად კაცი (კაცებს ადამიანი არქვეს. დედა-კაცი, მამა-კაცი) არ სახლობდა, მათ დიდი ტერიტორიები დაეკავებინათ.

კიმერიელებმა და სკვითებმა არამხოლოდ აზოვის ზღვისპირეთის ტომები გაანადგურეს, არამედ, არანაკლები ზიანი მიადგა კავკასიონის ჩრდილოეთის ცენტრალურ და აღ-



მოსავლეთ ნაწილებს. რა ბედი ეწიათ კავკასიან და ლეკოსიან ტომებს? ეს საკითხიც არაა ინტერესს მოკლებული და არც იოლი გასარკვევია, რასაც ორგანულად უკავშირდება არა მხოლოდ დვალების, არამედ ოსებისა და ალანების წარმომავლობის პრობლემაც.

მანამდე ერთი მინიშნება. პტოლემეიოსი მიუთითებს მდ. დონის მიდამოებში იაქსამატების ტომის არსებობას. ასევე ბევრად გვიანი პერიოდის სომხური გეოგრაფიული წყარო გამოთქვამს აზრს „ნახჩა-მატიანების“ არსებობაზე. იაქსამატები ნახჩა-მატიანებად მივიჩნიოთ თუ არა? იმავე საკითხს უკავშირდება კავკასიანური ტომის თვითსახელი „ნოხჩი-ნახჩა“. ეს ვაინახების თვითსახელია შუა საუკუნეებში. ვაინახები (დღევანდელი ჩეჩენ-ინგუშები) თავისთავად საინტერესო ფენომენს წარმოადგენენ.

მროველის მიხედვით კავკასიანებს ეკავათ კავკასიონის ჩრდილოეთის ცენტრალური მიდამოები. დაახლოებით ორი ათასი წლის განმავლობაში მათ შეძლოთ დაეკავებინათ მდ. თერგის (ლომეკი, დერგი, ჩრდილოეთის არაგვი) დასავლეთი მხარის მიწები ზღვამდე. რამდენი შეძლეს, უცნობია. თუ დავეთანხმებით მეოტების და სინდების კავკონობის შესაძლებლობის საკითხს, მაშინ ასევე დასაშვები გახდება იაქსამატების კავკასიანობა. შესაძლებელია ვაინახური „ნოხჩი-ნახჩას“ დაკავშირებაც მათთან. ეს მით უფრო დასაშვებია, რომ ისტორიული წყაროს მიხედვით, დევნილი ნაწილი კავკასიანებისა, დურძუკ ტირეთის ძის მეთაურობითა და შემწეობით სახლდებიან ლეკოსიანელთა სასიცოცხლო არეალში, მდ. თერგის აღმოსავლეთით (იქ, სადაც დღესაც სახლობენ ჩეჩენ-ინგუშები). ამავე დროს, სრულიად უცნობია, საიდან განიდევნენ ისინი და რატომ ვერ ნახეს თავშესაფარი სხვა კავკასიანთა შორის.

აქვე ერთი ფრიად დამაფიქრებელი ინფორმაცია: ისტორიული ცნობის თანახმად, როდესაც კავკასიანებს და ლეკოსელებს გაუჭირდათ, სავარაუდოდ, ძვ. წ. აღ. XIII ს. მათ დასახმარებლად ყველა თუბალური გაერთიანება გადავიდა კავკასიონის ჩრდილოეთში და მომთაბარე მომხდურები საერთო ძალით მოიგერიეს. ამ დროს თვით თუბალ-კავკასიანები და თუბალ-ლეკოსიანები,



როგორც სხვა ცივილიზებული თუბალური გაერთიანებები, ერთ ადგილას მკვიდრობდნენ და ხელოსნობა-სოფლის მეურნეობას მისდევდნენ. ამიტომ იყო, რომ თუბალებმა საერთო ძალებით „აღაშენეს ქალაქნი“, გაამაგრეს თანამოძმეთა საზღვრები და ისე დაუბრუნდნენ საკუთარ საცხოვრებელს.¹

კიმერიელებისა და სკვითების თარეშს აზოვისა და შავი ზღვების აღმოსავლეთში უნდა მოჰყოლოდა კავკასიან და ლეკოსიან თუბალ ტომთა ნაწილის განადგურება და დიდი მიგრაციები. ნიშანდობლივია, რომ კიმერიელებიც და სკვითებიც მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და მათ შესევას არ მოჰყოლია მომხდურის დასახლებების შექმნა. მათ რბევით გადაიარეს კავკასიონის ჩრდილოეთი, იქ მუდმივად არ დამკვიდრებულან. შესაბამისად, ეთნიკურ-ტომობრივი ცვლილება ამ ლაშქრობებს არ მოჰყოლია.

ცვლილებები დაიწყო იმ მხარეში მესამე, სარმატული წარმომავლობის ტომების გამოჩენასთან ერთად.

როგორც სკვითების შესახებ არ არსებობს ერთიანი აზრი, ასევე ხდება სარმატების (ხშირად სავრომატებს იტყვიან) მიმართ. მკვლევარები ასხვავებენ ევროპელ სარმატებს აზიელებისგან. მათი წყალგამყოფი მდ. ტანაისია (დღევანდელი მდინარე დონი). გამოთქმულია აზრი მათი ვოლგის მხრიდან მდ. დონისა და კავკასიონის ჩრდილოეთში შემოსევაზე. ასევე არაა დაზუსტებული მათი განფენის არეალისა და მეზობლებთან ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ერთი, რაც დავას არ იწვევს, ესაა ძირითადი ტომობრივი შემადგენლობა და ის, რომ მათ რბევით კი არ გაიარეს კავკასიონის ჩრდილოეთი მხარე, არამედ დაიწყეს ჩასახლება.

ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევიან დიოდორე სიცილიელი და პლინიუსი. მათი ცნობების მიხედვით, სარმატები ირანულენოვანი მიდიელების ტომთა გაერთიანების ნათესავნი და განაყრებია.

საინტერესო ვერსიაა. ისტორიულად დადგენილად ით-

1. ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, ტ. 1, გვ.11



ვლება, რომ კავკასიონის სამხრეთში (დარუბანდის კარით) შეჭრილი სკვითები, საბოლოოდ მიდიელებმა დაამარცხეს და უკან ჩრდილოეთში განდევნეს. სად? – უცნობია.

მოკლე ხანში თავად მიდიელები გახდნენ მეზობელი სპარსეთის აგრესიის მსხვერპლნი. სპარსეთის იმპერიის შემქმნელმა კიროსმა მიდია გაანადგურა. მოსახლეობის ნაწილი შეიერთა, ნაწილი ილტვოდა ჩრდილოეთით. ეს პროცესი ძვ. წ. VI-V ს. განვითარდა.

ჩრდილოეთში გადასულებს სარმატების სახელით იცნობენ. სარმატები ორ ნაწილად გაიყვნენ და დაიწყეს კავკასიონის ჩრდილოეთის ცენტრალური მიდამოების რბევა. მათი ერთი ნაწილი – აორსების სახელით ცნობილი ტომები, დასავლეთით მოქმედებდნენ, ხოლო მეორენი – სირაკები – აღმოსავლეთით. მროველი ყველას ერთად და არა მხოლოდ მათ, ხაზარებს უწოდებდა (შეიძლება, მისთვის უცნობი იყო ცალკეულ ტომთა სახელები და შესაძლოა – ის ამას უმნიშვნელოდ თვლიდა. მთავარია, რომ ისტორიული პროცესები ობიექტურად გადმოგვცა).

მროველის თხრობის თანახმად, მტრებმა დაიკავეს კავკასიონის და ლეკოსის „კუთვნილი“ მხარეები. უფრო მეტიც, კავკასიონის სამხრეთში ილაშქრეს, იქიდან ტყვეები წაასხეს და ჩრდილოეთის ველებში ჩაასახლეს. მომხდურ-დამპყრობლებმა, „უობოს“ ხელმძღვანელობით, კავკასიონის არეალში შექმნეს ახალი, მძლავრი სამეფო, რომელსაც კავკასიანები ხარკს უხდიდნენ.

რომ არ დარჩეს შთაბეჭდილება, რა კავშირშია ყოველივე დღვალებთანო, კვლავ ლეონტი მროველს მივმართოთ: კავკასიანთა არეალში, მდ. თერგიდან დასავლეთით დაფუძნებულმა მტერმა თავისი ბატონობა ადგილობრივ ტომებზე გავრცელა.

მსჯელობა იყო კავკასიონის ჩრდილოეთში მოსახლე თუბალურ ტომთა სიმრავლეზე, მათ შორის ცენტრალური კავკასიონის მიდამოებში ღარღარების, ისადეკების (სოდებს), პამიკეთების, ტალების, აღმოსავლეთით – ლეკების, გელების, კასპიების, დიდურების, ანდაკების ტომთა არსებობაზე. ამას



ემატებოდა სამხრეთიდან ტყვედ წაყვანილ თუბალთა დიდი რაოდენობა.

რა მოუვიდათ მათ სარმატულ-მიდიურ აორს-სირაკების (მროველის მიხედვით – ხაზარების) ბატონობისას?

ლეონტი მროველი თხრობას ასე განაგრძობს: „და დაე-შენა უობოს და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი, და იგი არს ოვ-სეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასიისა“¹. ამრიგად, სარმატებმა დაიპყრეს კავკასიანთა და ლეკოსიანთა მხარეები და მოსახლე თუბალური ტომები დაიმონეს. მათ შორის იყვნენ ტალები, უალები ანუ დვალები. ცხადია, დვალები რომ სარმატ-აორსები ანუ ოვსები (თუბალ-ქართველებისთვის) ყოფილიყვნენ, მაშინ აღარ ითქმებოდა მათი დაპყრობა-დახარკვის შესახებ.

სარმატების, განსაკუთრებით მათი აორსების ნაწილის მიდიური წარმომავლობის აღიარების შემთხვევაში სიცხადე ემატება ოსების კავკასიონის ჩრდილოეთში გამოჩენისა და დამკვიდრების არსებით საკითხებს. პირველ რიგში, როდის უნდა მომხდარიყო ყოველივე.

საყოველთაოდ ცნობილია სპარსეთის იმპერიის ფუძემდებელი კიროსის ზეობის დრო, 558-509 წწ ძ. წ. აღ. შეიძლება მიდილების დამარცხებისა და ჩრდილოეთში განდევნის პერიოდის მიახლოებითი გამოთვლა. თუ მხედველობაში იქნა მიღებული ის ფაქტი, რომ სარმატების ჩრდილოეთში განლაგების ძირითად ადგილად მდ. ტანაისის (მდ. დონის) მიდამოები ითვლება, ის ფაქტი, რომ მათი ტომები (აორებისა და სირაკუბის სახელით ცნობილები) იქიდან იჭრებიან კავკასიანთა და ლეკოსიანთა სივრცეში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ კასპიის ზღვის აყოლებით მიაღწიეს სკვითთა სამფლობელოებამდე და აზოვის ზღვის აღმოსავლეთი სტეპები მოიცვეს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სარმატ-მიდიელების ცხოვრების ნირის გათვალისწინება. კიმერიელებისა და სკვითებისაგან განსხვავებით, ისინი მომთაბარე ცხოვრებას არ ეწეოდნენ. ამიტომ იყო, რომ კავკასიან-ლეკოსელები გავლით

1. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 12



კი არ დაარბიეს, არამედ დაპყრობილ ტერიტორიებზე დაიწყეს ჩასახლება. მათ წარმატებას ხელს შეუწყობდა ის გარემოება, რომ თავად კავკასიან-ლეკოსელები მიწას ამუშავებდნენ, კულტურულ სოფლის მეურნეობას, ხელოსნობას და ვაჭრობას მისდევდნენ. ამისდა მიუხედავად, ახალი სივრცის ათვისებას, ახალი სამშობლოს შექმნას, დიდი დრო დასჭირდებოდა.

არანაკლებ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული სარმატებისგან დარბეულ-დაპყრობილი ტომების ახალ ადგილებში დამკვიდრების პროცესი.

ისტორიისათვის უცნობია, რომელ ტომს რა სივრცე ეკავა და საიმ მოხდა მათი გადაადგილება. იყო ნათქვამი, რომ ერთი ვერსიის თანახმად, იაქსამატების ტომს, რომელიც მდ. დონის აზოვის ზღვასთან შესართავის შიდა მიდამოებში ცხოვრობდა, შეიძლება, ადგილი მოენაცვლებინა და სხვა სივრცეში მოხვედრილიყო. შეიძლება, მათი მისამართით ბრძანებდა მროველი: „....ხოლო დურძუკ, რომელი უწარჩინებულესი იყო შვილთა შორის კავკასიოთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა და უწოდა სახელი თვისი დურძუკეთი და მისცემდა ხარკსა მეფესა ხაზართასა“¹. შეხსენებისთვის: მროველი კავკასიონის ჩრდილოეთი შემოჭრილ მტრებს ყველას ხაზარებს უწოდებს.

კავკასიანთა მამულებში დამკვიდრებულ აორსებს თუბალ-ქართები, როგორც ისტორიულ მეზობლებს, ძვ. წ. აღ. IV ს-დან იცნობენ. ამ პერიოდისათვის აორსები უკვე მკვიდრობდნენ ახალ სამშობლოში და ქართ-იბერებთან სამეზობლო კავშირებსაც ამყარებდნენ. უცნობია სარმატ-აორსების (ქართებისათვის ოვების) ცხოვრების წესი. ამიტომ მათ წინამდლოლებს ბელადებადაც წარმოიდგენდნენ და მეფეებადაც.

1. ქ. ც. იქვე, გვ.12




დვალეთის გეოგრაფიული პრეალი ნეარომების მიხედვით

ითქვა, რომ ქართებს ჩრდილოეთიდან მთის იბერები ემეზობლებოდნენ. მთის იბერებში არაერთ ტომს მოიაზრებენ, მათ შორის – ტალებად, უალებად და სახელებულ დვალებს. ზუსტი ცნობების უქონლობა ბევრ კითხვასა და საკამათოს ბადებს. მათ შორის, ისტორიული გეოგრაფიის თვალთახედვითაც.

ის, რაც დღეს ვიცით დვალეთის შესახებ, ფრაგმენტულია და სადისკუსიო. მხოლოდ ერთია დადგენილი: ცნობილი ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოხაზული დვალეთის გეოგრაფია ეფუძნება XVIII ს. პირველი ნახევრის მონაცემებს. არადა, დვალეთის საზღვრებმა, მანამდეც და შემდეგაც, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

უძველესი პერიოდი ბუნდოვანია. მხოლოდ ლოგიკის მოშველიებით შეიძლება მოაზრება, საიდან საით იქნებოდა მათი მოძრაობა. თუბალთა ტომები მხოლოდ გამრავლების კვალობაზე შეძლებდნენ ახალი სივრცეების ათვისებას. თუ დავეთანხმებით ბიბლიურ-მითოლოგიურ მონაცემებს, არარატ-მასისის მთებს შორის და ვანის ტბის მიდამოებში პირველსახლობის შესახებ, შეიძლება გონების ძალით წარმოვიდგინოთ, თუბალების და, მათ შორის, დვალების წინაპართა მიგრაციული მოძრაობის მარშრუტი.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა გამართლებულია ტოპონიმური პარალელებით და განმტკიცებულია არქეოლოგიური





მონაპოვრებით. ძნელია იმის უარყოფა, რომ შემთხვევითობას არ უნდა მიეწერებოდეს ასეთი ხაზი: ვანის ტბიდან აღმოსავლეთით: ვანი, სევანი, იჯევანი, ფარავანი (თაფარავანი), შორა ვანი (შორა-პანი). ვანი, ისევე როგორც ანკლია (მესხეთში), ანაკლია (სამეგრელოში), ანაკოფია (ახალი ათონი აფხაზეთში), ანაპა (ძველი აფხაზეთში, ახლა რუსეთში) და ა. შ. ცხადია, ტოპონიმ-ჰიდრონიმები ფეხს ვერ აიდგამდნენ, ისინი ერთი მოდგმის, (ტომის) მოძრაობის შედეგია და მაჩვენებელი.

ასევეა არქეოლოგია, მტკვარ-არაქსის ცივილიზაციის დასუსტება-დაშლის კვალობაზე, ძვ.წ. აღ. III ათასწლეულში, ჩნდება მისი ელემენტები კავკასიონის ჩრდილოეთში. ამასთან, კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კოლხური კულტურის ნიშნები, ხოლო აღმოსავლეთში კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთის დამახასიათებელი. ცხადია, მტკვარ-არაქსის ცივილიზაციის დამახასიათებელი ელემენტები, თუბალურ ტომთა მიგრაციას უნდა მიეტანა.

ჩვენთვის ცნობილი დასავლეთის ფარგლებში არქეოლოგიურ-ტოპონიმური და სხვა. მახასიათებლები დაკავშირებული უნდა იყოს დვალების ან მონათესავე ტომების იქცხოვრებასთან. მტკიცედ თქმა იმისა, რომ დვალეთში მუდამ, მხოლოდ დვალები სახლობდნენ, არ შეიძლება, მაგრამ მონათესავე ტომებზე მითითება უშეცდომი იქნება. დადგენილია, რომ ტოპონიმები და ჰიდრონიმები პირველი და ყველაზე მყარი მახასიათებელია გეოგრაფიული კუთვნილების ხაზით.

როგორია ამ მხრივ სურათი დვალეთში?

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილობის თანახმად, დვალეთი კავკასიონის შემდეგ ხეობებს მოიცავდა: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი, ბასიანი, კასრის ხევი, ზრამაგა, ულელე, ნარას ქვაბული, ზროგო, და ზახა¹.

ასე იყო XVIII საუკუნეში, მაგრამ მანამდე?

მართალია, ზუსტი უძველესი საზღვრები უცნობია, მაგრამ საორიენტაციო ინფორმაცია მაინც არსებობს.

1. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 633



ძვ. წ. აღ. III-II ათასწლეულებში დვალები მთლიანად კავკასიონის ჩრდილოეთში იყვნენ განფენილნი. სკვითების გამანადგურებელმა თარეშმა კავკასიან ტომთა გეოგრაფიული განლაგება შეცვალა. ისტორიისათვის უცნობია, რა ბედი ეწიათ ფატებს, ფთიოლფაგებს, დოსხებს, ლარლარებს, ისადაკებს (სოდებს), ჰამიკეთებს. ზოგიერთი მათგანის (ლარლარები) მიკუთვნება დურძუკებისადმი და ამ გზით მათი ისტორიის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ ვარაუდის გზით. ვარაუდი კი ბევრზე ბევრი შეიძლება.

ვარაუდით ისიც ითქმება, რომ ათასწლეულების განმავლობაში, შესაბამისი პირობების დროს, ყოველი ტომი შეეცდებოდა ცხოვრების უკეთესი პირობები შეექმნა. მხოლოდ ძალას შეეძლო ტომი, ეთნოსი, უარეს პირობებს დასჯერებოდა. დვალების ჩამოთვლილი ხეობებიდან მაღალ მთებში მდებარე ადგილებში, არსებობისათვის აუტენტულ გარემოში დვალები იძულებას უნდა დაეკავებინა, სხვაა მთებიდან ბარში გარდამავალი ადგილები. ნათქვამის განსამტკიცებლად ჩამოთვლილი ხეობების გეოგრაფიულ-კლიმატური და საცხოვრებლად ვარგი-სიანობის შედარება-დახასიათება ზედმეტია. შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც ნებაყოფლობით შეცვლის კარგს ცუდზე, მაგრამ ტომმა, ეთნოსმა ეს არ და ვერ უნდა მოინდომოს, ტომს ასეთი პრაქტიკა არ ახასიათებს.

კიდევ ერთი: თანამედროვეობა იცნობს დვალების ტომს. უფრო ზუსტად ახსოვს მისი არსებობა. ათასწლეულების წინ რამდენი ტომისგან შედგებოდნენ დვალები? რატომ უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ დვალები ტომთა გაერთიანებას წარმოადგენდნენ? მართალია, ჩიმის (ჩემიას) ხეობაშიც და ბასიანშიც დვალები სახლობდნენ, მაგრამ ტომობრივი სხვაობა მათ შორის იყო თუ არა? საილუსტრაციოდ – როცა დვალეთის ხეობები ოსთა ფარგლებში მოექცა, დიგორიორნელებს შორის ხომ იყო სხვაობა ტერიტორიულიც და ენობრივიც? რატომ უნდა გამოირიცხოს იგივე დვალთა შორის? სავარაუდოდ, დვალების მიერ ათვისებული ცალკეული ხეობა



რომელიმე ტომს ექნებოდა დაკავებული და შეიძლება მათ შორის ენობრივი სხვაობაც იყო დიალექტის დონეზე. ყველა ერთად კი მთის იბერებს წარმოადგენდნენ და თუბალ-კავკასიანებში შედიოდნენ.

ვ. აბაევი და ა. ცაგაევა არაერთგზის ავითარებდნენ თვალსაზრისს არსებული ტოპონიმების გაგებაში ქართული პლასტის არსებობაზე. თუ 5-4 ათასი წლის წინანდელ ვითარებას წარმოვადგენთ გონების ძალით, ასეთ მტკიცებას შეიძლება ნაწილობრივ დაეთანხმოს ადამიანი. დღეს, სვანურ-ქართულმა ენებმა ყველაზე მეტად შემოინახეს ძველი თუბალ-იბერიული ლექსიკა, ამიტომ ტოპონიმ-ჰიდრონიმების არსის გაგება ამ ენებზეა შესაძლებელი. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თავის დროზე მათი სახელდება ამ ენებზე იყო. როცა თუბალურმა ტომებმა დაიწყეს კავკასიონის ჩრდილოეთის ათვისება, მაშინ ტოპონიმ-ჰიდრონიმები უეჭველად თუბალ-კავკასიანურ ენაზე იქნებოდა დაფუძნებული. სხვანაირად ძნელია ახსნა, რატომაა სამხრეთში ბასიანი, დიდგორი, გორი, ჯახა და ა. შ. და რატომაა ჩრდილოეთში ბასიანი, დიგორი, ზახა და ა. შ. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიგრირების დროს თუბალთა ნაწილი, მიდიოდა და ეფუძნებოდა რა ახალ ადგილებში, შეჩვეული გარემოს ტერმინოლოგია გადაჰქონდა. ეს ბუნებრივი მოვლენაა. სხვა ამბავია, როცა დამპყრობი ეთნოსი ითავისებს სხვათა გარემოს და შესაბამის ტოპონიმიკას.



კლემსანდრეობა

ძვ. წ. აღ. IV ს. მეორე ნახევარში მოხდა საყოველთაო ცვლილებები, რომელსაც პირობითად ალექსანდრეობა შეიძლება ენოდოს.

ამ პერიოდამდე, ძველი ცივილიზაციის წვრილ ერთეულებად დაყოფილი ეთნოსები ქალაქ-სახელმწიფოებს ქმნიდნენ და, გარკვეულწილად, კარჩაკეტილ მეურნეობას მისდევდნენ. ყველაზე გამოკვეთილად ეს ძველ საბერძნეთში (უკვე არა საპელაზებოში) ხდებოდა.

საუკუნის შუა პერიოდში ბალკანეთის ჩრდილოეთით აღმოცენებულმა მაკედონიის სამეფომ დიდ წარმატებებს მიაღწია. ფილიპე მაკედონელმა შეძლო მძლავრი სამეფოს შექმნა და ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების დაქვემდებარება.

ქართებიც ქალაქ-სახელმწიფოებად იყვნენ დაყოფილნი. თითოეულს სათავეში მამასახლისი ედგა და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებას უძლვებოდა. ყველა მამასახლისი ერთიანდებოდა მცხეთის უფალ-მამასახლისის ხელმძღვანელობით.

დვალეთში ხეობებად იყო მოსახლეობა დაყოფილი. ერთეულს სახელი დაბის (ცენტრალური დასახლების) ან დაწინაურებული გვარის (მეთაურების) მიხედვით ენოდებოდათ.

ასეთი სურათი იხატებოდა ვითარებაში, როცა გარშემო მძლავრი სახელმწიფოები ყალიბდებოდა. ადრე ითქვა, კიროსის მიერ დიდი იმპერიის ჩამოყალიბების შესახებ. მისმა მემკვიდრეებმა შეძლეს მთელი ახლო აღმოსავლეთის (წინა აზიის), მცირე აზიის დახარკვა და ძვ. წ. აღ. IV საუკუნეში უკვე საბერძნეთის დაპყრობაც მოიწყო.



მცირე ინფორმაცია: სპარსეთმა, პირველ რიგში, მეზობელი მიდია დაიმორჩილა. ითქვა, რომ ლტოლვილმა მიდიელებმა (სარმატების სახელით ცნობილებმა) კავკასიონის ჩრდილოეთში კავკასიონთა და ლეკოსიანთა მხარე დაიკავეს და მძლავრი სამეფო-სამთავროები შექმნეს.

სპარსეთმა ურარტუს მხარეც დაიკავა. რამდენადაც ურარტუს ისინი არმიანას (არმენუას – ელამურად) სახელით იცნობდნენ, ამდენად მთელ იმ მხარეს ბოლოს ბერძნული მოდიფიკაციით არმენია ეწოდა.

სპარსეთმა დაპყრობილი არიან-არმიანა სამ ნაწილად გაყო. სამხრეთ ნაწილს, სადაც თუბალ-ჰაოსის ჩამომავლები (მუშქებთან და კიმერიელებთან შერევის შემდეგ ჰაოსიანები, ქართებისათვის – სომხები) სახლობდნენ, სპარსეთი უშუალოდ დაეპატრონა და იქ თავისი მოხელე ჩააყენა მმართველად. არიან-არმიანას შუა ნაწილი ცალკე სატრაპოდ (სამმართველო ოლქად) ჩამოაყალიბა. ჩრდილოეთი ნაწილი, არიან-ქართი დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, ურარტუს ყოფილი მეფების ჩამომავლობით სათავეში. საუკუნის მეორე ნახევარში აქ იარედოსი მეფობდა.

სპარსეთის იმპერია ფლობდა რა მცირე აზიას, საბერძნეთის დაპყრობასაც ლამობდა. მაკედონიის მეფე ფილიპემ სპარსეთის საფრთხის აცილების მოტივით შეძლო ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების გაერთიანება და უკვე სპარსეთზე ლაშქრობის დაწყებასაც აპირებდა. ბედი მუხთალია. ძვ. წ. აღ. 336 წელს, როცა ფილიპეს სპარსეთთან ომი უნდა დაეწყო, იგი შეთქმულებმა მოკლეს. გამეფდა მისი 20 წლის ვაჟი.

ენერგიულმა ალექსანდრე მაკედონელმა მამის ჩანაფიქრის რეალიზება ძვ. წ. აღ. 336 წ დაიწყო.

მაკედონელი მოქმედებდა, როგორც ჩაგრული ეთნოსების, სპარსეთის ბატონობისაგან გამათავისუფლებული. ნიჭიერმა და გაბედულმა სარდალმა მალე მოახერხა სპარსეთის იმპერიის დამხობა და საკუთარი იმპერიის შექმნა.

ასალი საერთაშორისო რეალობის გათვალისწინებით, არიან-ქართლის მეფის იარედოსის ნულმა აზონმა შეძლო



ქართთა დაქსაქსული მხარის დაკავება. ცალკეული კუთხების მამასახლისებრა მას ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

გადმოცემის თანახმად, აზონმა დიდი სამეფო შექმნა, სადაც ქართთა გარდა შედიოდა ეგროსის ნაწილი, მთის იბერია, მანვე დახარკა ოვსთა, დურძუკთა მხარეები. ქართში ჩამოასახლა ყოფილი ურარტუს სამეფო არისტოკრატიის ნაწილი და ძალაუფლება განიმტკიცა.

ასე გაგრძელდა მცხეთის მამასახლისთა მემკვიდრე ფარნავაზის დაკაცებამდე. ის სათავეში ჩაუდგა უზურპატორის წინააღმდეგ გამართულ ქართთა და დაპყრობილ-დახარკულხალხთა საერთო ბრძოლას, რაც საერთო წარმატებით დაგვირგვინდა.

ძვ. წ. აღ. IV ს. მიწურულისათვის (სავარაუდოდ 308 წ.) ფარნავაზმა დაასრულა აზონის მიერ დაწყებული ახალი იბერიის სამეფოს შექმნა. ქვეყანა დაყო საერისთაოებად. ყოფილი დახარკული მხარეები ოვსეთისა და დურძუკეთისა მოკავშირეებად გაიხადა.

მის სამეფოში გაერთიანებულმა დვალეთმა კუთვნილი ადგილი დაიკავა. იგი სპასპეტის (დღევანდელი გაგებით თავდაცვის მინისტრის) საგამგეოში შევიდა, როგორც ავტონომიური ერთეული.

ძვ. წ. აღ IV საუკუნიდან იხსენიება დვალთა ტომი, როგორც ცალკე ერთეული და დვალეთი, როგორც გეოგრაფიული მხარე. ფარნავაზის სახელს უკავშირებენ დვალეთის, იბერიის (ქართლის) სამეფოში მოქცევას.

ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, მოიცავს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ საქართველოს სამეფოს აღწერას. ნაშრომი ეხება ძველ პერიოდებსაც, მაგრამ, ძირითადად, აღწერს XVIII ს. პირველი მეოთხედისათვის შექმნილ რეალურ ვითარებას. ვახუშტი ბატონიშვილმა (1696 -1756 წწ) თავად იმოგზაურა დვალეთშიც, იქიდან ოსეთში, ჩავიდა რუსეთში და ამიტომ ამ მხარის აღწერა დეტალურადაა მოცემული.

დვალეთის აღწერისას იგი ეყრდნობა ადრეულ ინფორმაციებს (ლეონტი მროველს, ჯუანშერს...) და აღნიშნავს, რომ თუბალურ ტომთა გაყოფისა და ჩრდილოეთის ათვისების დროს



(ე. ი. ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში) „...კავკასიის დაპყრობილი ქუეყანა ლეკანის საზღვრიდამ, ვიდრე პონტოს ზღვამდე, კავკასიის მთის ჩრდილოეთი ველებითურთ...“¹.

გამოდის, რომ კავკასიანებს აუთვისებიათ არა მხოლოდ მთის იბერთა მხარე, არა მხოლოდ მთაგრეხილის ჩრდილოეთი ხეობები, არამედ ჩრდილოეთი ველებითურთ. ველი კი პონტოს (შავ) ზღვამდე ვრცელდებოდა, სადაც ეგროსელების გარდა სინდები და მეოტები იყვნენ. კავკასიის ჩრდილოეთი მხარის დაბლობები კავკასიანებმა დაკარგეს კიმერიელების, სკვითების და ბოლოს სარმატების ლაშქრობისას, მაგრამ სად დაიდო ზღვარი მომხდურებთან?

თუ ბრმად ვირწმუნებთ ინფორმაციას, ასეთი სურათი იხატება: აზონ მეფემ შექმნა იბერიის (ქართთა) სამეფო, მას დაუმორჩილა კავკასიონის ჩრდილოეთის ეთნოსები დურძუკები, ოვსები და „ხაზარები“ (განმეორებით: მროველი აერთიანებს ჩრდილოეთელებს ხაზარების სახელით). ფარნავაზმა სამეფო სიძლიერით, სახელმწიფოებრივი წყობით, ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ამავე დროს დაუნათესავდა რა ყოფილ მოხარკეებს, მათ (ახლა ითქმება: სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის), პოლიტიკური მოკავშირეობის სტატუსი მიანიჭა.

უნდა ვიფიქროთ, როდესაც ფარნავაზი ოვსეთის მხარეს უთანხმდებოდა, ყოფილ მოხარკეს ტერიტორიებს არ აჩუქებდა. ყოველ შემთხვევაში დვალეთს იგი ოვსებს არ დაუთმობდა.

ვახუშტი ბატონიშვილი აგრძელებს თხრობას და ამბობს: „ხოლო შემდგომად ფარნაოზის გამეფებისა, დარჩა ფარნაოზი ძურძუკეთი და დვალეთი, და სხუანი ხევნი იგი დაშთენ მეფეთა ოსთასა და იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგავე“ (გვ.133).

რა დასკვნა გამომდინარეობს?

საერთო ინფორმაციის თანახმად, დვალეთი შედგება რიგი ხეობებისგან. იმავე ვახუშტი ბატონიშვილის მტკიცებით, დვალეთია ჩიმის, თაგაურის, ქურთაულის, ვალაგირის, ფაიქომის, დიგორის, ბასიანის, კასრის ხევის, ზრამაგას, ურელეს, ნარის,

1. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 632



ზროვოს, ზახას მიდამოები და არა მხოლოდ ესენი, „... არამედ ხევი, ... არს დუალეთისავე გარნა ვინაითგან მტკიცედ დაიძყრეს მეფეთა ქართლისათა, იგი უწოდეს... ხევად“¹ და აგრეთვე „... არამედ თრუსო კუალად არი დუალეთისავე“².

გამოდის, რომ დვალეთი დურძუკეთიდან (დლევანდელი ჩეჩენ-ინგუშეთიდან) მოყოლებული სვანეთამდე ტერიტორიებს მოიცავდა და თუ ფარნავაზს დარჩა დვალეთი და დურძუკეთი, ნიშნავს, რომ მთელი ეს ტერიტორიები სარმატთა ველებამდე იბერიის სამეფოს კუთვნილება გამხდარა.

იბერიის სამეფოს მიერ დვალეთის დაუფლება მოასწავებდა მთის იბერთა ბარის იბერებთან გაერთიანებას. იგივე არ ითქმის დურძუკებზე.

დურძუკები კავკასიანთა ერთ დიდ ნაწილს წარმოადგენ-დენ. იბერიის სამეფოს მიერ მათი მიერთება უკვე ნიშნავდა კავკასიანთა შესვლას ქართლოსიანთა შემადგენლობაში. სხვა ნაწილები, რომლებიც პირობითად სარმატთა ველებში იყვნენ მოქცეულნი, გაიფანტნენ, განადგურდნენ ან სარმატული წარ-მომავლობის აორსებს (ოვსებს) შეუერთდნენ.

ფარნავაზმა და მიათხოვა ოვსთა უფლისწულს და მოყვრო-ბის გზით ერთგული მოკავშირე გაიჩინა. რამდენადაც თავად დურძუკეთში იზრდებოდა და მეუღლეც დურძუკთა მეფის (მთავრის, ბელადის) ასული ჰყავდა, საკითხავია, დურძუკეთი მას რა სტატუსით დარჩა, როგორც დაქვემდებარებული მოკავშირე, როგორც სამეფოს ნაწილი თუ სხვა რამ. ცხადია, დურძუკეთს განსხვავებული მდგომარეობა (უფლება-მოვალეობანი) ექნე-ბოდა, ვიდრე დვალეთს.

ვახუშტი ბატონიშვილი განაგრძოს თხრობას და აღნიშნავს, რომ ამ ორი ერთეულის: დურძუკეთისა და დვალეთის გარდა „... სხუანი ხევნი... დაშთნენ მეფეთა ოსთასა და იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე“³.

1. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ.634

2. იქვე

3. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ.633



უბრალო მითითება როდია „სხუანი ხევნი“ რა ტერიტორიას მოიცავდა? ამავე დროს გასარკვევია ამ ხევთა მიმართება სარმატთა ველისადმი. ოვსები (აორსი სარმატები) აფართოებდნენ ტერიტორიებს სამხრეთით, თუ არა?

ამასთან კავშირში გასახსენებელია ანტიკურ ავტორთა გამონათქვამები, რომელიც სამი საუკუნის შემდეგ გაუღერდება იმის შესახებ, რომ დვალები ჩრდილოეთ კავკასიონის მცხოვრებლებია. ასევე, სტრაბონის მიერ „სარმატთა ველების“ დაფიქსირება. აქედან გამომდინარე, დასაზუსტებელი ხდება დანარჩენი ხეობების გეოგრაფიული მდებარეობის საკითხი. ალექსანდრეობის პროცესების შედეგად ოვსეთმა შეიძინა თუ არა მანამდე კავკასიონთა კუთვნილი ტერიტორიები? პრაქტიკულად შეეხო დვალეთს ოვსიზაციის პროცესი? აქედან გამომდინარე, როგორ „ისტორიულ სინამდვილეს ასახავს თანამედროვე ოსი მკვლევარების მტკიცებულება დვალეთის უძველესი ოსური საკუთრების შესახებ?“

არსებითია დასკვნა იმის შესახებ, რომ ძვ. წ. აღ. IV-III საუკუნეებში დვალებს საერთო არაფერი არ ჰქონდათ ოსეთთან. დვალეთი ქართლის (იბერიის) სამეფოს ორგანული ნაწილი იყო და თუ რამე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდებოდა, ნიშნავდა ცვლილებებს სამეფოს შიგნით.

შემორჩენილია ინფორმაცია (გადმოცემა) ჩიმის ხეობის ჩრდილოეთით სასაზღვრო ციხე ჩემიას არსებობაზე. არა მხოლოდ ეს ციხე, თავად ხეობათა დასახელება დღეს ქართულად გვეჩვენება. ჩიმი (ჩემი, ეგრისულად – ჩქიმი), თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი, ბასიანი.. შეიძლება თუ არა ისინი საერთო იბერიულ-ტაბალ-თუბალურს წარმოადგენდეს? ისევე, როგორც ძნელია (მაგრამ იოლი) გუდაურის და გუდაუთის ქართულ ტოპონიმად წარმოდგენა და არა თუბალური იბერიულად (სამახსოვროდ: 1 ს. ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის (ფლავიოსის) თანახმად, თუბალებს ასურელებისგან ეწოდებოდათ ტაბალები და ბოლოს იბერებად იწოდებოდნენ. ამიტომ დიდი სხვაობაა იბერი, როგორც თუბალი და იბერი, როგორც ქართი).



რსი აღანიშ?

საკითხთან ორგანულ კავშირშია ოსებისა და ალანების ეთნიკური იდენტობის გარკვევა.

საინტერესო მოვლენაა. ეთნოსი, რომელსაც XIX საუკუნემდე ერთიანი გამოკვეთილი თვითსახელი არ ჰქონდა, რადიკალურ ცვლილებას განიცდის. ოსების თვითსახელი იყო ირონ და დიგორონ. ოსებად ქართველები მიიჩნევდნენ. რუსეთის იმპერიაში მოხვედრის შემდეგ, ქართველების გავლენით ეწოდათ ოსები. გაჩნდა (უფრო ზუსტად, იყო და ეწოდა) ოსეთი და ოსები. არც მათი წარმომავლობა და ბინადრობა წარმოადგენდა საიდუმლოს. ქართული ისტორიული წყარო მათ ჩრდილოეთიდან მოსულ და კავკასიონელებთან შერწყმულ ძალად მიიჩნევდა.

გახსენებისთვის: მროველი აღწერს რა აორსთა (სარმატთა) შემოსვლას კავკასიონის ჩრდილოეთში, ხაზს უსვამს, რომ „... დაეშენა უობოს და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი და იგი არს ოვსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასიისა“¹. სარმატებმა (ხაზარებმა მროველისთვის) იქვე, ბარში ჩაასახლეს ქართლიდან (კავკასიონის სამხრეთიდან) წაყვანილი ტყვეები. გარკვეული თვალსაზრისით, შექმნეს შერეული მოსახლეობა.

ასევე გასახსენებელია, რომ სარმატები ეწოდათ ლტოლვილი მიდიელების ნაწილს, რომლებიც აოსებისა და სირაკების სახელით არიან ცნობილნი.

რატომაა ეს მომენტები გასახსენებელი?

1. ქართლის ცხოვრება, ტ.1, თბ., 1955, გვ. 12

границы государства

Волховской шелковой пути

Капитанские грассы

Большого шелкового пути:

— . . . Мисиминский путь

— - - Дороги викингов

— - - Дороги языческих племен

Х А З А Р С К И Й К А Г А Н А Т

(с серединой XI в. - половцы)

Границы государства

Волховской шелковой пути

Капитанские грассы

Большого шелкового пути:

— . . . Мисиминский путь

— - - Дороги викингов

— - - Дороги языческих племен

Х А З А Р С К И Й К А Г А Н А Т

(с серединой XI в. - половцы)

Границы государства

Волховской шелковой пути


Капитанские грассы

Большого шелкового пути:

— . . . Мисиминский путь

— - - Дороги викингов

— - - Дороги языческих племен



Территория Аланского государства
(по письменным и археологическим источникам)

Аланское царство

Группа

Хазарский каганат

Перепады • Горные вершины

Города ● Укрепленные поселения

Некоторые Аланы Соревновались с ними в издавании

(Палеоз.)

Христианские храмы X-XII вв.



თანამედროვე მკვლევართათვის დადგენილად ითვლება ის ფაქტი, რომ სარმატების ნაწილი მკვიდრ მოსახლეობას ქმნიდა. სახლების მაგვარ ფაცხებში ცხოვრობდა და მიწათმოქმედებას მისდევდა. ალბათ, ძნელი არაა იმის წარმოდგენა, რომ მიწათმოქმედებას და ხელოსნობას გაჰყვებოდა ქართლიდან და მიდიდიდან წამოსული მოსახლეობა. ისინი ძველ სამშობლოშიც მიწათმოქმედნი იყვნენ.

შკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი ამიტომაც მიიჩნევდა (და მიიჩნევს), რომ ოსები ირანულებოვანი ეთნოსია ჩამოყალიბებული კავკასიონურ ეთნოსთა საფუძველზე. უფრო მეტი – ნიკო მარი ოსური ერის თვითსახელს ირონ აკავშირებს ერის გაგებასთან: ერი-ირი-ირონი, ყოველივეს კი იაფეტების სამხრეთიდან ჩრდილოეთში მიგრაციის შედეგად წარმოიდგენდა. ცნობილი მკვლევარი გოტიე ასებს სარმატების ნარჩენად თვლიდა. პფაფი მიიჩნევდა, რომ ოსები მიდიურ-ირანული წარმომავლობის ტომია, რომელიც სარმატების სახელითაა ცნობილი. თვითსახელ ირონს, ჰირონს ჰერებთანაც აკავშირებდნენ, მაგრამ რომელ ჰერებთან? ჰერები ცხოვრობდნენ ვანი-ურმის ტბებს შორის და კავკასიაში ქართების აღმოსავლეთით. გრძელი მსჯელობა რომ არ გამოვიდეს, ოსებს მრავალ წინაპარს უძებნიდნენ მკვლევარები. ზოგთათვის ოსები გუთების განაყარნი იყვნენ, ზოგთათვის – სკვითების, მიდიელების, ალანების, არიანების, არალების, ასების და ა. შ. გამოჩნდნენ მკვლევარები, რომელნიც ოსებს ერთდროულად უკავშირებდნენ სკვითებსაც, სარმატებსაც, ალანებსაც და ა. შ. ამავე დროს არ აზუსტებდნენ, როგორ შეიძლება ეთნოსი ერთდროულად ყველას ჩამომავალი ყოფილიყო?

კლასიკური ოსური მეცნიერება მიიჩნევს, რომ ოსები ძვ. წ. III საუკუნიდან ხდებიან ცნობილნი. ქართველებისათვის ოსები (ოვსები, აორსები) საუკუნით ადრე, უკვე მოკავშირეებად არიან მიიჩნეულნი. ოვსები ფარნაგაზის მოკავშირეები არიან აზონის წინააღმდეგ ბრძოლისას. ა. ცაგაევა (ცნობილი ოსი მკვლევარი) მიიჩნევს, რომ ოსთა წინაპრები ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. VI საუკუნეში უნდა გამოჩენილიყვნენ კავკასიონის ჩრდილოეთში. არც ადრე და არც გვიან ოსების წინაპრებად ალანები არ ფიქსირდებიან.



ვინ არიან ალანები?

როცა ზუსტი მონაცემები არც ეთნოსს გააჩნია და არც მასთან შეხებაში მყოფ მტერ-მოყვარეს, ვერსიების სიმრავლე მისი ისტორიის შესახებ გარდაუვალია. უფრო მეტად რთული და ბუნებრივია ცნობები და მათზე აგებული ვარიანტები ალანების ირგვლივ.

მკვლევართა ნაწილი ალანებს ოსების წინაპარ სარმატებთან აკავშირებს. მეორეთა აზრით, ალანები სულ სხვა წარმომავლობის ტომია. ერთი მიიჩნევენ, რომ ალანები სარმატული ტომია, რომელიც გაძლიერდა და დროთა ვითარებაში შეძლო თავისი სახელის განვრცობა სხვებზე. მეორენი ფიქრობენ, რომ ალანები ტომთა დიდი გაერთიანება იყო, რომელთაც შეძლეს სარმატული წარმოშობის აორსთა დაბყრობა და ასიმილირება.

ზოგ მკვლევარს ალანები ოსთა მონათესავე ეთნოსად მიაჩნია, ზოგს – სრულიად განსხვავებულად. ზოგი ალანებს ერთ რომელიმე გაერთიანებასთან აკავშირებს, ვთქვათ, ალანები სკვითებია, სარმატებია, როქსალანებია, მასაგეტებია. ზოგისთვის ალანების წინაპრებია ყველა ამ დასახელების და ურთიერთს დაპირისპირებული ტომები.

არაა აზრთა ერთიანობა ალანთა განსახლების საკითხშიც. ცნობილი მკვლევარები ვ. აბაევი, ვ. მილერი მიიჩნევდნენ, რომ ალანები ურალსა და კასპიის ზღვას შორის მომთაბარეობდნენ და აქედან მდ. კოლგის გადალახვის შემდეგ გამოჩნდნენ მდ. დონის და აზოვის ზღვის მხარეში. არის ვერსია, რომლის მიხედვით, ძველი ჩინელები ალანებს არალის ზღვის მიდამოებში იცნობდნენ. ალანებს „ცნობდნენ“ მდ. დუნაის ჩრდილოეთითაც.

ზოგი მკვლევარისათვის ალანები ცალკე ეთნოსია, ზოგისთვის ალანებია ყველა, ვისაც ისინი იპყრობდნენ. ვთქვათ, ბიზანტიელები კავკასიონის ჩრდილოეთში ყველა მაცხოვრებელს ალანებს უწოდებდნენ. ზოგისთვის ალანები სკვითური წარმოშობის ტომთა ნაწილია, ზოგისთვის – ცალკე ტომთა გაერთიანება, რომელმაც შეძრა იმ დროს არსებული სამყარო (IV ს. ჰუნებთან დამარცხებული ალანები გაჰყვნენ დამპყრობლებს



ევროპის ლაშქრობაში, მონაწილეობა მიიღეს რომის იმპერიის დამარცხებაში. ალანთა სიდიადის აღწერა იქამდე მივიდა, რომ დაიწყეს მტკიცება: რომის იმპერია ჰუნებმა კი არ დაამარცხეს, არამედ ალანებმა. ალანებმა აიღეს ქალაქი რომი და ორი კვირის მანძილზე ძარცვავდნენ.

მკვლევარები, რომლებიც ალანთა ვინაობას სწავლობენ, თანხმდებიან იმაში, რომ მათი გამოჩენა ისტორიის ასპარეზზე ხდება არა უადრეს I-II საუკუნეებისა. არის ცნობა, რომ 49 წ. აორსებმა სასტიკად დაამარცხეს სირაკუა ტომები. აორსთა შორის იყო ალანთა რაზმიც.

საინტერესო მოვლენაა. ითქვა, რომ ოსური ფუნდამენტური კვლევების თანახმად ოსები ძვ. წ. აღ. III საუკუნიდან ხდებიან ცნობილნი. საკითხავია, თუ ალანები ოსებია, მათი ნაწილია, მთელი საუკუნეების მანძილზე თავი როგორ დამალეს, შემდეგ კი მოახერხეს თითქმის მთელი კავკასიონის ჩრდილოეთის დაკავება. დიდ რიცხოვნებას და ძალისხმევას საჭიროებდა არალის ზღვიდან (შუა აზია) და ურალიდან მოყოლებული, მდ. დუნაიმდე სივრცის ათვისება. აღარაა საუბარი იმაზე, რომ რომის დაპყრობის შემდეგ დღევანდელი საფრანგეთისა და ესპანეთის ტერიტორიებზე მოსახლეობდნენ. ბოლოს ვანდალებთან ერთად აფრიკის ჩრდილოეთში მოხვდნენ, სადაც ბიზანტიის საკეისროს ჯარებთან განადგურდნენ.

ყოველივე ითქვა დასარწმუნებლად, რომ ოსების ისტორია, მათი გენეზისი, ჯერ კიდევ ბევრ გაურკვევლობას უკავშირდება და მომავლის მკვლევარების დიდ ყურადღებას მოითხოვს. მათ შორის ოსების ალანობის და ალანების ოსობის პრობლემაცაა. განა უბრალო ინტერესის ფაქტია ის, რომ თავის წინაპრებად ალანებს თანაბრად მიიჩნევენ ოსები, ბალყარები და ყარაჩაელები, ირანულენოვანი და თურქულენოვანი ეთნოსები?

მიზანი არაა ალანების ეთნოგენეზისის კვლევა. მიზანი იყო იმის ჩვენება, რომ ოსი მკვლევარები, სანამ დაიწყებენ აფხაზეთთან, ადილებთან, დვალებთან და ა. შ. საერთო წარმომავლობაზე მსჯელობას, მანამდე საკუთარი უნდა გაარკვიონ.



დვალები

ისტორიული წყაროები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ საუკუნეთა მანძილზე (ძვ. წ. აღ. III ათასწლეულიდან მოყოლებული) ქართებსა და კავკასიონის ჩრდილოეთის მაცხოვრებლებს შორის მდებარეობდა იბერთა სამოსახლო. მრავალ ტომთა შორის იყვნენ დვალები.

ვახუშტი ბატონიშვილის თვალსაზრისის თანახმად დვალების არეალი ჩრდილოეთი მოიცავდა ჩიმის, ვალაგირის, ქურთაულის, დიგორის, ბასიანის მიდამოებს. დვალეთის ჩრდილოეთი ვაკე-სტეპები უძველეს პერიოდში ეკავათ კავკასიანების მოდგმის ტომებს. გავიდა დრო და მათი სამოსახლო სარმატებმა დაიკავეს. ეთნოსთა ცვლა დაახლოებით ძვ. წ. აღ. V საუკუნეში მოხდებოდა. ეთნოსთა და ტომთა ასეთი განლაგება დიდ ხანს უნდა გაგრძელებულიყო. ყოველ შემთხვევაში I საუკუნეში, სტრაბონი ამ მდგომარეობას (განლაგებას) უსვამს ხაზს.

გამოდის, რომ ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებამდე დვალების ჩრდილოეთი საზღვარი იყო მყარი და მეზობლებიც იგივენი: ჯერ კავკასიანები, შემდეგ ოვსები (აორსები, სარმატები).

იგივე არ დასტურდება დვალთა შესახებ. დღემდე საკამათოა, თავიდანვე დვალები რომელ გაერთიანებას განეკუთვნებოდნენ ქართებს თუ კავკასიანებს. ქართებსა და კავკასიანებს შორის იყო შერეული მოსახლეობა, თუ ისინი რომელიმე გაერთიანების წევრები იყვნენ. თუ არ შედიოდნენ ტომთა პოლიტიკური გაერთიანების წევრთა შორის, მაშინ ვისი გავლენის ქვეშ იქნებოდნენ.

კიდევ უფრო აირია სიტუაცია ჩრდილოეთიდან (მდ. დონის



მხრიდან, ჯერ კიმერიელების, შემდეგ კი სკვითების შემოს-ევების შემდეგ. დამარცხებული კავკასიანები გაიფანტინენ და უსაფრთხოადგილებს შეაფარეს თავი. დვალეთს მოაწყდებოდა თუ არა ლტოლვილთა ტალღა? ხოლო შემდეგ, სარმატთა ჩასახლებისა და კავკასიანთა განდევნის კვალობაზე, დვალთა შორის ახალი ელემენტების (თუნდაც ძალიან ახლობელი) გამოჩენა შეიძლება გამოირიცხოს?

ძვ. წ. აღ. III ს. დასაწყისში, როდესაც იბერიის მეფე ფარნავაზს დარჩა დვალეთი მფლობელობაში, იქ უკვე სტაბილური ვითარება იყო. არავითარი აორსები (ოსები) დვალეთს არ გაკარებიან. რაც შეეხება ალანებს, მათი არსებობაც კი უცნობი იყო ისტორიისათვის.

დღევანდელი ოსი და მათი მფარველი მკვლევარების დიდი ნაწილისთვის ადვილია მსჯელობა. თუ ოსები ისტორიისათვის ორი ათას ხუთასი წლის წინ ხდებიან ცნობილნი, რატომ არ გამოაცხადონ პრეტენზია მთელი ამ მხარეების ოსურად მონათვლაზე. თუ მკვლევართა მეორე ნაწილი მათ დასკვნებს არ გაიზიარებს, დიდი ამბავი, ათასჯერ მეტნი არიან საკითხის უცოდინარნი, რომელთა დაჯერებაა მათი მიზანი.

დვალებთან მიმართებაში კი უნდა ითქვას, რომ ბედის ტრიალის გამო, მათ შორის იქნებოდნენ ქართი და კავკასიანური ელემენტები. ლოგიკა კარნახობს ასეთ დასკვნას. ამდენად, საფუძვლიანია იმ მკვლევართა პოზიცია, რომელნიც დვალებს ქართების შემადგენლობაში მოიაზრებენ და იმათიც, ვინც დვალების ვაინახობის იდეას ემსრობა.

ცნობილი ცვლილება, რაც დვალთა შემადგენლობაში მოხდა, განეკუთვნება ძვ. წ. აღ. III საუკუნეს.

პროცესი ასე წარიმართა. ძვ. წ. აღ. დაახლოებით 332 წ. არიან-ქართის მეფის მემკვიდრე აზონმა (როცა დარწმუნდა სპარსეთის იმპერიის დამხობაში) მთელი ძლიერებით ჩრდილოეთს შეუტია. მანამდე ურარტუს (არიანას – სპარსულად) მეფეებს დალაშქრული ჰქონდათ სევანის ტბის მიდამოები და დაკავებული ჰქონდათ ქართლის (ქართლოსის სამეფოს) სამხრეთი ნაწილი. ეს იყო მტკვარ-არაქსის სადაცეებში.



ურარტუს დამარცხების შემდეგ მეფეებმა და ერთგულმა არისტოკრატიამ ამ მხარეში მოახერხა გამაგრება და ბრძოლის გაგრძელება, ძველი ძლიერების აღდგენის მიზნით.

არიან-ქართი, ურარტუს მეფეთა ბოლო საყრდენი, ქართლის სამამასახლისოებს (ქალაქ-სახელმწიფოებს) სამხრეთიდან იცავდა და მოკავშირეობდა.

ახალ ვითარებაში, როცა მაკედონელმა დაიკავა სპარსეთის იმპერიის ტერიტორია და მათ შორის ურარტუს (არიანას) დიდი ნაწილი, მეფეებს მოეხსნათ იქიდან საფრთხე. თავის მხრივ, მაკედონელს ისინი ვერ დაუპირისპირდებოდნენ. სამეფოს გაძლიერება ქართლის დაქასესული ერთეულების დაუფლებით შეიძლებოდა.

მიახლოებითი დაანგარიშებით ძვ. წ. აღ. 332 წ. უნდა დაეპყრა აზონ იარედოსის ძეს მცხეთა. გადმოცემის თანახმად, ამ დროს მცხეთის მამასახლისთა გადარჩენილი მემკვიდრე ფარნავაზი სამი წლისა იყო. დედამ და ერთგულმა თანამოქალაქეებმა ბიჭი მთებში გადამალეს. დურძუკთა (ძურძუკთა) შორის იზრდებოდა ფარნავაზი და ლებულობდა შესაფერის განათლებას.

დღესაა ჩეჩენ-ინგუშეთი დაშორებული და გაუცხოებული. იმ დროს, კავკასიანელნი უახლოეს ნათესავებად ითვლებოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი ამიტომ აღნიშნავდა: ხევსურებს და ფშავლებს – ფხოველებს უწოდებენ. მათ გამო ხდება, რომ „... გარნა სდებენ ამათ გამო კახნი ძურძუკთა, ღლილვთა და ქისტთა თვისად, გარნა მათ არა უწყიან ესე მიერ უამით, ოდეს განდგნენ“¹. თუ XVIII ს. კახელები ჩეჩენ-ინგუშებს თავისიანებად თვლიდნენ, წარმოსადგენია, რამდენად ახლო ურთიერთობა იქნებოდა ორი ათასი წლით ადრე.

ფარნავაზი დავაუკაცდა (ფიზიკურად და გონებრივად) და დაიწყო ბრძოლა აზონ მეფის ნინააღმდეგ.

აზონ იარედოსის ძის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ეს პიროვნება იმსახურებს მკვლევართა მეტ ყურადღებას².

1. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., გვ.534

2. თავად ავტორს აქვს მცირე ნაშრომი „იარედოსი“.



აზონია იბერიის სამეფოს დამაარსებელი (იბერიისა და არა ქათლისა). ლეონტი მროველი მშრალად, მაგრამ არსებითად ახასიათებს მის პიროვნებას, როგორც დიდი სამეფოს შემქმნელისა. იგი ამბობს: აზონ „... დაიპყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ჰერეთიდგან და ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა და დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა, და მოხარკე ყვნა ოსნი, ლეპნი და ხაზარნი¹.

შემატიანე იტყვის: ერთიანი ეგრის-ქართა სამეფოს დამაარსებელია ბაგრატ III (X ს.). მემატიანე აგრეთვე იტყვის: ფარნავაზს დარჩა დვალეთი და დურძუკეთი, იმავე პერიოდში მოხარკედ გაიხადა ოსნი, ლეპნი და ხაზარნი².

ამ შემთხვევაში არსებითა, რომ აზონ იარედოსის ქეს დვალები არ დაუპყრია. მან დაიპყრო ეგრისი, მოხარკედ გაიხადა ოვსნი და სხვა სარმატები, მაგრამ დვალეთი არ დაუპყრია. დვალეთი იგულისხმებოდა ქართლის საზღვრებში. ასერომ, როცა ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს დვალეთისა და დურძუკების ფარნავაზისადმი მიკუთვნების შესახებ, არ უნდა იქნეს გაგებული უსახო მხარეების დაკავების და უცხო ტომების დაუფლების ფაქტად. გასახსენებელია დებულება, რომ ქართლოსს და ქართებს (ბარის იბერების), კავკასიონის მისადგომებთან მთის იბერები დახვდნენ. მთის იბერები, მაგრამ იბერები და არა სხვა ვინმე... და თუ დვალები იბერებია, ხოლო ოსები სარმატები, ყველაფერი ნათელი ხდება.

დვალები არ (და ვერ) იქნებოდნენ მოწყვეტილნი გარესა-მყაროს. ექნებოდათ მტერ-მოყვარული ურთიერთობა სხვა მთის იბერებთან და არა მხოლოდ მათთან.

ფარნავაზმა დაამარცხა რა აზონ იარედოსის ქე და დაიკავა იბერიის სამეფო ტახტი, ყოვლის მომცველი რეფორმები გაატა-

1. ქართლის ცხოვრება,. ტ. 1 თბ., 1955, გვ.19

2. თანამედროვე სომხური ისტორიოგრაფია ცდილობს, ურარტუ სომხურ წარმონაქმნად გამოაცხადოს. ამ დროს ისტორია სხვა რამეს გვკარნახობს. ღროა რეალობას თვალს გავუსწოროთ და ვთქვათ: ურარტუს მეფეთა ბოლო საყრდენი იყო არიან-ქართი. ურარტუს მეფის წულმა აზონმა დააფუძნა იბერიის სამეფო, დღევანდელი საქართველოს პირველი სახე



რა. სამეფო საერისთაოებად დაჲყო და სათავეში ერისთავები ჩაუყენა. დაკანონდა აზონის მიერ გატარებული რეფორმა ქვეყნის ქალაქ-სახელმწიფოებად დაყოფის ლიკვიდაციის შესახებ. დვალეთი და დურძუკეთი უშუალოდ მეფის საგამგებლო გახდა. სპასპეტი (სამხედრო მინისტრი) შეთვალყურეობდა ამ მხარეებს.

გადმოცემის თანახმად, დაახლოებით 26 წლის ასაკში მყოფი მა ფარნავაზმა გაატარა ყველა რეფორმა, მათ შორის რელიგიური, კულტურულ-საგანმანათლებლო (მოახდინა დამწერლობის აღდგენა-სრულყოფა). ამის შემდეგ კიდევ 58 წ. იმედა. აქედან გამომდინარე, რთული არა დაანგარიშება, როდის შეცვლიდა მას საურმაგი (დაახლოებით ძვ. წ. აღ. 249 წ.).

საურმაგის გამეფება ერისთავთა (ადმინისტრაციულ ერთეულთა) ამბოხით დაიწყო. ლოგიკურია, ვიფიქროთ რომ დამოუკიდებელ სამამასახლისოებად დაყოფილ ქვეყანაში მტკიცე ცენტრალიზაცია უმტკიცნეულოდ ვერ განხორციელდებოდა. საფიქრალია, რომ ხელქვეითნი აზონს ვერ უბედავდნენ, ფარნავაზს ვერ ჰკადრებდნენ ურჩობას. საურმაგის გამეფებისას ხელისუფლების ცვლა სასურველ ვითარებას ჰქმნიდა (სხვა ფაქტორებთან ერთად, რთული და წინააღმდეგობრივი იქნებოდა, ქართთა ტომების გაერთიანების პროცესი ეგროსულ ტომებთან. ამას მთის იბერთა ტომები ემატებოდნენ. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ არიან-ქართლის შემოერთებით და მდ. არაქსზე საზღვრის განმწერებით დიდი სამეფო შეიქმნა და შინაგანი წინააღმდეგობანი გამზადებოდა.

საურმაგის გამეფებას ერისთავთა შეთქმულება დაერთო. მეფე პრაქტიკულად განდევნილი იქნა. საურმაგმა დედის სამშობლოში (დურძუკეთში) ჰპოვა თავშესაფარი.

მეფეს ერთგულება და თანადგომა გამოუცხადეს დედის ძმებმა, მამიდაშვილებმა ოვსეთის მხრიდან და სავარაუდო ეგრის-სვანეთის მხრიდანაც. მათი ქმედითი დახმარებით დაიბრუნა საურმაგმა დაკარგული სამეფო ტახტი და თანამედროვე გაგებით – აღადგინა კონსტიტუციური წესრიგი.

დახმარების სანაცვლოდ, მადლიერმა მეფემ „.... წარმოიყვანა იგინი ყოველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნი და რომელნიმე მათგანი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს, დი-



დოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი, და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თვისად, დედულნი“¹.

როცა მსჯელობაა დიდოეთიდან (ლეკეთიდან) სვანეთამდე სივრცეზე, ბუნებრივია, დვალეთი იგულისხმება, ამასთან, დვალეთი იმ დრონის გაებით. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის თანახმად, დვალეთი მოიცავდა დღევანდელ ხევს, თრუსოს და ვრცელდებოდა რაჭის ჩრდილოეთი საზღვრებამდე. იმ დროს რაჭა არ არსებობდა. იყო სვანეთი კავკასიონის ქედს ჩრდილოეთი ტერიტორიებით.

მეფე საურმაგმა დურძუკთა გარკვეული რაოდენობა თან იახლა და მცხეთაში ან მის მიდამოებში ჩაასახლა. ამ მხრივ ახალი არაფერია. ნებისმიერი მმართველი ცდილობს, ერთგულებით გაიმყაროს მდგომარეობა (გასახსენებელია, რომ თავად აზონ იარედოსის ძემ არიან-ქართიდან წამოიყვანა ერთგული არისტოკრატია და მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი ოდენობა).

გასარკვევი ერთია: სად დაასახლებდა მეფე დურძუკთა დიდ რაოდენობას? პროცესის ანალიზი იძლევა დასკვნას, რომ დურძუკები უნდა ჩაესახლებინა დღევანდელი მოხევეების (ხევის), თრუსოს, ჩიმის ხეობებიდან მოყოლებული ბასიანამდე.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბარი ყოველთვის უფრო მჭიდროდაა დასახლებული, ვიდრე მთიანი მხარე. იმ დრონის ბარის იბერია ისედაც შეიცავდა ჭარბ მოსახლეობას და ახალი ნაკადის დამატება დიდ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული. იგივე არ ითქმის მთის იბერიაზე. თავად დურძუკეთში მოსახლეობის სიჭარბე ბუნებრივი ზრდის შედეგი კი არ იყო, არამედ სარმატების (აორსების) მხრივ შევიწროებისა. დურძუკებმა ბარში ფართო ტერიტორიები დატოვეს და, იძულებულნი გახდნენ, „მთის ნაპრალისთვის“ შეეფარებინათ თავი.

მეორე არსებითი მომენტი დურძუკების ახალ ადგილებში ჩამოსახლების დროს, იქნებოდა ტომობრივ-ენობრივი სიახლოეს. არავინ იცის, როგორი თავისებურებებით ხასიათდებოდა იმ დროს ჩეჩენ-ინგუშთა სამეტყველო ენა. მით უფრო არაფერია ცნობილი დვალების მეტყველების შესახებ. გათვალისწინებული თუ იქნება ის ვითარება, რომლის თანახმად, კავკასიონის

1. ქართლის ცხოვრება, ტ. 1 თბ., 1955, გვ. 27



ჩრდილოეთის ვრცელ დაბლობებზე მაცხოვრებელი კავკასიანები გაიფანტნენ და მთებში ჰპოვეს თავშესაფარი. ლოგიკურია აზრი, რომ ისინი არც ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ, დაბლობში გარდამავალ ხეობებს არ დატოვებდნენ გამოუყენებელს. კავკასიანები უეჭველად შეავიწროებდნენ და ჩაუსახლდებოდნენ მთის იბერთა სხვა ტომებს. დვალები (ანტიკურ წყაროთა მიხედვით უალები, ტალები) მათ შორის უეჭველად იქნებოდნენ. შეიძლება წარმომავლობით დვალები ქართები იყვნენ, შეიძლება კავკასიანები, მაგრამ მთის ხეობებში ისინი გაერთიანდებოდნენ. მათი სამეტყველო ენა ჩეჩენ-ინგუშებს მეტად ენათესავებოდა თუ ქართულს, ამის მარჩიელობა ცნობილ ვანგასაც არ შეეძლო. ერთი რამ უდავოა. საურმაგ მეფემ, როდესაც დურძუკთა ნახევარი სვანეთამდე მთიელებში ჩაასახლა, ენის, ადათ-წესების, რელიგიის ფაქტორები გათვალისწინებული იქნებოდა.

ისტორიული ცნობები სხვა რაიმეზე არ მიუთითებენ. კავკასიის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთ მხარეს დვალები (ან დვალური ტომები) სახლობდნენ და დურძუკებიც მათ შორის იქნებოდნენ განანილებულნი. ბუნებრივია, არა კომლობრივად, არამედ თავისუფალი ადგილების გამოყოფის გზით.

ამრიგად, პირველი ეთნიკური (პირობითად ეთნიკურ-ტომობრივი) შერევა დვალებში მოახდინეს მონათესავე (თუბალ-ტაბალ-იბერიულმა) დურძუკებმა ძვ. წ. აღ. III ს. შუა ხანებში. როგორც გამოირიცხება დურძუკთა (ჩეჩენ-ინგუშთა) ოვსობა (სარმატობა), ასევე გამოირიცხულია დვალთა ოვსობის შესაძლებლობა იმ პერიოდში.

დვალები, იმ მცირე მიგრაციული პროცესის დროს დარჩნენ დვალებად. ჩასახლებულ დურძუკებს მათი ასიმილაციური ცვლილება არ (და ვერ) მოუხდენიათ. უფრო მეტი, იბერიის სამეფოს შემადგენლობაში ყოფნა თუ დვალებში დურძუკული ელემენტების დვალებად ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ორივეს ქართებთან დაახლოებას და ქართიზაციას კიდეც განაპირობებდა. ერთი მხრივ იბერიის სამეფოს სიძლიერე და მეორე მხრივ ოსეთის სამეფო-სამთავროებთან მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობა იყო ამ პროცესების გარანტი.



დვალეთი

დვალეთი არ წარმოადგენდა ისეთი მძლავრი ტომის სამოსახლოს, რომელიც მეზობლებივით დამოუკიდებელ არსებობა-განვითარებას შეძლებდა. ისტორიულმა ბედმა მას იბერიის ფარნავაზიანთა დინასტიის შემადგენლობაში ყოფნა არგუნა.

საკითხავია: თუ დვალები თავიდანვე ოსები იყვნენ, რატომ არ შევიდნენ ოვსების სამეფოს შემადგენლობაში?

ფარნავაზიდან მოყოლებული ოვსებს (აორსებს) მშვიდობიანი თანაარსებობა ჰქონდათ იბერებთან. დანათესავებისა და ურთიერთდახმარების გარდა, საუკუნეთა განმავლობაში კონფლიქტებიც არ გამოირიცხებოდა. ისტორიისათვის ცნობილია ოსების იბერიაში შემოსვლის და შემდეგ საპასუხო ლაშქრობების ფაქტები. ძირითადი კი მაინც მეზობლური თანამშრომლობა იყო.

საინტერესო ამბავია. ოვსების მეფე-მთავრები, მათი შეურყვნელი ოვსობის (აორსობის, სარმატობის) დროს, საუკუნეთა მანძილზე, მოკავშირეობდნენ იბერებს, მათ ლაშქრობებში, დაქირავებულ მეომართა სახით, ხშირად მონაწილეობდნენ და ურთიერთდაპირისპირებას თავიდან იცილებდნენ.

ვითარება გარკვეულწილად შეიცვალა ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან. ამ ორ (ოვს და იბერ) ეთნოსს შორის ურთიერთობა პერიოდულად იძაბებოდა.

შეიძლება, ეს თავად ეთნოსთა შიგნით მიმდინარე ცვლილებების შედეგად ხდებოდა? მხედველობაში ოვსთა შესაძლო გააღანების ფაქტია.



უკვე ითქვა, რომ ისტორიულად ოვსნი სხვები არიან, ალანნი – სხვები. დიდი სურვილის მიუხედავად, არ დასტურდება თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ალანთა ტომი აორსთა ტომთა გაერთიანების წევრი იყო თავიდანვე და ძვ. წ. არ. I-II საუკუნეებიდან დაწინაურდა. ამასთან, ალანებმა იმდენად იმძლავრეს, რომ მათი სახელი გავრცელდა აორსებზე, ჩრდილოეთის სხვა ტომებზე და მათ მოიცვეს უზარმაზარი ტერიტორიები ვოლგიდან დუნაიმდე. თუ ამ ვერსიას დავიჯერებთ, მაშინ უნდა ავხსნათ, რა მეოთებით გამრავლდნენ ასე სწრაფად ალანები ან სად გაქრნენ ამ არეალში ადრე მაცხოვრებელი ეთნოსები.

სიცხადისთვის კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ისტორიისათვის ალანთა შესახებ ცნობილი. მათ წარმომავლობას აკავშირებდენ სარმატებთან, სკვითებთან, მასაგეტებთან, როქსალანებთან. თუ დამტკიცდება ჩამოთვლილ გაერთიანებათა საერთო წარმომავლობა და ახლო ნათესაობა, შეიძლება კიდევაც დაეთანხმოს ადამიანი ალანთა წინაპრებად ყველა მათგანის გამოცხადებას.

ისტორია სხვას ადასტურებს. იყო ალნიშნული აორსთა და სირაკთა დაუნდობელი ურთიერთობების შესახებ. თუ მართლაც ერთი წარმოშობის და ერთი ბედის ორი ტომთა გაერთიანება არ ინდობოდა ერთი-მეორეს, როგორ უნდა აიხსნას ალანთა წინაპრებად ყველა ზევით ჩამოთვლილი მათგანის ერთად აღიარების სურვილი?

გარაუდის დონეზე ითქმება: ალანები, სახელწოდების მიხედვით, ახლოს როქსალანებთან დგანან. ასეთ დროს გამოირიცხება მათთან დაპირისპირებულ მასაგეტებთან ერთობა. სკვითებსა და სარმატების დაპირისპირებაზე უკვე იყო მითითება.

მეორე მხრივ, რთული არაა როქსალანების სახელწოდების ალანებად შეკვეცა და მაინც საკითხი გაურკვეველია.

ასეა თუ ისე, აორსების ალანობა სურვილად რჩება. უფრო ლოგიკურია იმის დაშვება, რომ ალანთა მრავალრიცხოვანმა გაერთიანებამ დაიპყრო ოვსეთი, კავკასიონის ჩრდილოეთით მოსახლე – მომთაბარე სხვა ტომებთან ერთად. ასეთ დროს გასაგები გახდება ის საბრძოლო მოქმედებები, რასაც ადგილი



ჰქონდა პირობითად ოს-ალანთა მხრივ, მათ შორის, იბერიის სამეფოს წინააღმდეგ ან საერთო თანხმობით.

ალანური ტომის ოვსების რიგებში გამოჩენა საფრთხეს უქმნიდა დვალებსაც. ასეთ დროს ხსნა მხოლოდ იბერიის სამეფოს ძლიერებასთან იყო დაკავშირებული.

იბერიის სამეფო ძლიერებას საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა. უფრო მეტიც, გამოდიოდა რომის იმპერიის მოკავშირედ და ზოგჯერ უპირისპირდებოდა კიდეც. ცნობილია, რომ მეფე ფარსმან I ცდილობდა პართიის მძლავრი სამეფოს დამარცხებას და სომხეთის დაუფლებას. შესენებისათვის შესაძლებელია ფარსმან ქველზე მითითებაც. V ს. დასაწყისში კი ფარსმან IV უკვე დაქირავებულ ჰუნებზე დაყრდნობით ცდილობდა ბიზანტიის საკეისროს (აღმოსავლეთ რომის იმპერიის) დამარცხებას. დაწყნარდა და კეისარს შეურიგდა მაშინ, როცა მისი ვაჟი იმპერატორი გახდა თეოდოს II სახელით (ამ საკითხზე ავტორის „სუბარმახით ოსი“).

ორიოდე სიტყვით იბერიის შესახებ ითქმიება იმის დასამოწმებლად, რომ ძლიერ სამეფოს შეეძლო თავისი ჩრდილოეთი მხარეების დაცვა და ამას აკეთებდა კიდეც. ამიტომ მეფე მირდატის გარდაცვალებამდე ოვსებს (თუ ოვს-ალანებს) სამხრეთ მეზობელზე ხელი არ მიუწვდებოდათ და დვალეთი დაცული იყო გარეშე მტრებისგან. თავის მხრივ ეს არ გამორიცხავდა დვალებისა და ოვსების ცალკეული შერეული ოჯახების შექმნის შესაძლებლობას.

დვალების თვითმყოფადობა კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც ჰუნებმა დაარბიეს ჩრდილოეთი, დაამარცხეს ალანები, შეიერთეს თუ აიყოლიეს და ევროპის მიმართულებით ლაშქრობაში გაიყოლეს.

ითქვა, რომ ალანები მონაწილეობდნენ გუთებთან და რომაელებთან ბრძოლებში. თავისი წვლილი შეიტანეს ატილას მიერ რომის აღებაში. ბოლოს კი ვანდალებთან ერთად აფრიკაში იქნენ განადგურებულნი.

იბერების და ევროპელებისთვის ალანები დიდხანს უშუ-



ალო მეზობლებს წარმოადგენდნენ. საკმარისია გახსენება, რომ ცნობილი დარიალის გზა ნიშნავდა „კარი ალანთას“ და მაინც ალანები უფრო ეგრისის მეზობლად ჩანან. ეგრისიდან (აფხაზეთიდან) უშუალო გადასასვლელები იყო ალანიაში. ცნობილია ისიც, რომ ალანთა ნაწილი არ გაჰყვა ჰუნებს და კავკასიის ჩრდილოეთ მხარეში ჰპოვა თავშესაფარი, შეიძლება ბიზანტიელთა გავლენით. ალანებს ეგრისის მახლობლად უფრო სცნობდნენ, ვიდრე იბერიისა. ახსნა სჭირდება იმ ფაქტს, რომ ალანებს თავის უშუალო წინაპრებად, პირველ რიგში, თურქულენოვანი ბალყარ-ყარაჩაელები მიიჩნევენ.

რაც შეეხება საკუთრივ დვალეთს, აქ ოსების მტრული გამოჩენა ვახტანგ გორგასლის პერიოდს უკავშირდება.

ისტორიული ცნობების თანახმად, იბერიის მეფე მირდატის გარდაცვალებით უსარგებლიათ ჰუნებს და კავკასიონის სამხრეთში გადმოსულან სათარეშოდ. ჰუნებს ოვსთა დიდი ჯარი მოსდევდა. მიჩნეულია, რომ მარბიელები დარიალის ხეობით შემოვიდნენ. შეიძლება ცენტრალური მთაგრეხილის სხვა გადმოსასვლელებითაც ისარგებლეს. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ოვსებს, ქალაქ კასპის მიდამოები დაურბევიათ და იქიდან მირდატის სამი წლის ქალიშვილი მირანდუხტი ტყვედ წაუყვანიათ, დიდი გამოსასყიდის მიღების იმედით.

მტერი რომ მხოლოდ დარიალის ხეობით გადმოსულიყო სამხრეთში, მას დვალეთის ნაწილი მაინც უნდა დაერბია, რადგან თავად ეს ხეობა (ხევის სახელით ცნობილი) დვალეთის აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენდა. გამოვიდა, რომ ოვსებმა ისარგებლეს იბერიაში უმეფობით (ვახტანგი მხოლოდ ცხრა წლისა იყო) და ქვეყანა აიკლეს. ერთი რამ ნიშანდობლივია, მტერმა სამეფოს ნაწილი კი მოაოხრა, მაგრამ იცოდა რა მისი რეალური ძალა, უკან, ჩრდილოეთში იმავე გზით არ დაბრუნებულა, დარუბანდის გზა აირჩია. გამართლდა გამოთქმა: შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო.

ისტორია გვაუწყებს: ექვსი წელი ითმინა მარცხის სირცე-



ვილი ვახტანგმა. როგორც კი სრულწლოვანი გახდა, გამეფდა და საომარი სამზადისი ბრძანა. ყმაწვილი მეფე დარიალის გზით გადავიდა ჩრდილოეთში და სასტიკად დაამარცხა ოვ-სეთისა და მისი მოკავშირეთა ჯარი. მის მხარეს კი იბრძოდნენ კავკასიონის მთის ტომები, მათ შორის, დვალები. ისტორია არ ამბობს, რომ ვახტანგის მხარეს იბრძოდნენ ოვსები. ამბობს, რომ იბრძოდნენ კავკასიონი ოვსების წინააღმდეგ. თანამე-დროვე ოს მკვლევარებს არა აქვთ ამ ფაქტის ახსნა. დვალები რომ თავიდანვე ოსები ყოფილიყვნენ, ისინი თანატომელებს არ დაუპირისპირდებოდნენ.

ვახტანგ გორგასალმა სამეფოს ჩრდილოეთით საზღვრების უშიშროება უზრუნველყო. დვალეთიც და დურძუკეთიც დაზღვეული ჰყო ჩრდილოეთის მეზობელთა მხრივ ხელყოფისაგან.

სამუდამო არაფერია. გორგასალმა ძალზე ბევრს მიაღწია, მაგრამ დროებით. VI ს. ოციან წლებში, მისი და მისი მემკვიდრე დაჩის შემდეგ, სპარსეთმა იმძლავრა და იბერიაში მეფობა გააუქმა. ქვეყანა სპარსი მოხელე მარზაპანის სამართავი გახდა.

იბერიის სამეფოს დასუსტებას დვალეთისათვის დიდი ცვლილება არ მოჰყოლია. სპარსეთს ისევე სჭირდებოდა კავკა-სიონის გადასასვლელების ჩაკეტვა და კონტროლი, როგორც იბერიას. კვლავ დვალეთი და დვალები მიიჩნეოდნენ ჩრდილოეთის მოსაზღვრე ქვეყნად და მესაზღვრებად.

თავის მხრივ, არც კავკასიონის ჩრდილოეთში იყო სტაბილურობა და ოვსთა სიძლიერე. იქაც მომხდური მომხდურს ცვლიდა. დასავლეთის თურქებმა ოვსეთის მეზობელ-მოკავშირე პაჭანიკები განდევნეს და ზედ ჯიქები მიაყოლეს. მემატიანე ამბობს, რომ ლტოლვილი პაჭანიკები წავიდნენ დასავლეთით. ცნობილია, რომ 882 წ. მათ მძიმე ბრძოლები კიევის სამთავროსთან ჰქონდათ. რაც შეეხება ჯიქებს, ისინი „...დაემკვიდრნენ ბოლოსა აფხაზეთისა“¹. რას ნიშნავს აფხაზეთის ბოლო, ბოლომდე გაურკვეველია. ამ შემთხვევაში კი მთავარია, რომ ეს პროცესები დვალებს არ შეხებიათ.

1. ქართლის ცხოვრება, ტ. 1. თბ. 1955, გვ. 150



დვალების უშუალო ჩრდილოელი მეზობლები, ოვსებიც დამარცხდნენ ახალი მტრის წინააღმდეგ ჭიდილში და შედეგად, ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ხაზართა სახაკანოს (კაგანატის) შემადგენლობაში მოხვდნენ.

ისტორიულმა კანონზომიერებამ ინება და კავკასიონის ჩრდილოეთით, კარგა ხნით ხაზართა სახაკანო გაპატონდა. სამხრეთი იმ პერიოდში ჯერ სპარსეთისა და ბიზანტიის იმპერიების სადაო ტერიტორია იყო, შემდეგ კი ორივე მტაცებელი მესამემ, არაბთა ხალიფატმა შეცვალა.

მომთაბარე ხაზარები ძირითადად ბიზანტიის იმპერიასთან კავშირში მოქმედებდნენ და პერიოდულად არბევდნენ ყოფილ იძერის სამეფოს. თავის მხრივ, არაბებიც ცდილობდნენ კავკასიონის გადალახვას და სახაკანოს (კაგანატის) დახარკვას. ცნობილია მათი ლაშქრობების შესახებ ჩრდილოეთში მდინარე ვოლგამდეც კი. ამ მტაცებელთა ურთიერთობიდილში კავკასიონელი ეთნოსები იძულებით მონაწილეობდნენ. შესაბამისად, ზარალსაც განიცდიდნენ. მათ შორის დვალები გამონაკლისები ვერ იქნებოდნენ. უღელტეხილების ჩაკეტვა კვლავ რჩებოდა მათ ძირითად მოვალეობად. მთავარია, რომ არც ერთი მოძალადე არა ცდილობდა მათი ეთნიკური რაობის შეცვლას. ოვსები თავად იყვნენ მძიმე მდგომარეობაში და დვალეთისათვის არ ეცალათ.

ოვსეთის აღორძინება და ძლიერი სამეფოს შექმნა IX ს. კუთვნილებაა. აქედან იწყება მთელი პერიოდი XIII ს-მდე, ოსეთი კავკასიონის ჩრდილოეთში ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოს წარმოადგენდა. თავისი აღმავლობის ფაზაში მყოფ ოსეთს, ძალთა თანაფარდობიდან გამომდინარე, ადვილად შეეძლო დვალეთის დაპყრობა. ეს თეორიულად, პრაქტიკულად – აღბათ, ასეც მოხდებოდა, რომ დვალეთის მფლობელი აფხაზ-ქართველთა სახელმწიფო უზომოდ არ გაძლიერებულიყო, სწორედ იმავე ისტორიულ პერიოდში, უფრო მეტი, აქ აღორძინება თითქმის საუკუნით ადრე დაიწყო.

ყოფილ იძერის სამეფოში, ჯერ კიდევ სპარსელების ბა-



ტონობის შემდეგ, არაბობის დროს, არსებობდა ერისმთავრის თანამდებობა. ერისმთავარს მეფე არ ერქვა, თუმცა მის ფუნქციებს ასრულებდა. შემდეგ VIII ს. არჩილ II აღადგინა (დროებით) მეფობა. მისი მემკვიდრეების გარდაცვალების შემდეგ, იმავე საუკუნეში აღმოცენდა აფხაზთა სამეფო. აფხაზთა მეფეებმა კონტროლი დაამყარეს მტკვრის მარცხენა მხარის ქართლზე, რომლის შემადგენლობაში დვალეთიც შედიოდა. აფხაზთა მეფეებმა თავისი გავლენა ოსეთზეც გაავრცელეს. პრაქტიკულად მათ ინტერესებში მოექცა დვალეთის მთელი ტერიტორია. ეს სულაც არაა გასაკირი, რადგან სვანეთის აღმოსავლეთი ნაწილი უშუალოდ ემეზობლებოდა დვალეთს (დღევანდელი ზემო რაჭის სოფლები: ჭიორა, ლები, გლოლა. გლოლის მთის მეორე მხარეს – დვალეთი). ასევე ალანებს, სვანეთის (მაშინდელი ეგრისის, აფხაზეთის სამეფოს) ჩრდილო-აღმოსავლეთი და დვალეთის (დიგორ-ბასიანის ხეობათა) ჩრდილოეთით. იმ დროს ოვს-ალანთა შერეული მოსახლეობა იყო.

ოვსეთის სამეფოსა და აფხაზ-ქართველთა სამეფოებს შორის აღდგენილ იქნა ფარნავაზიდან მოყოლებული არსებული სამშვიდობო – მოყვარული ურთიერთობა. პერიოდულმა ქიშპმა¹ საბოლოოდ (იმ პერიოდისათვის) უარყოფითი გავლენა ვერ მოახდინა (დღევანდელი ტერმინოლოგიით, ეს ორი სამეფო, საუკუნეთა მანძილზე სტრატეგიულ მოკავშირეებად რჩებოდნენ).

შეიძლება ხანგრძლივი მსჯელობა აფხაზთა მეფეების რელიგიურ-კულტურულ როლზე. ოსეთში ქრისტიანობის, კულტურული პროცესების განვითარება სამხრეთელი მეზობლების ხელშეწყობით მიმდინარეობდა.

ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ურთიერთობა გაღრმავდა და გაძლიერდა დავით აღმაშენებლის მეფობისას. იმ დროს (XI-XII სს.) აფხაზ-ქართველთა სამეფოს გავლენა მთელ კავკასიას მოიცავდა. გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში დვალეთი სრულიად დაცული იყო ყოველგვარი თავდასხმებისა და გადაგვარებისაგან. უფრო მეტი, არის მოსაზრება თამარ მეფის მეუღლე

1. მხედველობაშია ოვსთა რამდენიმე მცდელობა იბერიის ტერიტორიის ხელყოფისა და ამაზასპ-მირიან-გორგასლის ლაშქრობები ჩრდილოეთში



დავით სოსლანის ეთნიკურად დვალობაზეც და ოსობაზეც. ბევრ მკვლევარს საკამათოდ მიაჩნია დავით სოსლანის ბაგრატიონული წარმომავლობა (მეფე გიორგი I, მისი ძე დემეტრე, შემდეგ დავითი, ათონი, ჯადარონი და დავით-სოსლანი). დაინტერესებულებმა შეიძლება იდავონ. ამ შემთხვევაში არსებითია დვალეთის განუხრელი ყოფნა აფხაზ-ქართველთა სამეფოში და მისი სრული დაცულობა გარეშეთა ხელყოფისაგან.


XIII ს. ორმოციან წლებამდე კავკასიონის ირგვლივ სტაბილური მდგომარეობა იყო. ეს არ გამორიცხავდა ცალკეული წინააღმდეგობების წარმოქმნის შესაძლებლობას. საქართველოს (აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა...) სამეფოს, ისევე როგორც ჩრდილოეთში ოსთა სამეფოს, ძირითადი და საომარი წინააღმდეგობები გარეშე ძალებთან ჰქონდათ. იყო შიდა სიძნელეებიც.

ამ მხრივ ერთი მომენტია საინტერესო, რომელიც უშუალოდ დვალეთს შეხებია. წინასწარ ითქმება, რომ ეს მომენტი არ გამხდარა ანალიზის ობიექტი. არადა, როგორც ისტორიული წარსულის, ასევე გაურკვევლობის შემცვლელია.

დვალეთთან დაკავშირებულ ისტორიულ ცნობას ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს: „ამასვე ქამთა წარვიდა მეფე და წარიყვანა ანდრონიკე და მივიღნენ კარსა დარუბანდისასა, მოაოხრა მუსკური და შაპარანი, აღიღო ქალაქი შაბურანი... და მისცა მამის დისწულს თვისსა ქუეყანა ესე. და წარმოსულმან მუნით მოაოხრა ბასიანი, რომელიც სახვრელი იყო კაცთაგან“¹.

დავუკვირდეთ, საქმე ეხება XIII ს. გიორგი III (თამარ მეფის მამის) ლაშქრობას დარუბანდის მხარეს, გამდგარი ერთეულის დამორჩილების მიზნით. მეფე გიორგის კარზე იმყოფებოდნენ მეფეთა ჩამომავალნი ანდრონიკე კომნენოსი და აღსართანი. აღსართანი მეფეთა დისწული, დარუბენდიდან იყო გადმოხვენილი. ამ ლაშქრობისას აღსართანს დაუბრუნეს სამართავი მხარე. ეს ითქვა, რათა წარმოდგენაში აღსდგეს, სამეფოს რომელ მხარეზეა მსჯელობა. დარუბანდი კასპიის ზღვის მხარეა.

1. ქართლის ცხოვრება, ტ.IV. თბ., გვ. 169





ამ შემთხვევაში არსებითია, რომ დარუბანდიდან წამოსულ-მა მეფემ (ბუნებრივია ჯარით), უკანა გზაზე „მოარბია ბასიანი“. ბასიანი იყო ორი. ერთი სამეფოს უკიდურეს სამხრეთით, მეორე უკიდურეს ჩრდილოეთით. ჩრდილოეთის ბასიანი ისტორიულად და გეოგრაფიულად დვალეთის უკიდურესი დასავლეთი ნაწილია. სავარაუდოა, რომ დარუბანდიდან წამოსული ჯარი-ჩრდილოეთის ბასიანისკენ წავიდოდა. ლოგიკა ამას ვარნახობს.

ისტორიული ცნობა გვაუწყებს, რომ ეს მხარე „... სახკრველი იყო კაცთაგან“. დვალეთის მხარე, დვალებით დასახლებული, რატომ უნდა ყოფილიყო საკვირველი და გამორჩეული? დვალეთი ჯერ კიდევ მთლიანად შედიოდა სამეფოს შემადგენლობაში და რატომ უნდა დასჭირვებოდა მეფეს, მისი ერთი კუთხის „მორბევა“? შეიძლება თუ არა ვარაუდი, რომ ბასიანი უკვე დაკავებული ჰქონდა შერეულ მოსახლეობას, სადაც ჯერ კიდევ იყვნენ დვალები, მაგრამ მათთან ერთად ალანები. შეიძლება სვანურ-თურქულენოვანი მოსახლეობაც და მიმდინარეობდა ახალი ეთნოსის ფორმირება. სხვაფრივ რით უნდა ყოფილიყო კაცთაგან საკვირველი დვალეთის ეს ნაწილი?

არსებითია, რომ ეს არის პირველი ისტორიული ცნობა დვალეთში მიმდინარე ეთნიკური ცვლილებების შესახებ. სხვა რამ XIII ს. შუა ხანებამდე არ ფიქსირდება.

დვალეთი ისტორიულ-გეოგრაფიული და რაც მთავარია, ეთნიკური შემადგენლობის თვალთახედვით რადიკალურ ცვლილებებს კავკასიონის ჩრდილოეთში თათარ-მონღოლების დამანგრეველი ლაშქრობების შემდეგ განიცდის.

ცნობილი ამბავია, რომ თათარ-მონღოლთა დიდ ლაშქრობას მდ. ვოლგიდან დასავლეთში, სათავეში ბათო ყაენი ედგა. მონღოლთა მსოფლიო იმპერიის დამაარსებლის შვილიშვილი ბათო საომარ ოპერაციას 1238 წლიდან იწყებს. მისმა ჯარებმა გაანადგურეს კავკასიის (და არა კავკასიონის) ჩრდილოეთით არსებულ ტომთა გაერთიანებანი. სრულ მოსპობას ოსეთი ნაწილობრივ გადაურჩა.

ისტორიული ცნობების თანახმად, ოვსეთი დიდი ქვეყანა




და მძლავრი სამეფო იყო. ამ ნიადაგზე იყო სტრატეგიული თანამშრომლობა და ნათესაური კავშირები აფხაზ-ქართველთა სამეფოსთან. კავკასიონის ჩრდილოეთის მაცხოვრებელ სხვა ეთნოსებს ოვსეთი, როგორც თანაბარი ძალის მქონე ერთეულებს უპირისპირდებოდა. მონლოლებმა ყველა მათგანი გაანადგურეს, ოსეთის სამეფო კი ნაწილობრივ გადარჩა.

ოსებისათვის ხსნა კავკასიონის ხეობებში შემალვა იყო. ის ტერიტორიები რომლებიც მათ ეკავათ, ე. წ. „სარმატთა ველები“ მონლოლების კუთვნილება გახდა. ოსი მოსახლეობა ან მოსპეს, ან გააძევეს. უფრო ზუსტად, ოსებმა თავს მთებში შემალვით უშველეს. მაშინ დაიკავეს მათ დვალეთის საუკეთესო ნაწილი. აფხაზ-ქართველთა სამეფომ ვერ შეძლო დვალების დაცვა.

მონლოლებმა კავკასიონის სამხრეთი მხარე მტკიცედ იპყრეს. საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი, ლიხის მთის ამერი უშუალოდ დაიკავეს. საქართველოს დასავლეთი ნაწილი, ლიხის მთის იმერი მხარე (საკუთრივ აფხაზეთი), არ დაულაშქრავთ, მძიმე ხარკის პირობით „დაინდეს“ ერთ დროს მძლავრი სამეფო ერთბაშად მოიშალა და მტრებს დანებდა. ასეთ ვითარებაში, გასაკვირი არაა, რომ სამეფომ ჩრდილოეთი საზღვრის დაცვა ვერ შეძლო. ლტოლვილმა ოსებმა, ძალით თუ ნებით, მოახდინეს დვალეთის ნაწილის ოკუპაცია.

გეოგრაფიულად დვალეთი ხეობათა სისტემისგან შედგებოდა. ამასთან, იგი იყოფოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებად. ჩრდილოეთი ნაწილი ბარში გარდამავალ ფართო ხეობებს მოიცავდა და და საცხოვრებლად შედარებით უკეთეს პირობებს ჰქმნიდა.

ისტორიის იმ მონაკვეთში, ოსებმა დვალეთის რა სივრცე დაიკავეს, უცნობია. დვალეთის ჩრდილოეთი მხარე მოიცვეს თუ არა? ამასთან, ოსთა შემოსვლის ეს პირველი ეტაპი, რამდენად მტრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ესაც გაურკვეველია. მხოლოდ ვარაუდის სახით უნდა ითქვას, რომ ლტოლვილი ოსები დიდ წინააღმდეგობას არ წააწყდებოდნენ. საუკუნეთა მანძილზე ოსეთის სამეფოსა და აფხაზ-ქართველთა (საქართველოს) სამეფოებს შორის ახლო ნათესაურ-სამოკავშირეო ურთიერთობა





არსებობდა და ეს არ იქნებოდა მხოლოდ სამეფო ოჯახების დონეზე. ორივე სამეფოს მოსახლეობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური, რელიგიურ-საკულტო, ოჯახური, კულტურული ურთიერთობანი უეჭველად იქნებოდა, რაც ლტოლვილთა მიმართ მატერიალურ-ფიზიკური ხელშეწყობის გარდა, მორალურ თანაგრძნობასაც აღძრავდა. მეორე და არსებითი, რომ თავად დაქცეული ქვეყანა მოსულებს (თუ ისინი ძალით შემოიჭრებოდნენ) ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

შედეგად, დვალეთის ტერიტორია ასე გაიყო: სამხრეთის მხარე, კასრისხევი, ზრამაგა, უდელე, ნარას ქვაბული, ზროგო, ზახა შეურყვნელი დარჩა. რაც შეეხება ლტოლვილ ოსებს, ისინი უნდა განლაგებულიყვნენ ჩიმის, თაგაურის, ქურთაულის, ვალაგირის, ფაიქომის, დიგორისა და ბასიანის მიდამოებში. რა რაოდენობის იყვნენ ხიზნები, რამდენი ტერიტორია დაიკავეს, რა თანაფარდობა იყო მოსულებსა და ადგილობრივებს შორის – უცნობია. ისიც უცნობია, დვალეთის ჩრდილოეთით მდებარე სასაზღვრო ციხე-სიმაგრეებში იყო ქართული ჯარი, მოხდა შეპრძოლებები თუ არა და სხვა.

ერთი რამ დასტურდება ისტორიულად. ოსი ლტოლვილების დვალეთში ჩასახლებას, დროის (ჰერიოდის) მხრივ, მუდმივი ხასიათი არ ჰქონია და მას ოს-ქართველთა ომი არ მოჰყოლია.

ეს არ ნიშნავს, რომ ოსებსა და ქართველებს შორის საბრძოლო ვითარება არ შექმნილა. შეიქმნა, მაგრამ არა დვალეთში. პროცესი ასე წარიმართა. დაპყრობითი ომები მონღლოლეთის იმპერიაში შინაომებმა შეცვალეს. კავკასიონის ჩრდილოეთში გაბატონდა ე. წ. ოქროს ურდო. კავკასიონის სამხრეთში ასევე გაბატონდა ილხანთა სამეფო. მათ შორის მუდმივად იყო საომარი მზადება ან ომი.

მოხდა ისე, რომ ოსეთი ოქროს ურდოს ექვემდებარებოდა, საქართველო – ილხანთა იმპერიას. შესაბამისად ქართველები მუდმივად ცდილობდნენ ილხანების ბატონობის მოშორებას ოქროს ურდოს მეშვეობით. თავის მხრივ ოსებიც ცდილობდნენ ილხანთა გამოყენებას ოქროს ურდოს წინააღმდეგ.



ოსებმა და ქართველებმა რამდენად შეძლეს მიზნის განხორციელება და მტრის მტერის მეგობრად გადაქცევა, არავინ იცის. ამის ანალიზი არ არსებობს. სანაცვლოდ, ცნობილია, რომ მონღოლების ორივე იმპერია ოსებსაც და ქართველებსაც წარმატებით იყენებდა თავის სასარგებლოდ.

ამ ურთიერთდაპირისპირების დროს, ოსთა დიდი სამხედრო შენაერთი, დარუბანდის გზით შევიდა ილხანთა სამფლობელოში. მონღოლებმა ოსთა ჯარი შედეგიანად გამოიყენეს ქართველთა წინააღმდეგ. ქართული ჯარი ილხანთა დავალებით იბრძოდა წინა აზიაში, დაუცველ საქართველოში კი ოსთა ჯარი ჩააყენეს. ოსების მიერ დაკავებული იქნა უინვალის, დმანისის მიდამოები და გორის ციხე.

მემატიანის ცნობის თანახმად, 1278 წელს იწყება ოსთა თარეში ქართლის მიდამოებში. მეფე დემეტრე თავდადებულის ვერაგული მკვლელობის შემდეგ, ქვეყანას ძლიერი პატრონი არ გამოუჩნდა გიორგი ბრწყინვალის აღზევებამდე. ოსთა თარეში დასუსტებულ ქართლში, სრულიად ეთანხმებოდა მონღოლთა მისწრაფებას, გამოეწვია ანტაგონიზმი ორ მეზობელს შორის. რა ამოძრავებდათ ოსებს?

შეუძლებელია ქართლში შემოსულ ოსებს, რომლებსაც მეფის წული ხელმძღვანელობდა (რომელიც აღზრდის პროცესში გაეცნობოდა ქართველებთან ურთიერთობის ისტორიას), არ სცოდნოდათ ვის წინააღმდეგ აწყობდნენ ამაოხრებელ ღონისძიებებს. მათი მიზანი ქართლის დაპყრობა რომ ყოფილიყო, ჯერ ერთი დარუბანდის გზით არ შემოუვლიდნენ კავკასიონს. დვალეთის გადმოსასავლელები უმოკლესი გზა იყო. მეორე, ქართლში შემოსულები დმანის-უინვალში კი არ დაბანაკდებოდნენ, შეეცდებოდნენ დვალეთის გავლითი გზების ხელში ჩაგდებას და ქართლის დაკავებას. ოსთა ჯარის მოქმედების ხასიათი უფრო სურსათ-სანოვაგის მოპოვების სურვილზე მიუთითებს. ჯარს კვება სჭირდებოდა, საშოვნელად სხვაგან ვერ წავიდოდნენ.

ასე იყო თუ სხვანაირად, ოსებმა არა მხოლოდ დაიჭირეს



დმანის-უინვალი-გორის ციხეები, არამედ მოსახლეობის ძარცვა-საც მიჰყევს ხელი. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „... მუნ ყოფასა შინა ფარეჯან ოვსთა მეფის ძისასა იწყეს ოვსთა ოხრებად და ტყუევნად ქართლისა“.

ოსთა მიზანდასახულობის მიუხედავად, შედეგი ერთი იყო: ქვეყანა იძარცვებოდა, ხალხი იხოცებოდა. ასე გაგრძელდა გიორგი ბრნყინვალის გამეფებამდე.

მეფე გიორგიმ სამი წელი მოანდომა ქვეყნის გარეთ ოსთა გაძევებას. რამდენადაც ცნობილია, გიორგი ბრნყინვალემ სრულად აღადგინა ტერიტორიული მთლიანობა, გაწმინდა და გაამაგრა საზღვრები.

აქ კიდევ ერთი გაუკვეველი საკითხია. მონღოლთა უღლის გადაგდების შემდეგ, ოსების განდევნას სამი წელი დასჭირდა. განა, რა რაოდენობისა იყო ქართლში შემოსული ჯარი ოსებისა, რომ მათ საზღვარს გარეთ გასხმას სამი წელი დასჭირებოდა? საკითხავია, ამ პროცესში ხომ არ იგულისხმებოდა დვალეთში შე-მოსული ლტოლვილების უკან – ოსეთში დაბრუნება? საფიქრალია, რომ უცხო ჯარს დაამარცხებდნენ და მოკლე დროში თავიდან მოიშორებდნენ. სხვა ამბავია ლტოლვილების უკან, სამშობლოში დაბრუნება. ამ საქმეს სამი წელი თუ ეყოფოდა, ნიშნავს, რადიკალური ზომები იქნებოდა მიღებული. არც იმის გამორიცხვა იქნება, რომ ოსების გარკვეული რაოდენობა, მშვიდობიანი მაცხოვრებლის სახით, შეიძლება კიდეც დარჩენილიყო დვალეთში.

არსებითია, რომ მონღოლთა უღლის მოშორების შემდეგ მშვიდობიანი თანაარსებობა ორ დიდ სამეფოს შორის ძველებურად უნდა გაგრძელებულიყო. მემატიანის ცნობა, რომ მონღოლების დროს, „შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრნყინვალებან ... გიორგი განასხნა და აღფხურნა“¹. დროებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

სხვანაირად, აღარ ითქმებოდა, რომ ქართველთა მეფემ თემურ ლენგის წინააღმდეგ „გამოიყვანა დარიალიდამ ოვსნი დიდალნი“. ასევე „გამოიყვანა კუალად ოვსნი“. პირიქით, მით

1. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ.296



უფრო, რომ თემურ ლენგმა 1395 წ. თერგის მახლობლად საბოლოოდ დაამარცხა ოქროს ურდოს ძალები და იქვე კავკასიონის ჩრდილოეთის ეთნოსებს დაერია.

ისტორიულად ცნობილია, რომ ჯერ ბიზანტიისა და შემდეგ აფხაზ-ქართველთა დიდ სამეფოს გავლენით, კავკასიონის ჩრდილოეთის ეთნოსები ქრისტიანულ რელიგიას ეზიარნენ. თემურ ლენგმა მათი კულტურის ძეგლები იავარჟყო და მოსახლეობას მუსულმანობა მიაღებინა.

თემურ ლენგის მრავალგზისმა დაუნდობელმა თარეშმა კავკასიონის ჩრდილოეთის ეთნოსები გადააგვარა. აიძულა, მიეღოთ ახალი რელიგია. ამ შემოსევების დროს მოხდა მოსახლეობის განადგურება და გადაადგილება. დვალეთის დასავლეთი ნაწილი დიგორელებსა და ბასიანელებს ეკავათ. ითქვა, რომ ბასიანის მიდამოებში და ჩრდილო-დასავლეთით უნდა ჩასახლებულიყვნენ ალანები (ალანების ძირითადი ბირთვის პუნებთან ერთად ევროპისაკენ სალაშქროდ წასვლის შემდეგ).

მათი დარჩენილი ნაწილი კავკასიონის მთებში შეერია ადგილობრივ მოსახლეობას. ადგილობრივებში უპირველეს ყოვლისა, უძველესი მოსახლეობა იგულისხმება. ბასიანელი დვალები და მათი დასავლელი მეზობელი ეგრისელი სვანები. ალანების ჩასახლების შემდეგ იქ შერეული მოსახლეობა შეიქმნა. თემურ ლენგის ლაშქრობათა შედეგად ამ მხარეში დასავლეთის თურქები გამოჩნდნენ. ამ საფუძველზე დაიწყო ბალყარებისა და ყარაჩაელების ეთნოსთა ჩამოყალიბება. გასახსენებელია, ჯერ კიდევ XII ს. ამბების აღნერის დროს, მეისტორიე როგორ ახასიათებს ბასიანის მხარის მაცხოვრებლებს. არა როგორც დავალებს, არც ოსებს, არც ალანებს, არც სვანებს, არამედ საკვირველ (თუ გაურკვეველ) ეთნოსს. ახლა XV ს. ბოლოს ამ საკვირველ ხალხს თურქები უსახლდებიან (თუ იპყრობენ) და სათავეს უდებენ ახალ, თურქულენოვანი ეთნოსების ჩამოყალიბებას.

თემურ ლენგის ამაოხრებელი ლაშქრობების შემდეგ უნდა ჩასახლებულიყვნენ საბოლოოდ და დიდი ოდენობით ოსები დვალეთის ჩრდილოეთ ხეობებში.



დვალეთი გაიყო. სამხრეთი მხარე, ზახა, ზროგო, ნარა, შლელე, ზრამაგა, კასრის სხევი და რჩა საქართველოს შემადგენლობაში. ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს: „.... ხოლო რომელნი დაშთენ მეფეთა ოვსთა, სახელნი მათნი არიან ესენი: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი“¹.

რამდენადაც საქართველო დაცემა-დანაწევრების გზას დასდგომოდა და ჩრდილოეთის საზღვრებს ვერ იცავდა, ოსებმა აღნიშნული ხეობები მტკიცედ დაიკავეს. ახლა უკვე ისინი მოდიოდნენ არა როგორც ლტოლვილები, დროებით თავშესაფრის მაძიებლები, არამედ, როგორც დამპყრობლები. სხვა გზა არ ჰქონდათ. მათი დიდი სამშობლო ჯერჯერობით მაინც მონლოლებს ეპყრათ. თემურ ლენგმა ოსებს სამშობლოს დაბრუნების იმედი გადაუწურა და აგრესიულ მოქმედებათა გზაზე დაყენა.

ოსების ასეთ მდგომარეობაზე მინიშნება აუცილებელია, რათა ცხადი გახდეს, რატომ შეეშვნენ ძველი მამულების (ხუთგორი [პი-ატიგორსკი], მუავე წყლის [კისლავოდსკის] და სხვა) დაბრუნების მცდელობას და სხვისი მიწების დასაკუთრება ამჯობინეს.

ისიც ცნობილია, რომ აღნიშნული ტერიტორიებიდან მონდოლები მოგვიანებით აიყარნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ. გამოთავისუფლებული ადგილები მონდოლების თანამებრძოლმა თათრულმა ტომებმა დაიკავეს.

ორიოდე სიტყვით ამ ტომების შესახებ: დასავლეთის დასალაშქრად მონდოლ-თათრები ერთად იბრძოდნენ. ერთად მიაღწიეს ადრიატიკის ზღვამდე. გზად თათრებმა დიდი ტერიტორიები დაიკავეს, მათ შორის – ყირიმი და მისი ჩრდილოეთი სტეპები. სწორედ მაშინ XIII ს. პირველად გაუდერდა ადილური ტომების არსებობის ამბავი. ყირიმელ თათრებს ჩრდილოეთის სტეპების თათრები სათარეშო სივრცეს უზღუდავდნენ. არადა, ადილებს ეკავათ შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთი ნაწილი. მდ. დონის ზღვასთან შესართავთან ჰქონდათ მთავარი ციხე-სიმაგრე ტანა (მომავალი ცნობილი თურქული აზოვის ციხე).

1. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ.633



ყირიმელმა თათრებმა, თურქებთან ერთად, ადილები დონისპირეთიდან სამხრეთით, მდ ყუბანისპირეთში გააძევეს. XVI ს. დასაწყისში ადილები მდ. ყუბანის მარჯვენა მხარის ველებს მიიჩნევდნენ უკვე მშობლიურ მხარედ, სადაც ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ.

თურქებმა აზოვის ზღვა იმპერიის ფარგლებში მოაქციეს და ყირიმელ თათრებთან ერთად, ახლა შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს შეუტიეს, სადაც იყო ლეგენდარული ეგროსის კოლხეთის მხარე (იმ პერიოდისთვის უკვე აფხაზეთად წოდებული ქვეყნის ჩრდილოეთი).

1479 წ. თურქებმა აფხაზეთის ანაპის მხარე დალაშქრეს. მათ ყირიმელი თათრები მიჰყვნენ. ადილები ამ დროს უკვე მონღლებისგან დაცლილ, ყოფილ ოსურ მიწებს იკავებენ და ქმნიან ყაბარდოს სამთავროს. ყაბარდოელები¹ ოსებს ავიწროებდნენ და კავკასიონის მთებისკენ ერევებოდნენ. შევიწროებული ოსები ძლიერ ადილებს, ყირიმელ თათრებს, თურქებს გარიდებულები-დაუცველ დვალებს ძალით უსახლდებოდნენ. დვალები, თავის მხრივ, საშველს საქართველოს ფარგლებში დარჩენილ დვალური ხეობების დაკავებაში პოულობდნენ. კარგი ცხოვრების გამო არც ადილები (ჩერქეზები, ყაბარდოელები – ეს ერთი და იგივეა) მიემართებოდნენ მდ. დონის აუზიდან სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით და არც ოსები კავკასიონის ხეობებისაკენ.

ცნობილი ფაქტია, რომ **1526 წ.** ადილები აფხაზებთან (ეგრისელებთან) კავშირში, დადიანის სარდლობით, ებრძვიან ყირიმელ თათრებს. **1546 წ.** კი სახიბ გირეიმ შეძლო ადილთა დამორჩილება და ასტრახანის სახანოც დალაშქრა.

ყოველივე ითქვა, რათა ოდნავ მაინც სრული წარმოდგენა შეიქმნას, როგორი იყო ეთნოსთა, ტომთა და ძალთა განლაგება კავკასიონის ჩრდილოეთით, რამ განაპირობა ოსური აგრესია დვალეთის (იმჟამად საქართველოს) წინააღმდეგ.

თურქეთისა და ყირიმელი თათრებისაგან ოტებული ადილები იკავებენ მონღლების მიერ დაცლილ ოსურ მიწებს

1. ჩერქეზები, ყველა ადილური წარმომავლობისტომებს ჩერქეზს უწოდებენ



და აარსებენ ახალ პოლიტიკურ ერთეულს – ყაბარდოს (ჩერქეზეთს). თავის მხრივ, ოსები სასიცოცხლო არეალის ძიებისას უსახლდებიან და იმორჩილებენ ჩრდილოეთის დვალებს.

ვახუშტი ბატონიშვილი ამ რთულ პროცესებს ასე ასახავს: „ხოლო შემდგომად მოოხრებისა ოვსეთისა და შემოსლვისა მათისა კავკასიას შინა, იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად ანუ ყაბარდოდ, და კავკასიასა შინა მყოფნი, მათ შემოსულთაგან ოვსეთად“¹.

ოსები პირველად დვალეთის ხეობებში შესვლის დროს ლტოლვილების სახით მიდიოდნენ. ახლა კი უკვე, როგორც დამპყრობლები. ამიტომ მოხდა, რომ ისინი დვალეთში კი არ ჩაუსახლდნენ, როგორც ხიზნები, არამედ დაიპყრეს დვალთა ეს მხარე, გაბატონდნენ და ოსური ენაც გააბატონეს. ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს: „... ანცა გუარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხუათა უგუაროთა – კუალად დუალადვე“².

პატარა უწყინარი კითხვა სახელოვან ოს და მათ თანამეინახე რუს მეკალმეებს: ვახუშტი ბატონიშვილი რატომ ამბობს, „გუარიანთა“ ანუ „პრივილეგირებულთა უწოდებენ ოსად, ხოლო ჩაგრულთა ანუ „უგუაროთა“ დვალად? თუ დვალები თავიდანვე ოსები იყვნენ, რატომ მოხდა მათი დაყოფა ოსებად და დვალებად? ოსი და დვალი ხომ ეთნიკური რაობის მანიშნებელია და არა სოციალური კუთვნილების.

ოსებმა დვალეთის ჩრდილოეთი, საუკეთესო და საცხოვრებლად ვარგისი მხარე დაიკავეს. იმ ეტაპზე ოსების შეღწევა მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილში მოხდა. საინტერესოა, რატომ არა მთლიანად დვალეთი? ლოგიკური პასუხი ასეთია (თანაც სავარაუდო): მთლიანად დვალეთი არ შედიოდა ქსნისა და არაგვის ერისთავთა უშუალო მფლობელობაში. ჩრდილოეთ დვალებზე ისინი მესაკუთრულ უფლებებს ვერ ავრცელებდნენ. იქ დვალები თემურად ცხოვრობდნენ. თემი ერთი ან რამდენიმე გვარისა-

1. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. გვ. 634

2. იქვე.



გან შედგებოდა. ძლიერი გვარი ახორციელებდა პრაქტიკულ ხელმძღვანელობას. დვალეთის სამხრეთი მხარე ასევე თემებად იყოფოდა, ოღონდ იქ ერისთავთა პოლიტიკურ-სამართლებრივი გავლენა იყო. თუმცა შეიძლება ერისთავებს ისეთ ხარჯს არ უხდიდა, როგორც ბარის გლეხობა, მაგრამ რაღაცა მისართმევის (საჩუქრის) ვალდებულება ჰქონდა. ამასთან, მათი წინამძღოლი, მფარველი სხვების წინაშე, პასუხისმგებელი და პასუხის გამცემი ერისთავი იყო. შესაბამისად, სამხრეთ დვალები ერისთავთაგან დაცული იყვნენ.

კიდევ ერთი მცირე მოსაზრება: ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ ის ხევები, რომელნიც ოსებს დარჩათ, მათ სახელი ეწოდათ „დაბების“ მიხედვით, შემოსული ოსების მიერ. ჯერ ერთი, მთის ხეობებში დაბების არსებობა უკვე მაღალგანვითარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე და ცხოვრების დონეზე მითითებაა. მეორეც, იბერიის მხარეში, ფარნავაზამდე ქვეყანა ქალაქ-სახელმწიფოებად იყოფოდა. მთებში ქალაქების მაგიერ იყო დაბები. ხევის ცენტრი იყო დაბა და გვარეულობა, რომელიც დაბას აკონტროლებდა, ფაქტობრივად, ხევის მეთაურობასაც სწევდა. ამიტომ იყო შემოღებული მთის ხეობებში ხევის ბერის თანამდებობა.

დვალეთში, იმ ხეობებში, რომელნიც ოსებმა დაიპყრეს, დაბები არსებობდა. იყვნენ წამყვანი გვარეულობები და ხშირად დაბებსაც გვარეულობის მიხედვით იხსენიებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ გეოგრაფიული და გვარეული სახელები ტოლფა-სოვანი ხდებოდა.

დვალეთის ოსური ნაწილი (უკვე ოსური), ოსების საბატონო ხეობები: ჩიმი, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი, იქ არსებული დაბები იმართებოდნენ სიდამონების, ჭახილისძეების, თაგაურების, ქურთაულების, ბადელიძეების, ბიბილურების, ჩერქესიძეების, ბასიანების გვარეულობათა მიერ. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს: „და არიანცა ესენი უნარჩინებულესნი სხუათა ზედა“¹.

1. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 639



ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ თუ ამ გვარებში ოსების გაბატონების შემდეგ პრივილეგირება შეინარჩუნეს, ეს მოხდებოდა მათი გაოსების შემთხვევაში. ხოლო ისინი, ვინც ოსობას არ აღიარებდა, იძულებულნიგახდებოდნენ დვალეთი მიეტოვებინათ ან დვალეთის დაუბყრობელ ნაწილში ეძიათ თავშესაფარი. ამ მხრივ დვალური ან გაოსებულ დვალთა გვარები ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავენ.

ოსების მიერ დვალეთის ჩრდილოეთის (იმიერის) დაპყრობის შემდეგ საზღვარი დაიდო ე. წ. კასრის კართან. ვახუშტი ბატონიშვილი XVIII ს. პირველი ნახევრისთვის, დვალეთის ორ ნაწილს შორის საზღვარს ასე წარმოადგენს: „აღმოსავლით თრუსოსა და ხევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელი ძენან სამხრეთიდამ ჩრდილოთ და დასწყდების ხევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა... სამხრით მზღვრის კავკასი, ხევის ყელიდამ წარსული დასავლეთად, რომელ არს ბრუც საბძელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭა-დიგორ-ბასიანის შორისნი კავკასიი“¹.

დვალეთი გაიყო ამიერ და იმიერ, გნებავთ – ზემო და ქვემო ნაწილებად. ბუნებრივია, ოსების მხარეს დარჩა ძველად ნაშენი სასაზღვრო ციხე-სიმაგრენი, საგვარეულო თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი და ა. შ. ამიერიდან მათ ოსური კულტურის ძეგლები ეწოდებოდათ და ასევე წარმოუდგენენ ციგილიზებულ სამყაროს. გასაგებია, აღარავინ იგონებს ვახუშტი ბატონიშვილის ნათქვამს, რომ დვალეთში „ხოლო ძუელადნი არიან ციხენი, კოშკი, ეკლესიანი ქვითკირისანი მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს იტყვიან თვით იგინივე, თამარ მეფისაგანა“².

ბატონიშვილი არ აზუსტებს, ამბობს „თვით იგინივე“ აღნიშნავენ, რომ ეს სიძველენი ქართველ მეფეთაგანაა ნაშენები. „იგინივე“ ცხადია, ოსებია. XVIII ს. ჯერ კიდევ ახსოვდათ და არ მალავდნენ, რომ დვალეთის სიძველენი ქართველთა და დვალთა

1. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 634

2. იქვე, გვ. 640



შემოქმედების შედეგია და არა მათი. რა იცოდნენ ძველმა ოსებმა ან გაოსებულმა დვალებმა, რა მაცდური აზრები მოუვიდოდათ თავში მათ ჩამომავლებს და მათ წამქეზებელ რუს მეკალმეებს.

ოსებმა კი დაიპყრეს დვალეთის საუკეთესო ნაწილი და გაბატონდნენ, მაგრამ იმ დროს (XV-XVIII სს.) მთლიანი მხარის დაუფლება არ თუ ვერ შეძლეს. ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ძნელბედობის მიუხედავად, არც აფხაზ-ქართველთა სამეფოს გამოყოფილი ნაწილი, ქართლის სამეფო, ვისაც ისტორიულად ეკუთვნოდა დვალეთის მხარე, არ დათმობდა და თუ დაკარგულის დაბრუნებას არა, კუთვნილის შენარჩუნებას მაინც შეეცდებოდა.

ქართლის დვალეთის (უკვე ქართლის) ოსთაგან ხელყოფას ბუნებრივი ზღუდეების არსებობა უწყობდა ხელს. იმიერ (უკვე ოსეთის) დვალეთს ამიერი ბუნებრივი ზღუდეებით იყო გამოყოფილი. პრობლემაში ჩაღრმავებული მკვლევარები ათზე მეტი გზა-ბილიკს ასახელებენ, რომლითაც შეიძლებოდა ურთიერთობა ამერ-იმერს შორის. ძირითადი იყო კასრის ხევის გადმოსასვლელი¹.

კასრის ხევის ერთ მონაკვეთზე ხეობა ვიწროვდება, ძნელად გასავალი ხდება და ერთგვარად ბუნებრივ კარებს ქმნის. ამ მხარის საუკეთესო აღმნერი ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო კასრის კარი არს ქუემო ზრამაგას ქუეით, სად შევიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა და გლოლისა და ამას შორის კავკასის ჩამოსულის კლდითა. და არს იქ კარი კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული. დიდი კარამაროვანი, მდინარესა ზედა. რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი².“

1. აქ არ განიხილება ოსების მიერ დვალური ტოპონიმ-ჰიდრონიმების ცვლის ხასიათი. მოსალოდნელი იყო და გაგრძელდება ამ მხრივ „მოღვაწეობა“. დამხდურთა და უცხოთა კვალის წაშლა, ბევრი დამპყრობის ჩვეული მეთოდია. რუსეთის იმპერია ამ მხრივ შესანიშნავი მასწავლებელი და მაგალითის მიმცემია. ამიტომ არავინ დაობს, რატომ ეწოდება დღეს ქურთაულის წყალს მდინარე ფიაგდონი, ვალაგირის წყალს არდონი და ა. შ. არც იმას, რა კავშირშია მდ. არდონთან კასრის ხევი და სხვ.

2. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 645



ყურადღებამისაქცევი მითითებაა. სამეფომ და დვალეომა იმიერი მხარე დაკარგა დაკარგული მხარე დროთა ვითარებაში გაოსდა. ალბათ ეთნიკური ოსებიც დაემატნენ. ასე თუ ისე, მხარე უკვე ოსეთად იწოდება. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება კიდევ დამატებით მოსაპოვებელზე რეალური გეგმების შექმნა (შეიძლება, მცდელობებიც).

გაოსებული მხარის მაგალითი გასაოსებელს აფიქრებს. აფიქრებს ქართლის სამეფოს მესვეურებსაც. ამიტომ იმ ადგილას, სადაც ეს ყველაზე მეტად მოსახერხებელია, სადაც ბუნებრივ ზღუდეს ადამიანის ხელი და ნაკლები რესურსი სჭირდება, იგება საკონტროლო-გამშვები პუნქტი, ე. წ. „კასრის კარი“. კარის დანიშნულებაა, დაუპატიჟებელ მომსვლელთა კონტროლი და თარეშის შესაძლებლობის აღკვეთა. რამდენადაც თარეში, მეკობრეობა, ტყვის გატაცება ოსთაგანაა (ან გაოსებულ დვალებისაგანაა) მოსალოდნელი. ამიტომ ბატონიშვილი არც მალავს ზღუდის დანიშნულებას: „რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“.

დაქცეულ-დასუსტებულ ქართლის სამეფოს რაც შეეძლო, აკეთებდა ოსური საფრთხის არიდების მიზნით. შემორჩენილი ძუნი ცნობები, ერთი მხრივ, ცხადყოფენ გაოსებულ დვალთა და ოსთა შემოღწევის მცდელობათა აგრესიულ ხასიათს და მიუთითებენ მათ შესაკავებლად გაწეული ღონისძიებების შესახებ.

საილუსტრაციოდ შეიძლება გახსენება, რომ ქართლის მოურავად დანიშვნისთანავე გიორგი სააკაძე გადავიდა დვალეთში, იქ არსებული სასაზღვრო ციხე-სიმაგრეების აღდგენისა და კონტროლის მიზნით.

კასრის კარმა შეიძლება დადებითი როლი შეასრულა გაოსებული დვალებისა და ოსების ზემო (ამიერ) დვალეთში შემოღწევის აღკვეთის საქმეში, მაგრამ მხოლოდ დროებით. XVIII ს. ჯერ დვალებმა, შემდეგ გაოსებულებმა კასრის კარი გადალახეს და მთლიანი დვალეთი დაიკავეს. მათ ოსობა უეჭველად მოჰყვებოდა. ისეთ ვითარებაში, როცა ქართლში მეფობა გაუქმდა, მეფე ვახტანგ VI, რუსებისგან მოტყუებული ისევ რუსეთს ენდო და დიდი



ამაღით მოსკოვში გადასახლდა. მიტოვებულ ეკლესიას, ამბობენ, ეშმაკები ეპატრონებიანო. მიტოვებულ მამულს პატრონობის მსურველი არ მოკლებია. მხედველობაში თურქეთ-სპარსეთი და მათი სატელიტებია. ოსებმაც და გაოსებულმა დვალებმაც ისარგებლეს. უკვე კავკასიონის სამხრეთი ნაწილის მთიანეთის დალაშქვრა იწყეს (მიზანი არა იმის აღწერა, რომელ ხეობაში, რომელ სოფელში როდის და ვინ რას დაეპატრონა. მთავარი შედეგია).

ბოლოს ვახტანგ VI სცადა ოსთა მიგრაციული ნაკადის შეჩერება. 1711 წ. მოაწყო მან სამხედრო ექსპედიცია ურჩითა და შემოჭრილ მეკობრეთა აღგვის მიზნით. მან ჯარით „ჩავლო ზრამადა და შევლო ულელის ხევი“, გადაიარა კედელას მთა (ქედი) და შევიდა კუდაროს. მემატიანე ხაზს უსვამს, რომ მეფემ (მმართველმა) „დაიპყრა დვალეთი და დასდვა ხარკნი“. არაფერია თქმული ძარცვა-მეკობრეობა-კაცთ კვლის აღკვეთაზე, მაგრამ იგულისხმება, რომ წესრიგის (ბატონი, ყმები) აღდგენა ამ ღონისძიებებს შეიცავდა. მათვისაც შეიქმნა მეფის მიერ სამართლის კოდექსი.

დვალეთის გაოსების და თანდათან სამხრეთით გადმონაცვლების რთული პროცესის აღკვეთა იმ დროს ვერავინ შეძლო. გიორგი ბრწყინვალის დრო წასული იყო. შედეგად, ოსებისგან დევნილი დვალები ქართლის მთიანეთში გადმოდიოდნენ. მათ სოფლებს და ადგილ-მამულებს ოსები ან გაოსებული დვალები იკავებდნენ¹.

ვახუშტი ბატონიშვილს დეტალურად აქვს აღწერილი დვალეთში დვალების მდგომარეობა და ქართლში (მთიან მხარეში) მათი დამკვიდრების რეალური ვითარება. გამოდის, რომ ბევრად მეტი იყო გაოსების ფაქტი, ვიდრე ოსების რაოდენობას შეიძლება ეს გამოეწვია. ყოველ შემთხვევაში, ქართლის მთიანეთში გადმოდიოდნენ გაოსებული დვალები და არა ოსები.

1. იუმორით და მწარედ გასახსენებელია გარუსებული ვ. ლენინის სიბრძნე: გარუსებული უცხოტომელი რუსზე მეტი შოვინისტიაო. გაოსებული დვალი რით არ იქნებოდა ოსზე მეტად ოსი?



ინტერესს მოკლებული არ არის ის რეალობა, რასაც დასკვნის სახით აფიქსირებს მკვლევარი. აი, მისი სიტყვები: „ხოლო რაოდენი ოსნი დავწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი“. ანალოგიურად ითქმება: რაოდენი ოსნი არ უნდა სახლობდნენ დვალეთში, დასავიწყარი არ გახდება, რომ პირველად სახლებულან დვალები¹.

კიდევ ერთი ალოგიკური პროცესის ლოგიკური შედეგია გასახსენებელი. ვახტანგ VI რუსეთში გადასახლებას, მცირე დროით უმეფობა მოჰყვა ქართლში, სანამ კახეთის მეფე თეიმურაზ II და მისმა ბრძენმა მეუღლემ არ შეძლეს თავისი ძალაუფლების გავრცელება. ქართლის დიდებულთა ნაწილი თურქ-სპარსელებს ჰყუობდა, მაგრამ კახელები ვერ იგუეს. წინააღმდეგობრივი იყო კახეთის მეფის ქართლში დამკვიდრებისა და ქართლ-კახეთის გაერთიანების პროცესი. შედეგად მეფებმა (თეიმურაზ II და ერეკლე II) არაგვის და ქსნის საერისთაოები გააუქმეს და უშუალოდ დაიმორჩილეს².

ერისთავები, შეძლების კვალობაზე, აკონტროლებდნენ კუთვნილ მამულს და ზღუდვადნენ უცხოთა შეღწევის შესაძლებლობას. ერისთავების ძალაუფლების მოშლამ არა მხოლოდ დვალეთის გაოსებას შეუწყო ხელი, არამედ გაოსებულთა საკუთრივ ქართლის მხარეში ჩამოსახლებაც გააადვილა (ბუნებრივია,

-
1. მართალია, ბევრი ცდილობს წარმოდგენების შეცვლას. სურთ, ძველი ახლით შეცვალონ, ვთქვათ, თუ კასრის ხევს ვალაგირის წყალს, არდონს უწოდებს, თაგაურის წყალს – გიზელდონს, ჩიმითის წყალს – გენალდონს, ქურთაულის წყალს – ფიაგდონს, ძველი დავითწყებას მიუცემა. ამავე დროს, რაკი ოსურად დონი წყალია, არდონ-ვიზელდონი იმის დასაბუთებად იქცევა, რომ ეს მხარე ოდითგან ოსური იყო. ასეა? ახლანდელ პერიოდში საქართველოდან ე. წ. სამხედრო გზით ვლადიკავკაზისაკენ მიმავალი მგზავრი უეჭველად მოხვდება სოფელ ჩმი-ში. ერთ დროს ჩემია-ს (ჩიმის) სასაზღვრო ციხე ამჟამად თითქმის შუაგულ ოსეთის სოფლად ქცეულა, მაგრამ ხომ არის ისტორიული მახსოვრობაც?
 2. ესაც დროებით, რადგან ბოლოს ერეკლე მეფემ ამბიციურ ვაჟებს მისცა სამართავად. პრაქტიკულად, აღადგინა საერისთაოები



რომ ჯერ დვალეთის ჩრდილოეთში ოსების ჩასახლების გამო, მოსახლეობის სიჭარბემ განაპირობა დვალეთის სამხრეთში მათი გადასახლება, შემდეგ კი იქ სიჭარბის შექმნამ – საკუთრივ ქართლში ჩასახლება).

XVIII ს. დვალები გადადიან მდინარეების: ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის სათავეებისაკენ. დვალეთმა სამხრეთისაკენ გადაიწია¹.

ითქმება დვალეთის სამხრეთისაკენ გადაწევა, რადგან შემოსული მოსახლეობა დვალებისაგან შედგებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა: „დიდის ლიახვისა, პატარას ლიახვისა, ქსნის ხევისა და კუდაროს მოსახლენიც არიან დვალნივე“ (ქ. ც. ტ. IV, გვ. 647-648). იმ დროს ცნობილ ჯავაში ოსის ხსენებაც არ იყო. უფრო სამხრეთით სოფლებში – მით უმეტეს.

XVIII ს. ბოლოს (რუსეთის იმპერიის კოლონიად გადაქცევამდე) საქართველოს (რაჭა-იმერეთის, ქართლ-კახეთის) რაიონებში, მკვლევართა დაანგარიშებით, 29,5 ათასი ოსი ირიცხებოდა. ოსი ითქმება, თუმცა, მათი დიდი უმრავლესობა, წარმოშობით დვალი იყო. მრავლადაა ასეთი სოფლები აღნერილი, სადაც შერეული მოსახლეობაა, თანაც რაოდენობრივად ქართველების უპირატესობით.

რუსეთის მიერ ჯერ ქართლ-კახეთის, შემდეგ იმერეთის სამეფოს დაპყრობას რადიკალური ცვლილებები მოჰყვა. სხვაგვარად იმპერიული პოლიტიკა ვერ განხორციელდებოდა.

ცნობისათვის: რუსეთმა, ჯერ კიდევ პეტრე I მეფობის დროს დაიკავა მდ. დონის აზოვის ზღვასთან შესართავის მიდამოებში. ადგილობრივი მოსახლეობა აპყარა, ზაპოროჟიელი კაზაკები ჩაასახლა და დონის კაზაკთა არეალი შექმნა. შემდეგ მდინარე ყუბანისპირეთიდან გააძევა ადგილობრივი ეთნოსები (მათ შორის აფხაზეთს ჩამოაჭრა ჩრდილოეთი მხარე. აი, რას ამბობდა

1. ამ შემთხვევაში, არსებითია არა დეტალური სურათის აღნერა, როდის ვინ რომელი სოფლები დაიკავა, რა გზით, რა მეოთედებით და ა. შ., არამედ ზოგადი სურათი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არის მნიშვნელოვანი ოდენობა ნაშრომებისა, მიძღვნილი ამ პროცესებისადმი



ვახუშტი ბატონიშვილი „ხოლო ანაკოფიის დასავლითი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი“¹ ანაკოფია დღევანდელი ახალი ათონია. იმ პერიოდში აფხაზეთს ტუაფსე-ხოსტადან ანაპის ჩათვლით მიწები ჩამოაჭრეს. შემდეგ მას მიუმატეს გაგრის ჩრდილოეთი მხარე. დღეს მთელი აფხაზეთი ოკუპირებულია). მიუახლოვდა რა ქართულ სამეფოებს, რუსეთმა მრავალმნიშვნელოვანი სიმაგრეები დააფუძნა. გროზნი (მრისხანე) და ვლადიკავკაზი (დაეუფლე კავკასიას). რუსეთი არ მალავდა დამპყრობლურ ზრახვებს. 1774 წ. ვლადიკავკაზის გამგებლობას მიუერთა ქურთაული, თაგაური, ვალაგორი, ე. ი. ისტორიული იბერიის სამეფოს, დვალეთის მხარის ჩრდილოეთი ნაწილი. ქართული მიწების და არა ხალხის რუსეთის ფარგლებში მოქცევა გადაწყვეტილი იყო. მოსახლეობა შეიძლება აეყარათ და გაესახლებინათ, მიწები კი რუსებისა და ერთგული სატელიტებისთვის გაენანილებინათ.

მეფის რუსეთმა, კავკასიონის სამხრეთში, მთავარ შემაფერხებელ ძალად ქართული სახელმწიფოები მიიჩნია. დღევანდელი აზერბაიჯანული სახელმწიფო და ეთნოსი არ არსებობდა. ამ ტერიტორიაზე იყო 15 ურთიერთდაპირისპირებული სახანო. აქედან ორი ქართლ-კახეთის სამეფოს ექვემდებარებოდა. მეფის უფროსი ვაჟის, გიორგის, საუფლისწულო რეზიდენცია დღევანდელ ქალაქ ყაზახში მდებარეობდა. სომხეთში იყო ერთი, ერევნის სახანო და ისიც ქართლ-კახეთის ქვემდებარედ. რეალობიდან გამომდინარე, რუსეთმა დამპყრობლური ძალისხმევა ქართველების წინააღმდეგ მიმართა.

1801 წ. ქართლ-კახეთში მეფის ინსტიტუტი გააუქმეს, მმართველი არისტოკრატია რუსეთში გაასახლეს და დაიწყო გაძლიერებული კოლონიზაციონული პოლიტიკის გატარება. სხვა ლონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვანი იყო ერთგული ელემენტების დანერგვა. იმპერიული მეთოდია: თუ ურჩ კოლონიაში არა სახლობენ სხვა ეთნოსის წარმომადგენელნი, ჩაუსახლე კომპაქტურად, შეუქმენი პირობები, მოაძლიერე და საჭირო

1. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. გვ. 783



დროს აუჯანყე. მებრძოლ მხარეებს უეჭველად დასჭირდებათ მომრიგებელ-მოსამართლე.

ნაცადი კოლონიური პოლიტიკის გამოყენების შედეგად, ქართულ სამეფოთა ფარგლებში, კომპაქტურად დაასახლეს სომხები ჯავახეთში და შექმნეს სომხეთის გაგრძელება. აფხაზეთში, სადაც მცირერიცხოვანი ადილური წარმომავლობის დიასპორა ეგრისელებთან შედარებით ძალზე სუსტად გამოიყურებოდა, ჯერ ერთი, ეგრისელები (ჭეშმარიტი აფხაზები) მეგრელებად გამოაცხადეს, ხოლო ადილური ელემენტები – აფხაზებად. ესაც არ იკმარეს. დამატებით დიდი რაოდენობის სომხობა ჩაასახლეს. სამხრეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან აბორიგენ მოსახლეობას მუდმივი საფრთხე გაუჩინეს.

ჩრდილოეთიდან ქართველობას გაოსებული დვალების ჩასახლება დაუწყეს. მკვლევარებს აღწერილი აქვთ რა მეთოდებით, ფორმებით, რომელ ხეობაში, სოფელში, რამდენი კომლი სახლდებოდა. ამას ემატება ჩამოსულთა გვარ-სახელები, სულადობა და ბოლოს სურათი იხატება¹, რომლის მიხედვით ასეთია მონაცემი: უკვე 1814 წლისათვის ქართლის მთიანეთში აღირიცხებოდა ოსების თუ გაოსებულების 2430 კომლი, დაახლოებით 7200 სულის ოდენობით. ეს იყო დასაწყისი.

კოლონიური პოლიტიკა გულისხმობდა ტერიტორიული ერთეულების საზღვრების შეცვლას ისე, რომ ისტორიულად დამკვიდრებული სახელწოდებანი წაშლილიყო. ამ ხაზით იმპერიამ მოახდინა ქართული სამეფოების რეორგანიზაცია.

მთელი ტერიტორია გაიყო ორ, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად. გუბერნიები, თავის მხრივ, დაიყო მაზრებად და „ოკრუგებად“. წაიშალა ძველი და დაერქვა ახალი სახელები. თბილისის გუბერნიაში დააფუძნეს 1843 წ. ე. წ. ოსეთის „ოკრუგი“, ცენტრი სოფელ ქვეშეთში. იწვალეს, მოსახლეობა გატანჯეს და ცენტრი უფრო მოსახერხებელ ადგილას, სოფელ

1. დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია მოიკითხოს ვ. ითონიშვილის, ა. თოთაძის, რ. თოფჩიშვილის, ა. ჯაფარიძის და სხვათა შესაბამისი მიმართულების ნაწარმოებები. ამ შემთხვევაში კი საკმარისია მათზე მითითება.



ჯავაში გადაიტანეს. მერე რა, რომ 1801 წ. მონაცემებით ჯავაში არც ერთი ოსი არა ცხოვრობდა. დიდი ამბავი. საკუთრივ დვალეთი, ცენტრთან სიახლოვის საბაბით, 1858 წ. თბილისის გუბერნიიდან ვლადიკავკაზის სამხედრო ოლქს გადაულოცეს. რამდენადაც დვალების (ოსებად წოდებულების) გარკვეული რაოდენობა დარჩა ქართლის მთიანეთში, საჭიროდ ჩათვალეს მათვის ორგანიზაციული ფორმის შექმნა ე. ი. ქართლში მეორე ოსეთის დაფუძნდება. ვინ შეეწინააღმდეგებოდა?!.. მთავარია, რომ იშლებოდა ძველი ერთეულები, ოხრდებოდა საზღვრები და მოსახლეობა. ჩნდებოდა ახალი, სამხრეთ ოსეთი.

იმპერია ხელს უწყობდა ხიზნების მასობრივ მოდინებას, უწესებდა შეღავათებს, პრაქტიკულად, ქართველებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობას უქმნიდა. ამით ოსობა (სიტყვა დვალი რუსებისათვის არ არსებობდა) მისაბაძი, სარფიანი საქმე ხდებოდა და გაჭირვებულ ქართველ გლეხს უბიძებდა, თავი ოსად გამოეცხადებინა. გაოსების პროცესის დაჩქარებას ემსახურებოდა ქართულად წირვა-ლოცვის აკრძალვა და ოსურენაზე ქადაგება.

წარმოებული იმპერიული პოლიტიკა დვალებს აიძულებდა, ოსებად ჩაწერილიყვნენ. სამეტყველო ენა მათ ისედაც ოსური ჰქონდათ და მათი გაოსებაც ამიტომ იოლდებოდა. საქმე ის არის, რომ ქართველებში ფეხს იკიდებდა ოსად ჩაწერის პრაქტიკა. 1851-1852 წლებიდან ოსები ბატონიყმობიდან თავისუფლდებოდნენ. ქართველ თავად-აზნაურობას ეკრძალებოდა მათი დაყმევება.

შეიქმნა ვითარება, როცა ქართველებისთვის ოსობა, ოსად ჩაწერა, ეკონომიკურად მომგებიანი ხდებოდა. გაოსებული დვალები ისედაც ახლობლები იყვნენ და მათ „რჯულზე“ მოქცევა უბრალო ფორმალობად იქცა. პროცესი ფართო ხასიათს იღებდა და დღეს უკვე ძნელდება იმის დადგენა, ქართულ-ოსურ გვარებში რომელია ძირი. არის გვარები, რომელთა ქართული წარმომავლობა აშკარაა (ვთქვათ: ცხოვრებოვი, ბიჭიკავი), მაგრა არის ასეთი, სადაც გარკვევა რთულია (ვთქვათ: ჩოჩიევი

11



КАВКАЗ в XIXв.





– ჩოჩელი, ჩოჩიშვილი, ბედოევი – ბედოშვილი, ბეკოევი – ბეკურაშვილი და ა. შ.).

XIX ს. მანძილზე მიმდინარეობდა ჩრდილოეთიდან ხიზნების შემოდინების პროცესი. ამავე დროს ინერგებოდა და მწვავდებოდა ეთნოურთიერთობათა წინააღმდეგობა. 1917 წელს თებერვლის რევოლუციამ და ოქტომბრის სამხედრო გადატრიალებამ ბიძგი მისცა ოსთა სეპარატიზმს. მასში უკვე იშლებოდა და დავიწყებას ეძლეოდა დვალური ან ქართული ფესვების რაობის საკითხი. მთავარი არგუმენტი ხდებოდა მამა-პაპათა საფლავების არსებობა.

ოსების ქართველებთან ურთიერთობის ხაზით არაფერი შეცვლილა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. შეიძლება ითქვას, გამნვავდა კიდეც. შესაძლებელი ხდებოდა ერთიანი ოსური რესპუბლიკის შექმნა. ხომ შეიქმნა აფხაზეთის რესპუბლიკა. სამი ასეთი რესპუბლიკა შეიქმნა ახლადშექმნილ აზერბაიჯანში, ასევე იყო კავკასიონის ჩრდილოეთში. ოსებს, რომელთაც იმპერიისა და ბედის უკულმართობის გამო სამშობლო და კარგეს და ქართველობას ჩაუსახლეს, რატომ, არ შეეძლოთ კომპენსაცია მიეღოთ?

ბოლშევიკები კი პირდებოდნენ ასებს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, სამოთხეს, მაგრამ ეს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური ანექსიის განხორციელებამდე. 1921 წლის მარტიდან ვითარება შეიცვალა. მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციაზე მეოცნებე ბოლშევიკებისათვის ასების პრობლემამ აქტუალობა და კარგა. ამიტომ, 1922 წლის 20 აპრილის სამხრეთ-ოსეთს ავტონომიური ოლქის შექმნა დიდ მიღწევად დასახეს. ესეც პირადად ს. ორჯონივიძის და ორიოდე გზააბნეული ბოლშევიკის ძალისხმევით.

საქმის არსი შემდეგშია: კ. ლენინის დაუინებული მოთხოვნით სამი გასაბჭოებული რესპუბლიკა: აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო უნდა გაერთიანებულიყვნენ ერთიან ფედერაციად. ფედერაციული რესპუბლიკა შევიდოდა რუსეთის შემადგენლობაში, როგორც ერთი ერთეული. თავად ე. წ. ამიერკავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში ადგილები განაწილდე-



ბოდა შემადგენელი ავტონომიური ერთეულების რაოდენობის მიხედვით. საქართველოს, ორი შემადგენელი რესპუბლიკის და ერთი ოლქის ქონა, დამატებით სადელეგატო მანდატებს აძლევდა. ქართველი ბოლშევიკები დაინტერესებული იყვნენ უპირატესი ხმების და თანამდებობების მოპოვებით ამიერკავკასიის ფედერაციაში.

კალმოსნები მუდამ ფუთავდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას, როგორც ბოლშევიკური პარტიის ზრუნვას ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაწყვეტისათვის. სინამდვილეში, ვინ ჰკითხავდა პატარა ეთნოსებს?

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ოსების (აღარ ითქმებოდა დვალები, ეს დავინწყებას მიეცა ეთნოსებზე მზრუნველი ბოლშევიკების მიერ) დიდი გამარჯვება, სეპარატიზმი იყო. საკუთრივ ისტორიულ ოსეთში ავტონომიური ოლქი რუსეთის შემადგენლობაში, მხოლოდ ორი წლის შემდეგ შექმნეს 1924 წლის 7 ივნისს.

რეალური ხდებოდა ოსური ოცნებების აღსრულება, – ერთიანი სახელმწიფოს შექმნა. მით უფრო, რომ მათ საბჭოთა იმპერიის ცენტრში მხარდამჭერებიც ჰყავდათ. უფრო მეტი, ოსების ამ ინიციატივას ქართველ ხელმძღვანელ „ამხანაგთა“ ნაწილიც ემხრობოდა დროებით. საქმეის არის, რომ ოსური ინიციატივა ითვალისწინებდა გაერთიანებული ოსური ოლქების ნიადაგზე რესპუბლიკის შექმნას და მის შესვლას (გაერთიანებას) საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. იყო 1925 წელი. საკითხის ასეთი გადაწყვეტა მოსკოვს არ აწყობდა არაერთი მიზეზის გამო, ამიტომ, საჭირო გახდა ოსური წინადადების სასწრაფო კორექტირება. სამი თვის შემდეგ ოსებმა უკვე გაერთიანება და რუსეთის ფედერაციაში გაწევრიანება მოითხოვეს.

იმ დროს საბჭოთა კავშირში ისედაც მძაფრი იდეურ-პოლიტიკური ბრძოლები მიმდინარეობდა. ამიტომ ახალი თავსატები აირიდეს. 1936 წ. კონსტიტუციით რსფსრ შემადგენლობაში მოქცეულ ოსეთის ოლქს სახელი შეუცვალეს, ავტონომიური რესპუბლიკა უწოდეს და საკითხი დააკონსერვეს. ესეც დროებით.

საქართველო




სიცელოს საზღვრების რუკა

გეორგია

$\frac{1}{3.000.000}$

0 10 20 30 40 50 60 70 80 90 100 200
კილომეტრი

0 10 20 30 40 50 60 70 80 90 100 200
კილომეტრი



გეორგიას საქართველოს რესპუბლიკის სამსახურთ სამინისტროს მოძრაობაში განკოდილებისა.



დროებით შეწყდა ორი ოსეთის გაერთიანებისა და რუსეთ-თან მიერთების მოთხოვნა. უფრო მეტი. საუკუნეების მანძილზე ოსები, ქართულ კულტურას ნაზიარებნი, ქართულ დამწერლობას იყენებდნენ. დვალებზე ლაპარაკი არაა. დვალი კოსტა ხეთაგუროვი (ხეთაგური) იყო ამ მხრივ გამორჩეული. ბევრ ოსს ახსოვდა თავისი დვალური წარმომავლობა და ქართველებთან სიახლოვე. ამას ემატებოდა გაფანტულობა ქართველებს შორის და შერეულ ოჯახთა სიმრავლე.

ცნობილია, რომ საქართველოში 165 ათასი ოსი თუ გაოსებული დვალი ცხოვრობდა. აქედან მხოლოდ 64 ათასი იყო მათთვის შექმნილი ავტონომიური ოლქის ფარგლებში. დანარჩენების ძირითადი მასა ქართლ-კახეთის რაიონებში. ოს (უბრიანია ითქვას, დვალ) მოსახლეთა მტკიდრო გაერთიანება ქართველობასთან, უკანა პლანზე სწევდა იმპერიულ სეპარატიზმის ნაღმს.

ასე გრძელდებოდა, სანამ საბჭოთა ხელისუფლების სათავეში არ მოვიდა „გენიალური“ ავანტიურისტი კარიერისტი ნ. ხრუშჩოვი. მან დიდხანს და ბევრი ითმინა. ჯერ იყო და ნადეჟდა ალილუევას მეშვეობით სტალინს გაეცნო და პარტიული კარიერა გაიკეთა. თავი გამოიჩინა ტროცკიზმის წინააღმდეგ კამპანიისას. ათი ათასობით ადამიანის დახვრეტა-გადასახლების მიღწევებით. უნიათობისა და სამხედრო დანაშაულისათვის ორჯერ იხსნა ლ. ბერიამ ტრიბუნალის განაჩენისგან. თუ მის აღიარებაში არის სიმართლის მარცვალი, ახალგაზრდობიდან სტულდა ქართველობა და როცა „იმპერატორის კვერთხს“ დაეუფლა, ამოქმედდა. 1956 წელს მიიღეს სპეციალური დოკუმენტი საქართველოში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მიმართული. მისმა პოლიტიკამ, სხვა მოვლენებთან ერთად, სტიმული მისცა ოსების სეპარატისტული განწყობილების გაძლიერებას (აღარაა მსჯელობა 1956 წ. 9 მარტს თბილისში მოწყობილ სასაკლაოზე. არც იმაზე, რომ მის დროს დამუშავდა გეგმა ზღვისპირეთიდან ქართველების გაციმბირების შესახებ).

სასიცოცხლოდ აუცილებელია, საზოგადოებამ გააცნობიეროს ის რეალობა, რასაც ქართლში ოსური სეპარატიზმის გაძლიერება ეწოდება.



ჯერ ერთი, ვინ იყვნენ საკუთრივ ოსები? თუ ვერწმუნებით ი. გაგლოითს (გაგლოევს), ა. ჩოჩიევს, ბ. კალოევს და მათ „გენიალურ“ მიხვედრებს, ოსების ალანობის – არიელობის – სკვითობის – მასაგეტობის – ოს-ალანობის და ა. შ. შესახებ, ვერასოდეს ჭეშმარიტებამდე ვერ მივალთ. უფრო მეტიც, უეჭველად „დავრწმუნდებით“, რომ დღევანდელი აფხაზები, მეგრელები და სხვანი ოსებთან საერთო წარმომავლობისანი არიან ანუ საბოლოოდ ოსები არიან. რაც შეეხება ქართველებს, ისინი გვიან არიან მოსული და ოსურ მიწაზე დასახლებულები. მეორე: რატომ უნდა ვერწმუნოთ ამ გაოსებულ დვალებს და არ დავიჯეროთ ოსების სასიქადულო შვილების – ბატონ ვასო აბაევის მეთაურობით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ოსები ირანულენოვანი ტომის კავკასიელებთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული ეთნოსია. მესამე და საინტერესო: დაე, ე. წ. ოს-პატრიოტთა ლიდერებმა კარგად გაარკვიონ საკუთარი წარმომავლობის საკითხი, როცა ნახავენ, რომ დვალურია მათი წინაპრების წარსული...

გრძელი ისტორიული პროცესი წათელყოფს ოსი სეპარატისტების მტკიცებულებათა უსუსურობას. სიმართლე ითქვას, არც მტკიცებულებანი შეიქმნებოდა და არც პრაქტიკულ მოქმედებას ექნებოდა ადგილი, რომ არა რუსეთის იმპერიული პოლიტიკა.

რუსეთის იმპერიამ ბევრს მიაღწია. ბევრი მცირერიცხოვანი ეთნოსი აითვისა, შეიძულაბა – როგორც ვ. ლენინი იტყოდა და გარუსების გზას შეუყენა.

ე. წ. ოსური სეპარატიზმიც რუსული იმპერიული პოლიტიკის შედეგია. სადღაა ოსეთი? ვის ხელშია ის სამოთხისებური მხარე, რომელსაც სტრაბონი სარმატთა ველებს უწოდებდა და დღეს სტავრობოლის მხარე ჰქვია? იმპერიამ ბევრი მოინელა, ბევრი გააბრიყვა. მათ შორის ქართველები, აფხაზები, ოსები. რა, როცა 29.5 ათასიდან დვალ-ოსობა ქართლ-კახეთში 165 ათასამდე გაიზარდა, ეს ბუნებრივი მატების შედეგი იყო? ყოველივეს დაფიქრება სჭირდება. მიხვედრაა საჭირო, რომ სანამ მცირე ეთნოსები ერთი-მეორეს მტრობენ, იმპერია ძლიერდება და ორივეს ჩაყლაპვას ლამობს.



სწორედ ამიტომ გვერდი უნდა აევლოს იმ კონკრეტულ მოვლენებს, რასაც ადგილი ჰქონდა XX ს. დასასასრულს და გრძელდება დღემდე. ვის, თუ არა ჭეშმარიტ ოსებს კარგად მოეხსენებათ, როგორ იყო იგნორირებული ყველაფერი ოსური ე. წ. ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში და როგორ იყო იგნორირებული ყველაფერი ქართული ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოლქში.

საილუსტრაციოდ ნათქვამისა ე. წ. ჩრდილოეთ ოსეთის აღიარებული ლიდერი ა. გალაზოვი წერდა: ჩემს სამშობლოში ოს ახალგაზრდებს წართმეული აქვთ ეროვნული კულტურის გაცნობის საშუალება. «... к примеру, лишили её родного языка... в Северной Осетии фактически не было не одной школы с осетинским языком обучения».

სანაცვლოდ იმისა, რომ ისტორიულ ოსეთში იდევნებოდა ოსური ენა და კულტურა, საქართველოში ნება ჰქონდა დართული ოსურ ნაციონალიზმს და „ხდებოდა აშკარა დევნა ქართული კულტურისა“¹.

ე. წ. ქართულ-ოსური კონფლიქტი დაგეგმილი იყო იმპერიის ცენტრში, მოსკოვში და იმართებოდა იქიდან. რაც შეეხება ქართველებს და ოსებს (უფრო მეტად – გაოსებულ დვალებს), გაპრივებულები თავდადებით ასრულებენ ცენტრიდან მიღებულ მითითებებს².

1. ორივე ციტატა აღებულია ნაშრომიდან – „ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მისი მოგვარების ძირითადი გზები“, თბ., გვ.12

2. არა ერთხელ იქნა აღნიშნული ავტორის მიერ, საბჭოთა კავშირში არსებული სისტემის შესახებ, რომლის ნამდვილი მიზანი იყო, იმპერიაში მოქცეული ეთნოსების შესწავლა გარკვეული მიმართებით. კერძოდ, იმის გარკვევა და დაგეგმვა, რომელი ეთნოსი რომელს უნდა დაპირისპირებოდა როდის, რა ფორმით და რით უნდა დამთავრებულიყო კონფლიქტი. ისაცაა აღნიშნული, რომ ამ სისტემის ერთი რგოლის ხელმძღვანელის გ. ტრაპეზიკოვის მიერ იყო დაგეგმილი კონფლიქტი ოსებსა და ინგუშებს შორის. მის მიერვე იქნა შედგენილი ე. წ. აფხაზური წერილი, რომელმაც ბიძგი მისცა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს და სხვ.



დღეს პირველი რიგის ამოცანაა შექმნილი ვითარების სწორი ანალიზი. რუსეთის იმპერიაში უშუალოდ მოქცეულმა თუ გავლენის სფეროში მყოფმა ეთნოსებმა უნდა გააცნობიერონ რეალური მდგომარეობა და ისე დაგეგმონ განვითარების პერსპექტივები. პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული ეთნოსის თვითგარკვევას.

არაა საკმარისი ზოგადი დებულებების ცოდნა ეთნოსის შემადგენელი ნაწილების შესახებ. ეთნოსი კი იყოფა მცირერიცხოვან პრივილეგირებულ, პრივილეგიებისათვის მებრძოლ ნაწილებად და მოსახლეობის ნეიტრალურ უმრავლესობად. მაგრამ ასეთი დახასიათება ცოტაა. მით უფო, რომ ერთნიც და მეორენიც მესამეთა (ანუ ხალხის) სახელით ქადაგებენ და მოქმედებენ. შესაბამისად, მესამენი (ნეიტრალური უმრავლესობა) ძნელად გაარკვევს ვინაა ჭეშმარიტად მისი ინტერესების დამცველი და ვინ დემაგოგი-კარიერისტი.

ცხოვრებაში უეჭველად მოქმედებს ერთი თავისებურება: ცალკეული პიროვნება სწრაფად აზროვნებს და ლებულობს გადაწყვეტილებას. ასევე შეიძლება, ცდებოდეს. სხვაა ხალხი (მასა, ნეიტრალური უმრავლესობა).

ხალხის მასა ნელა აზროვნებს, რთულად მიდის დასკვნამდე, მაგრამ არასოდეს ცდება.

ცალკეულ ადამიანს, ხელმძღვანელს, შეუძლია დააჩქაროს ხალხის მიერ დასკვნის გაკეთებისა და პრაქტიკული რეალიზაციის პროცესი, თუ სწორად ესმის ამოცანები. მაგრამ თუ ცდება, ხელმძღვანელმა, შეიძლება, შეაფეროს წინსვლა ან ნაწილობრივ უკანაც დახიოს.

საბოლოო ანგარიშით ხალხის დიდხანს სწორი გზიდან აცდენა არავის შეუძლია. ვაი მას, ვინც ხალხის შეცდენას მოისურვებს.

ეს მცირე გადახვევა განაპირობა ვითარებამ, რომელიც დღესაა შექმნილი კავკასიონის მცირე ეთნოსებში. სახელმწიფო კაპიტალიზმის (საბჭოთა წყობილების) სისტემიდან თავისუფალი კონკურენციის სისტემაზე გადასვლის პროცესებმა გამოა-



ცოცხლეს კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პერიოდის უარყოფითი მოვლენები.

უარყოფითმა მოვლენებმა (პროგრესისა და დემოკრატიის იარღიყით შეფუთულმა) დროებით წინა პლანზე წამოიწიეს და ეროვნული ინტერესები დაჩრდილეს. ეს, თავის მხრივ, დროებითი შემაფერხებელი ფაქტორია ხალხის აზროვნების განვითარებაში.

ეთნოსთა პოლიტიკური ორგანიზების, ტრადიციული, ბიუროკრატიული პრინციპების დემოკრატიულად დასახვა, ჭეშმარიტ დემოკრატიად წარმოდგენა ერთი მხრივ და მშრომელების (ხალხის) დაუნდობელი ეკონომიკურ-სულიერი ძარცვა, თავისუფალთა, თანასწორუფლებიანთა ურთიერთობად დასახვა მეორე მხრივ, ხელს უწყობს მასების მორჩილებას. საკითხავია, როდემდე?

ასეთი მდგომარეობა ვრცელდება ეთნოსთა თვითგარკვევისა და ურთიერთობის პრობლემებზეც. ამიტომაა საჭირო ამ პრობლემათა პირუთვნელი გაშუქება.

დვალებთან მიმართებით, აუცილებელია გარკვევა, დღეს, როდესაც დვალები მხოლოდ ისტორიკოს-ეთნოგრაფების ინტერესის საგანს წარმოადგენენ, აიხსნას, რამდენადაა დვალი ისი და დვალი რამდენადაა დვალი.



დვალები დვალეთში

ვითარებაში, როდესაც დვალური მეტყველება და კარგულია (თანაც ეს მოხდა XIX-XX სს მანძილზე), ეთნოსი გაფანტულია და შერეული სხვა ეთნოსებში (ოსები, ქართველები), რამდენად საინტერესოა იმის გარკვევა, დვალი ოსია თუ არა? დვალები რჩებიან დვალებად თუ არა?

საკითხის ოსური გაგება სრულიად გასაგებია. დვალეთის ისტორიული ტერიტორია ოსეთის შემადგენლობაშია მოქცეული. დვალები ოსურ ენაზე მეტყველებენ. უმრავლესობა თავს ოსად მიიჩნევს, სხვა რაღაა საინტერესო და საკვლევი?

სინამდვილეში საკითხს მრავალი ასპექტი აქვს გაუხსნელი, რომელთა ობიექტური განხილვა თანამედროვეობას სიცხადეს წარმოუდგენს.

პირველ რიგში, ეს შეეხება ოსების წარმომავლობას, ეთნოგნეზისის საკითხს.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ოს ეთნოსს გმირული, ხანგრძლივი არსებობის ისტორია აქვს. ისტორია ოსებისათვის საამაყო და სხვების მხრივ პატივსაცემი.

რას მატებს დვალების ოსობის დამტკიცება ოს ეთნოსს? ითქვა, რომ ოსი მკვლევარები ძვ. წ. აღ. III ს მიიჩნევენ კავკა-სიონის ჩრდილოეთში მათი დამკვიდრების თარიღს. ა. ცაგაევას (და არა მხოლოდ) უფრო ძველი პერიოდი – ძვ. წ. აღ. VII-VI ს მიაჩნია. ოს და (და არა მხოლოდ) მკვლევარებს საბოლოოდ ვერ დაუდგენიათ წინაპრების ვინაობა. ტიბეტიდან მოყოლებული, ევროპის ჩათვლით, განიხილება მრავალი ტომთა გაერთიანება. დასკვნა არ ჩანს.



იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდებოდა დვალთა ძირძველი ოსობა, საკითხი გარკვეულობას შეიძენდა. დვალები ისტორიულად უძველესი დროიდან სახლობდნენ კავკასიონის არეალში. თუ დვალები ოსებია, მაშინ აზრი ეკარგება წინაპრების ძიებას სხვა მხარეებში. მტკიცდება, რომ ოსები უძველესი დროიდან არიან კავკასიელები. თუ ქართებს (იბერებს) კავკასიონის მთებში მთის იბერები დახვდნენ (რისი წერილობითი მტკიცდულება არსებობს), მაშინ გამოდის, რომ ოსები არიან პირველი მაცხოვრებლები, ხოლო ქართები გვიან მოსულები.

ამ გზით ოსების ისტორია ძველდება და ტერიტორიული პრეტენზიები მყარდება.

ისიც ცნობილია, რომ მთებში (დვალეთის ისტორიულ არეალში) ოსური კულტურის ძეგლები არ არის. თუ დვალები ძირძველი ოსებია, მაშინ დვალური ძეგლები ავტომატურად ხდება ოსური.

დვალების ოსობა ოსებს ათავისუფლებს ზრუნვისაგან, ეძებონ დამატებითი მტკიცებულებანი მეზობლებთან (ქართველებთან) სასაზღვრო-ტერიტორიული პრეტენზიების გარკვევისას.

სამწუხაროდ, ოსებს არა ჰქონიათ საკუთარი დამწერლობა, სარგებლობდნენ ქართულით და კვლევის პროცესში იძულებული არიან მიმართონ ქართულ წყაროებს. თუ იქ გამოთქმული დებულება მათ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება, საჭირო ხდება წყაროს შებრუნებული გაგება. დვალების ოსობის „დამტკიცების“ შემთხვევაში ამის აუცილებლობაც ისპობა.

რას გვეუბნება ისტორია?

ყველაზე უფრო რეალურია ოსების მიდიელებისაგან წარმომავლობის ვერსია. მიდიელების ძველი და სახელოვანი წარსული ამდიდრებს და აძველებს ოსების ისტორიას და ზედმეტს ხდის ძიებას ათას სხვა ტომებში საკუთარი წინაპრების ამოცნობის მიზნით. მით უფრო, რომ სხვა ტომები იყვნენ მომთაბარენი, მიდიელები კი მკვიდრი მოსახლენი, მიწათმოქმედნი და ხელოსნები, ისევე, როგორც ოსების უმუალო წინაპარი აორსები.



რაც შეეხებათ დვალებს, ისინი შედიოდნენ თუბალურ ტომთა გაერთიანებებში. როდესაც თუბალებმა კავკასიონის ჩრდილო-ეთი დაიკავეს, დვალები კავკასიან ტომებს განეკუთვნებოდნენ. ეს კი სულ მცირე ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის კუთვნილებაა.

ქვ. ნ. აღ. VIII ს., როცა იწყება კავკასიანთა რბევა, ჯერ კი-
მირიელების და შემდეგ სკვითების მიერ, ტომთა გაერთიანება
იშლება, იფანტება, შედარებით უხიფათო ადგილებში მკვი-
დრდება. მაშინ იქნენ სინდები და მეოტები შერეკილნი და მი-
ჯაჭვულნი აზოვის ზღვის აღმოსავლეთ ჭაობიან ადგილებში.
მაშინ იქნენ დურძუკები დამკვიდრებულები „მთის ნაპრალში“,
მდ. თერგის მარჯვენა მხარის ხეობებში. დვალებიც მაშინ გახ-
დნენ იძულებულნი, თავი კავკასიონის ჩრდილოეთი მხარის ცენ-
ტრალურ ნაწილში დაემკვიდრებინათ, მთის ხეობებში ჩიმიდან
ბასიანამდე.

იყვნენ მაშინ იმ მხარეებში ოსები? უკვე ითქვა, რომ ოსები (აორსი სარმატები) ცოტა გვიან, დაახლოებით ძვ. წ. აღ. V ს. ჩნდებიან კავკასიონის ჩრდილოეთში და იკავებენ გაშლილ ველებს ე. წ. სარმატთა დაბლობებს. ამასთან, ოსები მოდიან, როგორც დამპყრობლები, დვალების მტრები და არა მეგობარ-ნათესავები.

როცა აზონ იარედოსის ქემ დააფუძნა იპერთა სამეფო, მან დაამარცხა და დახარკა ოსეთის სამეფო.

დვალეთი იბერთა სამეფოს შემადგენლობაში შევიდა, როგორც ძირძველი იბერიული მხარე. დვალები მუდამ იბერიულ ტომებს განეკუთვნებოდნენ¹. დვალები, სავარაუდოდ, კავკასიან თუბალ-იბერებს განეკუთვნებოდნენ. ქართი იბერები მათი უახლოესი მეზობელ-ნათესავები იყვნენ. ამიტომ, დვალების და დურძუკების, როგორც კავკასიან-იბერთა მოხვედრა ქართ-იბერთა სამეფოში ბუნებრივი შედეგი იყო, აორს სარმატთა

- 1. გახსენებისთვის:** ბიძლიურ თუბალებს ასურელები ტაბალებს ქახადნენ და ბოლოს იბერნი ეწოდათ. იბერები იყვნენ ლეონტი მროველის მიერ დასახ-ელებული ჰაოსიანები, ბარდოსელები, მოვაკანელები, ლეკოსელები, ჰერები, ქართები, კავკასიანები და ეგროსელები



წინააღმდეგ ბრძოლების დროს. შეიძლება ითქვას, მათი გადარჩენის რეალურ გზას წარმოადგენდა.

ცნობილია დვალების მინიმუმი ძვ. წ. აღ. III ათასწლეულიდან ყოფნა კავკასიონის ჩრდილოეთში და ოსების (აორსების) მოსვლა V საუკუნეში, დიდი სხვაობის მატარებელია. დვალების ოსეთნოსად წარმოდგენა უძველესს და უფრო საამაყოს გახდიდა ოსების ისტორიას.

დიდი სურვილის მიუხედავად, შეუძლებელი შესაძლებელი ვერ გახდა. ძველი წელთა აღრიცხვის ფარგლებში დვალების ოსებად წარმოდგენა წარმოუდგენელია.

ეგებ შემდეგ საუკუნეებში?

ძვ. წ. აღ. IV საუკუნეში შეიქმნა ერთიანი იპერიული სამეფო. მის შემადგენლობაში, ქართების გარდა, გაერთიანდნენ ჰერები, ეგროსელების დიდი ნაწილი (ეგრისის ჩრდილოეთი მხარე საბერძნეთის იმპერიას დარჩა). ეს იყო დღევანდელი საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების პირველი გაერთიანება. სამეფოს ეწოდა იპერია (იპერთა სამეფო). მან ახალი წელთა აღრიცხვის 523 წლამდე (ზოგი დაანგარიშებით 540 წ.) იარსება.

იპერიის სამეფოს ჰერინდა დიდების და ჩავარდნების პერიოდები, მაგრამ დვალეთი მუდამ მის შემადგენლობაში შედიოდა.

სამჯერ სცადეს ოსებმა დვალეთის ხელყოფა (ამაზასპის, მირიანის და გორგასალის მეფობის პერიოდებში) და სამჯერვე მძიმე მარცხი განიცადეს.

IX-XIII საუკუნეებს განეკუთვნება ოსთა სამეფოს ძლიერების ხანა. იმავე პერიოდში ყოფილი იპერიის სამეფო, აფხაზ-ქართველთა სამეფოს სახელით, აღწევს სიძლიერის ზენიტს და, ბუნებრივია, ოსებს არ შეეძლოთ მისთვის დვალეთი ჩამოეცილებინათ.

ორივე სამეფოს დაცემის ხანაც ერთდროულად დაუდგა. მონღოლებმა ბოლო მოუღეს მათ ძლიერებას. ოსების მცდელობა, მონღოლების მხარდაჭერით, მეზობლისათვის რაიმე ევნოთ, მარცხით დამთავრდა. გიორგი ბრწყინვალემ შეძლო მათი მცდელობის აღკვეთა.



ოსების შესვლა და დამკვიდრება დვალეთის ტერიტორიაზე იწყება თემურ-ლენგის ამაოხრებელი რვა შემოსევის შემდეგ. XVIII ს. პირველ ნახევარში ისინი გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ დვალეთში და ავრცელებენ თავის ენას. სწორედ XVIII ს. განეკუთვნება ვახუშტი ბატონიშვილს მითითება, რომ პრივილეგირებული ფენა დვალეთში ოსურად მეტყველებდა, ხოლო რიგითი, ჩაგრული ფენა, ისევ ძველებურად – დვალურად. გარკვევითაა ნათქვამი, რომ ფართო მასები დვალურ ენაზე მეტყველებდნენ.

დვალური ენა, რომ ოსური ყოფილიყო, ლოგიკურია, მკვლევარი მათ შორის სხვაობას საგანგებოდ არ აღნიშნავდა. დვალური მეტყველების გაქრობა და ოსურის გაბატონება საქართველოში რუსეთის იმპერიის ბატონობის პირობებში მოხდა.

იმპერიამ ხელი შეუწყო ერთგული სატელიტის, ოსეთის პოზიციების გაძლიერებას. არა მხოლოდ დვალები, ძირძველი ქართველები ხდებოდნენ იძულებულნი, გაოსებულიყვნენ და თავი გადაერჩინათ. გაოსება ხდებოდა იმავე პირობებში, როგორც მიმდინარეობდა გასომხების და გაფრანგების პროცესი.

გაოსების მიმდინარეობას თან ახლდა გაოსებულ დვალთა და ქართლელთა ბარში ჩამოსახლება. ითქვა, რომ 29,5 ათასიდან ოსთა რაოდენობა (უფრო ზუსტად, გაოსებულთა რაოდენობა) 165 ათასამდე გაიზარდა (ქართლის მკვლევარებს აღნუსხული აქვთ გაოსებულთა თავდაპირველი ეროვნება და ძირეული გვარები). თქმა იმისა, რომ მათ შორის არ არიან ეროვნებით ოსები, არ შეიძლება, მაგრამ უმეტესობას რომ გაოსებული დვალები და ქართველები წარმოადგენენ, უდავოა.

სწორედ ისინი შეადგენენ დღევანდელი ე. ნ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. ისინი არიან კავკასიონის სამხრეთში გადმოსული დვალები. იშვიათია მაცხოვრებელი, რომლის გვარის ძირი დვალური ან ქართული არ იქნება.

მაშ რატომ უნდა ეწოდოს ამ სახელმწიფო-ადმინისტრაციულ წარმონაქმნს ოსეთი და არა დვალეთი?



სამხრეთი დვალეთი ხომ მისაღები იქნებოდა ქართველთათვისაც?

ის, რომ ოსური ენაა გაბატონებული, ხელის შემშლელ ფაქტორად არ უნდა აღვიქვათ. ათასწლეულობით დვალური ენა იყო გაბატონებული და ამას ერთობისათვის იბერიის, შემდეგ აფხაზ-ქართველების და ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ყოფნა-განვითარებისათვის ხელი არ შეუშლია. არც ახლა გახდება შემაფერხებელი. სანაცვლოდ, აღდგება ისტორიული სიმართლე.

გაოსებული დვალები და ქართველები შიდა ქართლში დააფუძნებდნენ სამხრეთ დვალეთს, რადგან ისტორიული აგრესორის ხელშია.